

ემზარ ფაჟავა

EMZAR PAZHAVA

**საქართველოს ევროპული
ორიენტაციის გენეზისი**

**GENESIS OF EUROPEAN
ORIENTATION OF GEORGIA**

თბილისი

Tbilisi

2022

მონოგრაფიაში განხილულია ერთიანი ევროპის ჩამოყალიბების ისტორია, საქართველოს ევროპული ორიენტაციის გენეზისი და მისი ევოლუცია, ევროპული ღირებულებების არსი და მნიშვნელობა საქართველოს ევროპული მომავლისთვის, ქართულ-ევროპული ფასეულობების მსგავსება, ევროკავშირის როლი ქვეყნის განვითარების საქმეში.

ნაშრომი განკუთვნილია, როგორც აღნიშნული საკითხით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის, ისე სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროში მოღვაწე მკვლევარებისა და სტუდენტებისთვის.



კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
ფინანსური მხარდაჭერით [გრანტის ნომერი
YS-18-200]

This work was supported by Shota Rustaveli National
Science Foundation of Georgia (SRNSFG)
[grant number YS-18-200]

ნაშრომში წარმოდგენილი მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლებელია არ ემთხვეოდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

რედაქტორი პროფესორი ზურაბ გამეზარდაშვილი

რეცენზენტები: პროფესორი მურმან პაპაშვილი
 პროფესორი ნუგზარ ბარდაველიძე

თარგმნა გიორგი გოცირიძე

წიგნი ვრცელდება უფასოდ

© ემზარ ფაჟავა, 2022

ISBN 978-9941-9787-4-6

სარჩევი

შესავალი.....	8
თავი I. საქართველო ევროკული ორიენტაციის	
სათავებთან.....	10
ევროკის წარმოშობა	10
ქართველების ურთიერთობა ევროკულ	
სამყაროსთან.....	15
თავი II. საქართველოს ევროკული ორიენტაციის	
ევოლუცია.....	20
ქართველ მეფე-მთავართა დასავლური კოლიტიკა	20
თავი III. საქართველოს ევროკისგან წყვეტილი	
კერიოლი.....	28
აზიელი დამკყრობლები და რუსული ანექსია	28
თავი IV. ერთიანი ევროკის იდეის პროექტები და	
საქართველო.....	38
ერთიანი ევროკის იდეის პროექტები	38
ქართველთა მონაწილეობა ერთიანი ევროკის იდეის	
პროექტებში	60
ქართველი განმანათლებლები ევროკული	
ფასეულობების შესახებ	61
ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი მეცნიერები	
ევროკული იდეალების შესახებ	63
თავი V. საქართველოს ევროკეიზაცია.....	68
საქართველოს ევროკეიზაცია რეტროსპექტულ	
ჭრილში.....	68
ევროკეიზაცია თანამედროვე ქართულ რეალობაში.....	70
თავი VI. საქართველოს თანამედროვე	
ევროკული ინტეგრაცია.....	74
საქართველო-ევროკავშირის ერთობლივი	
პროგრამები	74
თავი VII. „აბრეშუმის გზა“ - ხიდი ევროკასა და	
აზიას შორის	86
„აბრეშუმის გზის“ ისტორიული ფუნქციის აღდგენა	86
ახალი აბრეშუმის გზის ტრანსსახელმწიფოებრივი	
პროექტები	87

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი.....	90
ინოგეიტის (INOGATE) პროექტები	92
ბაქო-სუფსის მილსადენი	95
ბაქო-თბილისი-ჭეიჭანის (BTC) მილსადენი	96
ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთკავკასიური მილსადენი (SCP)	97
ტრანსანატოლიური მილსადენი (TANAP)	98
აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ინტერკონექტორი	100
ევროაზიური ნავთობსატრანსპორტო ღერეფის პროექტი	101
თავი VIII. ქართულ-ევროპული ღირებულებები	103
საქართველოს ევროპული იდენტობის მატრიცა	103
ქართველთა წარმომავლობა - ეთნიკური მარკერი	105
გეოგრაფიული მარკერი	107
კულტურული მარკერი	108
ქართული ენის ევროპულ ენებთან მსგავსება	109
ქართული დამწერლობის ბერძნულისგან წარმოშობის თეორია.....	110
ქალაქის ფაქტორი	110
განათლება, მეცნიერება	111
ქართული კოლიტიკის ევროპული იდენტობის მარკერები.....	116
ქართულ-ევროპული იდენტობის ინდივიდუალური მახასიათებლები (მარკერები)	118
ქართულ-ევროპული იდენტობები	119
თავი IX. ქართველთა სავანე სტამბულში - ხიდი ევროპისკენ	123
ქართველთა სავანე სტამბულში	123
გაბაძეების ოჯახის წვლილი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების საქმეში.....	125
ბიბლიოგრაფია.....	127
ილუსტრაციები	271

CONTENT

INTRODUCTION.....	142
CHAPTER I. GEORGIA AT THE ORIGINS OF THE EUROPEAN ORIENTATION	144
THE GENESIS OF EUROPE	144
RELATIONS OF GEORGIANS WITH THE EUROPEAN WORLD	148
CHAPTER II. EVOLUTION OF GEORGIA'S EUROPEAN ORIENTATION OF GEORGIA	154
WESTERN POLICY OF THE GEORGIAN KINGS AND PRINCES	154
CHAPTER III. INTERMITTENT PERIOD APART FROM EUROPE	161
ASIAN CONQUERORS AND RUSSIAN ANNEXATION	161
CHAPTER IV. PROJECTS OF THE IDEA OF A UNITED EUROPE AND GEORGIA	169
PROJECTS OF THE IDEA OF A UNITED EUROPE	169
PARTICIPATION OF GEORGIANS IN THE PROJECTS OF THE IDEA OF A UNITED EUROPE	190
GEORGIAN ENLIGHTENERS ABOUT EUROPEAN VALUES	191
GEORGIAN EMIGRANT SCIENTISTS ABOUT EUROPEAN IDEALS.....	192
CHAPTER V. EUROPEANIZATION OF GEORGIA	198
EUROPEANIZATION OF GEORGIA IN A RETROSPECTIVE VIEW.....	198
EUROPEANIZATION IN MODERN GEORGIAN REALITY	200
CHAPTER VI. MODERN EUROPEAN INTEGRATION OF GEORGIA	203
GEORGIA-EU JOINT PROGRAMS	203
CHAPTER VII. "SILK ROAD" - A BRIDGE BETWEEN EUROPE AND ASIA	227

RESTORING THE HISTORICAL FUNCTION OF THE "SILK ROAD"	227
TRANS STATE PROJECTS OF GEORGIA AND THE EUROPEAN UNION (TRACECA).....	228
BAKU-TBILISI-KARS RAILWAY MAINLINE	232
INOGATE PROJECTS	234
BAKU-SUPSA PIPELINE.....	236
BAKU-TBILISI-CEYHAN (BTC) PIPELINE	237
BAKU-TBILISI-ERZRUM SOUTH CAUCASUS GAS PIPELINE (SCP).....	238
TRANS-ANATOLIAN PIPELINE (TANAP).....	239
AZERBAIJAN-GEORGIA-ROMANIA INTERCONNECTOR	241
EURASIAN OIL TRANSPORT CORRIDOR PROJECT	242
CHAPTER VIII. GEORGIAN-EUROPEAN VALUES.....	244
EUROPEAN IDENTITY MATRIX OF GEORGIA	244
ORIGIN OF THE GEORGIANS – ETHNIC MARKER	246
GEOGRAPHICAL MARKER.....	247
CULTURAL MARKER.....	248
SIMILARITY OF GEORGIAN LANGUAGE TO EUROPEAN LANGUAGES	249
THE THEORY OF ORIGIN OF GEORGIAN WRITTEN LANGUAGE (SCRIPT) FROM GREEK.....	250
A CITY FACTOR	251
EUROPEAN IDENTITY MATRIX OF GEORGIA EDUCATION, SCIENCE.....	252
EUROPEAN IDENTITY MARKERS OF THE GEORGIAN POLICY	255
INDIVIDUAL CHARACTERISTICS (MARKERS) OF GEORGIAN-EUROPEAN IDENTITY.....	258
GEORGIAN-EUROPEAN IDENTITIES	258
CHAPTER IX. SANCTUARY OF GEORGIANS IN ISTANBUL - A BRIDGE TO EUROPE.....	261
SANCTUARY OF GEORGIANS IN ISTANBUL	261

THE CONTRIBUTION OF THE ZAZADZE FAMILY TO THE PRESERVATION OF GEORGIAN CULTURAL HERITAGE	262
BIBLIOGRAPHY	265
PHOTO GALLERY	271

შესავალი

მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა და ხანდახან წყვეტილობისა, საქართველოს ევროპულ სამყაროსთან კულტურული, რელიგიური, სამხედრო, დიპლომატიური, პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირებისკენ სწრაფვის სურვილი არასდროს განელეობია, რამაც საბოლოოდ განაპირობა ევროპული ფასეულობებისადმი საქართველოს სასიცოცხლოდ აუცილებელი დამოკიდებულება და გადამწყვეტი როლი შეასრულა ქვეყნის ევროპაზე ორიენტაციის განსაზღვრაში.

ამიტომაც დასავლურ სამყაროსთან ისტორიული ურთიერთობის შესწავლასა და ახლებურ გააზრებას გარკვეული გზამკვლევის მნიშვნელობა ენიჭება ქართული სახელმწიფოს მომავლისთვის.

საქართველოს ევროპაზე ორიენტაციის გენეზისის პროცესის მრავალმხრივი (გეოგრაფიული, კულტურული, იდენტური და ა.შ.) კვლევა, იმედროულად საშუალებას მოგვცემს, გამოვავლინოთ ევროპული (დასავლური) კულტურის გავლენა და ურთიერთობა ქართულ კულტურასთან, ევროპის როლი ქართული კულტურის განვითარებაში, დავადგინოთ თუ როგორი იყო ქართულ-ევროპული თანაარსებობისა და თავსებადობის, დასავლური ფასეულობების მიმდებლობის ტრადიცია საუკუნეების განმავლობაში, რა ურთიერთობები არსებობდა მათ შორის და როგორ აისახა იგი ქვეყნის იდენტობაზე, საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციაზე.

ისტორიულად, საქართველოსთვის, საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი მისი არსებობის ქვაკუთხედს წარმოადგენდა. რაც შეეხება თავად ქვეყნის ევროპაზე ორიენტაციის თემას, მოყოლებული უძველესი დროიდან დღემდე, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ამდენად, საქართველოს ევროპაზე ორიენტაცია არ არის თანამედროვე მოცემულობა. მას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. სწორედ საქართველოს ევროპულ სამყაროსთან მუდმივმა კულტურულმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კავშირებმა (თუ არ ჩავთვლით წყვეტილ პერიოდს, რომელმაც დიდი დაღი დაასვა ქვეყნის შემდგომ განვითარებას) განსაზღვრა ევროპული ფასეულობებისადმი საქართველოს დამოკიდებულება და გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს ევროპულ ორიენტაციაზე.

აქედან გამომდინარე, საქართველოს ევროპაზე ორიენტაციის გენეზისის კვლევა მისი ევროინტეგრაციის გზაზე აუცილებელ ამოცანას წარმოადგენს, ვინაიდან საქართველოს დასავლურ სამყაროსთან წარსული ისტორიული ურთიერთობის პერსპექტივის შესწავლასა და ახლებურ გაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის შემდგომი განვითარების გააზრებისათვის. ეს კი შემოთავაზებული თემის აქტუალობას ერთიორად ზრდის.

როგორც ცნობილია, ზოგადად ქვეყნის განვითარების ვექტორს განსაზღვრავს მრავალი ფაქტორი, მათ შორის კულტურული, ისტორიული და გეოპოლიტიკური.

დღეს კი, ისტორიული განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ქვეყნის ოკუპაციისა და ანექსიის პირობებში, საქართველოს საგარეო პოლიტიკის უპირობო პრიორიტეტი უნდა იყოს ევროპა და მას სხვა ალტერნატივა არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, საქართველოში ევროპაზე ორიენტაციის, როგორც უმნიშვნელოვანესი საგარეო პოლიტიკური ვექტორის მტკიცებას ისტორიული ლეგიტიმაცია სჭირდება.

ერთი სიტყვით, საქართველოს ორიენტაციის კვლევას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის პერსპექტიული განვითარების გასააზრებლად და ახალ რეალობას ქმნის მისი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სივრცის ძირეული რეკონფიგურაციისთვის.

ზემოაღნიშნული საკითხების გარდა ნაშრომში განხილულია საქართველოს ევროპული იდენტობის მახასიათებლებიც, რომლებიც სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა რეალობებს ემყარებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა პერიოდის საქართველო-ევროპის ურთიერთობებზე არაერთი ნაშრომი დაიწერა და იწერება, დღემდე საქართველოს ევროპაზე ორიენტაციის გენეზისის თემაზე განმაზოგადებელი ხასიათის ნაშრომი არ შექმნილა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი კვლევა საინტერესო სიახლე იქნება ქართული და უცხოური ისტორიოგრაფიისთვის.

თავი I. საქართველო ევროკული ორიენტაციის სათავეებთან

ევროპის წარმოშობა - (ევროპის გეოგრაფიული ცნობის გამოსახვის კონტექსტში)

წარმოდგენილი საკითხის კვლევა იმთავითვე აუცილებელს ხდის იმის განსაზღვრებას თუ როდის შემოვიდა მიმოქცევაში გეოგრაფიული მცნება „ევროპა“, სად იწყებოდა და რა გეოგრაფიულ არეალს მოიცავდა ის, ასევე შევეცდებით მცნების - „ევროპა“ განსაზღვრას.

ტერმინი ევროპა, ზოგიერთი ავტორის აზრით, (ბერძნული "ევრუსი" (εὐρώς) ნიშნავს "ფართოს", ზოგიერთის აზრით კი ის წარმოდგება აქადური სიტყვისგან „ერიბ“/„ერებუ“, რაც ნიშნავს ჩასვლას ანუ ქვეყანა სადაც მზე ჩადის (დასავლეთი), განსხვავებით აზიისგან-„ასუ“/„აკუ“ ნიშნავს ამოსვლას ანუ ამომავალი მზის ქვეყანას. ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, ევროპას სახელი აზიის საწინააღმდეგოდ დაერქვა.

ისე, ზოგადად, ევროპა ბერძნული სიტყვისგან „Eurōpē“ მომდინარეობს და დასავლეთს ნიშნავს.

ზოგიერთი ავტორის აზრით კი ეს ტერმინი დაკავშირებულია ქალაქთან, რომლის სახელიც არის ევროპა და რომელიც მდებარეობს მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

სახელი ევროპა პირველად ნახსენებია ჰომეროსის ილიადაში, რომლის მიხედვით, ფინიკიელი მეფის ფენიქსის ასული ევროპა მოიტაცა ზევსმა, მიიღო რა ხარის ფორმა და წაიყვანა კრეტაში. (ჰომეროსი, 1979, გვ. 56) იტალიელი ავტორი ჯუზეპე ალბერტონი კი ასე წერს: „ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ფინიქიის მეფის აგენორეს (Agenore) ასული ევროპა აცდუნა იუპიტერმა, რომელმაც ხარის სახე მიიღო. ახალგაზრდა ქალი მოიტაცეს და წაიყვანეს კუნძულ კრეტაზე. ამრიგად, ფინიკიური წარმოშობის ევროპა აზიური წარმოშობისა იყო და ამ პარადოქსში ჩაეწერა კონტინენტის ბედი, რომელიც მუდმივად ეძებს იდენტობას საკუთარი გეოგრაფიული კონოტაციიდან გამომდინარე“. (Albertoni , 2003, სტრ. 5)

ამავს იმეორებს ჰეროდოტეს და ამბობს, რომ ევროპე იყო ფინიკიელი მეფის ასული, რომელიც ბერძენებმა მოიტაცეს და კუნძულ კრეტაზე მიიყვანეს, (ჰეროდოტე, 2008, სტრ. 12) როგორც ჩანს, ამ ისტორიას საფუძვლად უდევს სხვადასხვა მითი. ერთ-ერთი ვერსიით, ეს არის ძველბერძნული თქმულება აქაველების მიერ მცირე აზიის ქალ-ღვთაების მოტაცების შესახებ, რომელიც ძვ. წ. აღ-ით XII საუკუნეს ეკუთვნის. ხოლო მეორე ვერსია ბერძნულია, რომელსაც ჰომეროსი იყენებს. ჰეროდოტეს ვარაუდით კი, შესაძლებელია, აგენორას ქალიშვილის სახელი დაერქვა ევროპას. (Геродот, 1972., სტრ. 198).

როგორც ვხედავთ, ევროპის ეტიმოლოგია არაერთგვაროვანია და მისი წარმომავლობის შესახებ მეცნიერებაში ერთიანი აზრი არ არსებობს. თუმცა, სავარაუდოა, რომ ევროპა მაინც საკუთარი სახელიდან მომდინარეობს. ევროპა, როგორც გეოგრაფიული ტერმინი პირველად იხსენიება ჰესიოდესთან ჩვ. წ-აღ-მდე VIII საუკუნეში. პოემაში „აპოლონ პითიელი“ ჰესიოდე ახსენებს ხალხს, რომლებიც ცხოვრობენ პელოპონესსა და ევროპაში, რომელსაც ის კონტინენტური საბერძნეთის პატარა ნაწილად განიხილავს. (Фукидид, 1981, სტრ. 198)

ძველმა ბერძენმა გეოგრაფმა ჰეკატე მილეტელმა, თავის ნაშრომში „დედამიწის ირგვლივ“, პირველმა დაყო დედამიწა ორ ნაწილად-აზია და ევროპა.

როგორც ჩანს, ძველ წყაროებში საკმაო ინფორმაცია მოიპოვება ევროპის შესახებ. იონელები (ძვ.ბერძნული Ἴωνες, Ἴωνες – ერთ-ერთი ძველბერძნული ტომი) ამტკიცებენ, რომ მსოფლიო სამი ნაწილისგან შედგება - ევროპა, აზია და ლიბია..., (ჰეროდოტე, 2008, გვ. 12) წერდა ჰეროდოტე და არ ეთანხმებოდა ამ ვერსიას და ამბობდა, რომ მას უნდა დაემატოს ეგვიპტე.

დიდი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი ჰეროდოტე (484-525) თავისი "ისტორიის" მეოთხე წიგნში ხშირად ახსენებს ევროპის გეოგრაფიულ საზღვრებს: ერთგან ის ამბობს მდინარე ისტრი (ბერძ. Ἰστριος), (დუნაი) იწყება კელტების ქვეყანაში... და კვეთს ევროპას. (Геродот, 1972., სტრ. 90).

საინტერესოა ასევე ჰეროდოტეს ცნობა ევროპესა და მისი შვილების შესახებ „როდესაც კრეტაზე ევროპეს შვილები სარპედონი და მინოსი ძალაუფლებისთვის წაიჩხუბნენ, გაიმარჯვა მინოსმა და სარპედონი განდევნა თავის მომხრეებთან ერთად“. (Геродот, 1972., გვ. 65).

მისთვის არც ისაა ცნობილი, რატომ ეწოდება ამ ნაწილს ქალის სახელი. ასევე გაუგებარია მისთვის ნილოსი და ფაზისი კოლხეთში რატომ არის ევროპის საზღვარი. (Геродот, 1972., გვ. 298).

ჯუზეპე ალბერტონი ასე წერს: ჰეროდოტე ხაზს უსვამდა, რომ „არავინ იცის, საიდან მიიღო ევროპამ ეს სახელწოდება და უცნობია, ვინ დაარქვა მას ეს სახელი... ბევრმა აღწერა მიწის რუკა და ვერავინ ახსნა იგი გონივრულად“. (Albertoni , 2003, გვ. 6)

იტალიელი ავტორის აზრით: „ჰეროდოტეს ასევე აინტერესებდა კონტინენტების ნამდვილი წარმოშობა, რომელთა სახელწოდებაც მომდინარეობდა ქალისაგან: ლიბია, მკვიდრი ქალი, აზია, პრომეთეს ცოლი და ევროპა, ტვიროსის მეფის ქალიშვილი. ეს უკანასკნელი დასკვნა ჰეროდოტეს არც თუ ისე სარწმუნოდ მოეჩვენა: „ეს ევროპა, წარმოშობით აზიიდანაა და ჩანს, ის არ მისულა ამ მიწაზე, რომელსაც ახლა ბერძნები ევროპას უწოდებენ, არამედ ის წავიდა ფინიკიიდან კრეტაზე და კრეტიდან ლიკიაში“. ასე რომ, ჰეროდოტესთან ვერ ვპოულობთ მითს, რომელიც რამდენჯერმე გაიმეორა გვიანდელი ხანის წყაროებმა, რომლის თანახმად, ევროპა იყო ფინიკიის მეფის აგენორის ახალგაზრდა ქალიშვილი, რომელიც გაიტაცა სანაპიროზე სეირნობისას ხარის სახით გამოჩენილმა ზევსმა. ხარისაგან ცდუნებული ევროპა მის ზურგზე დაჯდა და ზღვის გადაცურვის შემდეგ კრეტაში მიიყვანეს. აქ ზევსმა აღადგინა თავისი გარეგნობა და ახალგაზრდა ქალი წაიყვანა დიტეს მთაზე, სადაც მას შეეძინა მინოსი და რადამანტე. მითის ზოგიერთი ვერსიით, ზევსმა მადლიერების ნიშნად ახალგაზრდა ქალის სახელი დაარქვა დედამიწის "ყველაზე მნიშვნელოვან" კონტინენტს“. (Albertoni , 2003, გვ. 6-7)

როგორც ჩანს, ჰეროდოტესთვის ევროპის საზღვრებიც ბოლომდე დაუდგენელი და გაურკვეველია, თუმცა აშკარაა, რომ ამ დროისთვის უკვე არსებობს მკაფიო წარმოდგენა ამ გეოგრაფიული

ერთეულის მიმართ და მისი ტერიტორიული კონტურებიც მეტნაკლებად გამოკვეთილია.

კიდევ ერთი ძველი ბერძენი ისტორიკოსი, თუკიდიდე აღწერს ოდრისების სამეფოს და აღნიშნავს, რომ „მართლაც ევროპის სახელმწიფოებს შორის იონიისა და პონტოს ეუქსინოს (ბერძ. Πόντος Εὐξεινος) ზღვებს შორის მცხოვრებ ხალხს სიმდიდრით ვერავინ შეედრება, რაც შეეხება სამხედრო ძალას და ჯარების ძლიერებას ევროპელები და აზიელები სკვითების სამეფოს ძალიან ჩამორჩებიან... (Фучидид, 1981, გვ. 198) ამ წყაროს მიხედვით აშკარაა, რომ აქ დასავლეთი საქართველო ევროპად მიიჩნევა.

ევროპა მოხსენიებულია, ასევე არისტოტელეს (384-322) ტრაქტატში „პოლიტიკა“, სადაც ის წერს, რომ ელინები დასახლებულია ჩრდილოეთ ევროპასა და აზიას შორის; გარდა ამისა ჩრდილოეთ ევროპის მოსახლეობა ვაჟკაცობით ჯობია აზიელებს, მაგრამ ჩამორჩებიან ინტელექტით. (Аристотель, 1911, стр. 314).

საგულისხმოა, რომ არისტოტელე ელინებში გამოყოფს ადამიანებს, რომლებიც ევროპისა და აზიის ხალხებისათვის დამახასიათებელ საუკეთესო თვისებებს ითავსებენ და მას მიაწერს ელადის ცენტრალურ გეოგრაფიულ მდებარეობას (Albertoni , 2003, стр. 22).

კიდევ ერთი ბერძენი ისტორიკოსი ისოკრატე თავის ნაშრომში „პანეგირიკი“ მოუწოდებდა ბერძნებს გაერთიანებისკენ.., რათა არ შემოუშვან ბარბაროსები ევროპაში.

ძველი ბერძენი ისტორიკოსი პოლიბიოსი (200-120 წწ) თავის ნაშრომში „მსოფლიო ისტორია“ ევროპისა და აზიის საზღვრად უთითებს მდინარე ტანაისს (მდინარე რუსეთის ფედერაციაში და უკრაინაში, მდინარე დონის მარჯვენა შენაკადი). აღნიშნული ისტორიკოსი მოხსენიებული ჰყავს სტრაბონს თავის „გეოგრაფიაში“, სადაც ის წერს: „როდესაც პოლიბიუსი გვაუწყებს, რომ ევროპა სიდიდით ნაკლებია ლივიასა და აზიაზე ერთად აღებულზე, აკეთებს არასწორ დასკვნას...“ (Страбон, 1967, стр. 14).

ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით სტრაბონის „გეოგრაფიაში“ ბევრჯერ მოიხსენიება ევროპა. ერთგან ის წერს: „აკი ალექსანდრემ გახსნა ჩვენთვის, როგორც გეოგრაფებისთვის, აზიის დიდი ნაწილი და ევროპის ჩრდილოეთი მდინარე ისტრამდე, ხოლო

რომაელებმა ევროპის მთელი დასავლეთი ნაწილი მდინარე ალბისამდე (რომელიც გერმანიას ორ ნაწილად ყოფს) და ისტრის ოლქი მდინარე ტირასამდე. (Страбон, 1967, стр. 109).

სტრაბონი ახსენებს ეფორის ტრაქტატს „ევროპის შესახებ.“ (Страбон, 1967, стр. 41) მართალია, ამ შემთხვევაში უშუალოდ ევროპაზე რაიმე ცნობა არ არის წარმოდგენილი, მაგრამ აშკარაა, რომ ეს ნაშრომი მრავალ ცნობას შეიცავდა ევროპის შესახებ. (აღნიშნული ტრაქტატი ეფორის „საბერძნეთის საყოველთაო ისტორიის“ ბერძ. Ἱστοριὰ καὶ τῶν παράξενων) 30 წიგნის IV წიგნს შეადგენდა. ნაწარმოები მეოთხე საუკუნეს ეკუთვნის. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა.

სტრაბონი ასევე იშველიებს ცნობილ ბერძენ მეცნიერს, ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს ერატოსტენეს (Страбон, 1967, стр. 70) (276 -194 ძვ. წ.), რომელიც ასევე განიხილავს ევროპის საკითხს. სტრაბონი ერთგან არ ეთანხმება მას იმის შესახებ, რომ თითქოს ევროპა სამი კონცხისგან შედგება, რადგან მიაჩნდა, რომ მას მრავალი განშტოება ჰქონდა. (Страбон, 1967, стр. 90) „ევროპა გამოიყოფა მრავალი კონცხით, რომელიც ქმნის ნახევარკუნძულს და მისი აღწერა პოლიბიოსს ერატოსტენზე უკეთესი აქვს, თუმცა ის მაინც არასაკმარისია“ (Страбон, 1967, стр. 111) ამბობს სტრაბონი.

საგულისხმოა, რომ სტრაბონი ერთგან მდინარე ევროპასაც ახსენებს და წერს, რომ მდინარე ევროპის სათავეები იწყება ტიტარინის მთებში, რომელიც აკრავს ოლიმპს. (Страбон, 1967, стр. 309) და კიდევ, სტრაბონს დედამიწა დაყოფილი ჰქონდა სამ ნაწილად: ევროპა, აზია და ლივია. საზღვარი კი იყო მდინარეები ტანაისი და ნილოსი. სტრაბონის ეს დედამიწისეული დაყოფა აბსოლუტურად ემთხვევა ჰეროდოტეს აღწერილობას. ხოლო ევროპა, სტრაბონის მიხედვით, მოიცავდა აზოვის ზღვასა და მდინარე დონს, ტერიტორიებს პირენეის ნახევარკუნძულსა და რაინს შორის, ბრეტანს, იბერიასა და კელტიას (Страбон, 1967, стр. 20) ირკვევა, რომ სკანდინავია და ბალტიისპირეთი უცნობი იყო როგორც სტრაბონისთვის, ისე მისი წინამორბედებისთვისაც, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, სტრაბონი უფრო ადრინდელ ავტორთა, განსაკუთრებით, ჰეროდოტესეულ ინფორმაციას ეყრდნობა.

ამდენად, მოხმობილი წყაროების მიხედვით, ძვ.წ აღ. I და ახ.წ. აღ. I საუკუნეებისთვის ევროპას უკვე არა ერთი ავტორი იცნობს, რაც იმას ნიშნავს, რომ გეოგრაფიულ ჭრილში ამ დროისთვის ეს ტერმინი უკვე საკმაო ხნის დამკვიდრებულია და მას ძირითადად გეოგრაფიული დატვირთვა აქვს, თუმცა, თუ ევროპეს მოტაცებასა და აქედან გამომდინარე, ფინიკიელებსა და ბერძნებს შორის არსებულ დაპირისპირებას გავითვალისწინებთ, რომელიც მთელი ისტორიის მანძილზე გრძელდება, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასში კულტურულ-პოლიტიკური ასპექტებიც შეინიშნება.

ქართველების ურთიერთობა ევროპულ სამყაროსთან

სწორედ ზემოთხსენებული ევროპული სამყაროს განუყოფელი ნაწილი იყო ქართველური ტომები აქ განვითარებული ცივილიზაციის საწყის ეტაპზე, რასაც თავად ბერძნული და რომაული წყაროებიც ადასტურებს.

აკაკი ურუშაძე აღნიშნავს, რომ ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ჰეროდოტეს ცნობები, რომელიც ეგეოსის ავტოქტონებად მოიაზრებს პელასგებს, ამასვე ადასტურებს თუკიდიდე. ამავ აზრის არიან სხვა ბერძენი და რომაელი ავტორებიც, მათ შორის სტრაბონი, სტეფანე ბიზანტიელი, რომელიც იმოწმებს ნიკოლოზ დამასკელს, რომლის მიხედვით ელადის სხვადასხვა მხარეთა აბორიგენები პელასგები არიან. (ურუშაძე, 1964, გვ. 110).

ევროპელი მეცნიერები კრეჩმერი, ბლუმენბახი, ისევე, როგორც ქართველი მეცნიერები, თვლიდნენ რომ პროტოქართველები ეთნიკურად, ლინგვისტურად და კულტურულად უკავშირდებიან ევროპულ აბორიგენებს – პრე-ინდოევროპელებს, პრე-არიელებს, პრე-კელტებს, მათ შორის, ეტრუსკებს, პელასგებსა და პროტობასკებს. ძველი ბერძნები და რომაელები ამ უპირველეს ევროპის მცხოვრებლებს ეძახდნენ იბერიელებს (გამსახურდია, წერილები ესსეები. საქართველოს სულიერი მისია, 1991, გვ. 9).

ქართველთა განსახლების შესახებ საინტერესოა ზვიად გამსახურდიას მსჯელობა ნაშრომში „საქართველოს სულიერი მისია“, სადაც მას დამოწმებული ჰყავს არა ერთი ქართველი და უცხოელი

მეცნიერი, ვილჰელმ ჰუმბოლდტზე (1767-1835) დაყრდნობით მიუთითებს, რომ იბერები შეადგენდნენ რეგიონის ძირძველ მოსახლეობას სამხრეთ ევროპაში, მათ შორის პირენეისა და ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე. შემდგომი ევროპული მოსახლეობა ამ ჯგუფის შთამომავალია, რომლებიც პროტოიბერიელების სახითაა ცნობილი, რომლებიც ჰუმბოლდტის კვლევის თანახმად მრავალი განშტოებისგან შედგებოდნენ. (გამსახურდია, წერილები ესსეები. საქართველოს სულიერი მისია, 1991, გვ. 193).

უცხოელ მეცნიერთა ნაშრომებზე დაყრდნობით ზვიად გამსახურდია ასევე ასკვნის, რომ ტროა კოლხური სამყაროა, რადგან ტროელებთან აქაელების დაპირისპირება ელენეს მოტაცების გამო, ერთგვარ შურისძიებას წარმოადგენს ადრე მათ მიერ მედეას მოტაცებისათვის. (გამსახურდია, წერილები ესსეები. საქართველოს სულიერი მისია, 1991, გვ. 195).

ამდენად, ზვიად გამსახურდიას მიაჩნია, რომ კოლხური, პელაზგური, ტროული, მინოსური სამყაროები ერთი და იგივეა და ამის არგუმენტად (მოყოლებული ჰომეროსიდან თანამედროვეობის ჩათვლით) მრავალი ავტორის ნაშრომს იშველიებს.

საინტერესოა ამ მხრივ ცნობილი ქართველი მეცნიერის რისმაგ გორდეზიანის ნაშრომები. ერთგან ის უთითებს, რომ „ჩვენს ქვეყანაში საერთო ევროპული მემკვიდრეობისაკენ ლტოლვას, ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ასაზრდოებს. ჩვენი ქვეყანა უხსოვარი დროიდან მონაწილეობდა ხმელთაშუა ზღვის აუზში მიმდინარე პროცესებში. როგორც ირკვევა, ქართველურ ტომებს, შესაძლოა, გენეტიკური ურთიერთობები ჰქონდათ წინაბერძნული ცივილიზაციის მატარებელ ხალხებთან (პელასგებთან, ლელეგებთან, მინოსელებთან და ა.შ.), ასევე იტალიის უძველეს მოსახლეობასთან, ეტრუსკებთან. მიკენური ეპოქიდან მოყოლებული, როგორც ჩანს, სათავეს იღებს ბერძნულ-ქართული ურთიერთობების მრავალსაუკუნოვანი ისტორია. ამან თავისი არეკვლა ჰპოვა ელინთა მითებში პრომეთესა და არგონავტთა ლაშქრობაზე. ძველი კოლხიდა იქცა საბერძნეთის გარეთ მდებარე ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ქვეყნად, სადაც არგონავტიკის ციკლის მითთა სიუჟეტი ვითარდებოდა. მედეამ, აიეტმა, კირკემ, აფსირტოსმა და სხვა კოლხმა

მითოლოგიურმა პერსონაჟებმა მყარად დაიკავეს ადგილი ბერძნულ მწერლობაში.

უფრო მეტიც, მრავალრიცხოვანი ქართველური ტომები, საკმაოდ ხშირად ფიგურირებენ, როგორც მხატვრულ ლიტერატურაში, ასევე ანტიკურ ისტორიოგრაფიასა და სამეცნიერო ხასიათის თხზულებებში.

შეიძლება ითქვას, რომ ბერძნული და რომაული წყაროები ანტიკური საქართველოს შესახებ უმთავრეს წერილობით წყაროდ მიიჩნევა და არქეოლოგიურ მონაცემებთან ერთად ჩვენი ქვეყნის უძველესი ისტორიის აღდგენის შესაძლებლობას იძლევა.

ამან განაპირობა ის, რომ ანტიკური ლიტერატურის ძეგლები.. ჩვენი ქვეყნის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი ტექსტებია“. (გორდეზიანი რ., ტონია ნ., 2007, გვ. 8).

ძველ ბერძენ და რომაელ ავტორებთან, რომლებიც თავის მხრივ უძველეს გადმოცემებს ეყრდნობოდნენ, ხშირად ვხვდებით არაპირდაპირ მითითებებს პელასგებისა და კავკასიური ტომების იდენტურობის შესახებ. პალასგი თესალიელები, მცირეაზიელი ტროელები, კუნძულ ლემნოსის მკვიდრი პელასგი სინტები და სხვები კოლხთა მონათესავე ტომებადაა მიჩნეული. (ურუშაძე, 1964, გვ. 121).

ამდენად, მცირე აზია, კუნძული კრეტა და ხმელთაშუა ზღვის მრავალი პუნქტი წინაელინური-პელასგური მოსახლეობის სამკვიდრებელი იყო. კრეტის უძველეს ე.წ. „მინოსურ მოსახლეობაში“ კოლხურ ტომებს დიდი ადგილი უნდა სჭეროდათ (ჯანაშია, ხეთების ისტორიისა და ენის საკითხისთვის, შრომები. ტ. III, 1959, გვ. 192) და ამ მოდგმის ხალხებმა წინა აზიის ვრცელ ტერიტორიაზე და სამხრეთ ევროპაში დიდი კულტურული ცენტრები შექმნეს. (ურუშაძე, 1964, გვ. 121).

რაც შეეხება ანტიკურ პერიოდს, ამ დროისთვის ქართულ-ბერძნული ურთიერთობები ინტენსიური ხდება, განსაკუთრებით ე.წ. დიდი ბერძნული ახალშენების დაარსებიდან (ჩვ. წ. VIII-VI ს.ს.). მოყოლებული ჩვ.წ-ის VI ს-დან ბერძნებმა შავი ზღვის სანაპიროზე არაერთი ახალშენი დააარსეს., მათ შორის ფაზისი, გიენოსი, დიოსკურია, პიტინტი. ახალშენების განვითარებას ხელს უწყობდა

”დიდი აბრეშუმის“ სავაჭრო გზაც, რომელიც იწყებოდა ინდოეთიდან და შავ ზღვის გავლით, ფაზისიდან და ბერძნული სამყაროსკენ მიემართებოდა.

ბერძნებს კოლხეთთან ძირითადად სავაჭრო ურთიერთობებით აკავშირებდა, საიდანაც შემოჰქონდათ ქსოვილები, ზეთი, სამკაული, ჭურჭელი და ფუფუნების საგნები. ხოლო გაჰქონდათ ოქრო, რკინა, ხის იშვიათი ჯიშები, სელის ნაწარმი, ბეწვეული და ტყავი.

ბერძნული ახალშენების დაარსებამ დიდი როლი შეასრულა შავი ზღვისპირეთის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური განვითარების საქმეში. (საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი I, 1970, გვ. 276).

კოლხეთი, როგორც ჩანს, ძვ.წ-ით VI-IV საუკუნეებში საკმაოდ განვითარებული ქვეყანაა, სადაც მაღალ დონეს მიაღწია რკინისა და ოქროს დამუშავებამ. ძვ.წ-ის VI-III საუკუნეებში კოლხეთში იჭრებოდა ვერცხლის ფული - “კოლხური თეთრი“.

ამდენად, როგორც ვხედავთ, ამ პერიოდისთვის კოლხეთის ანუ ეგრისის სამეფო პოლიტიკურად და ეკონომიკურად განვითარებული და მაღალი კულტურის მქონე ქვეყანაა, რომელსაც აქტიური ურთიერთობა ჰქონდა იმდროინდელ ცივილიზებულ სამყაროსთან და განსაკუთრებით საბერძნეთთან.

კოლხური ტომების შესახებ საინტერესო ინფორმაცია გვაწვდის ქსენოფონტე თავის ნაშრომში “ანაბაზისი”, სადაც წერს, რომ “ამ დროს იქ მეფობდა აიეტის ჩამომავალი”.

ახალშენების დაარსებას ხმელთაშუა ზღვის ელინიზაცია მოჰყვა, რომელმაც დიდი გავლენა იქონია ადგილობრივ მოსახლეობის რელიგიურ, კულტურულ, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

მოგვიანებით, ახ.წ. I-II საუკუნეებში რომთან ინტენსიური ურთიერთობები ჰქონდა იბერიის სამეფოს, რაც ძირითადად პოლიტიკურ-ეკონომიკურ ხასიათს ატარებდა. რომაელთა ინტერესების სფეროს წარმოადგენდა ის სავაჭრო გზა, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებს კავკასიაზე გავლით დასავლეთის ქვეყნებთან აკავშირებდა. ცნობილია, რომ პომპეუსი საგანგებოდ დაინტერესდა ამ გზაზე სავაჭრო ურთიერთობის განხორციელების შესაძლებლობებით.

ამრიგად, ახ.წ. I-II საუკუნეებში იბერიის სამეფო აქტიურ როლს ასრულებს რომის იმპერიის საგარეო პოლიტიკაში და მის მოკავშირედაც გვევლინებიან. ამის შესახებ რომაელმა ისტორიკოსებმა ტაციტუსმა და დიონ კასიუსმა შემოგვინახეს საკმაოდ დაწვრილებითი ცნობები. (გამყრელიძე გ. , 2014 , გვ. 133).

ხოლო, მას შემდეგ, რაც ქართლსა და რომს შორის მეგობრულ ურთიერთობები ჩამოყალიბდა, ქართლი დასავლური პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციის გზას დაადგა და ამიერიდან ამ კურსმა განმსაზღვრელი როლი ითამაშა არა მარტო ქართლის, არამედ მთლიანად საქართველოს შემდგომი განვითარების საქმეში.

ამავე პერიოდში კოლხეთი (65-47 წწ.) ცალკე ადმინისტრაციულ ერთეული იყო და მოგვიანებით პონტოს სამეფოს დაექვემდებარა. (საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი I , 1970, გვ. 369).

IV ს-ის დასაწყისიდან კი ქართლი რომის უშუალო დაქვემდებარებაშია და “იბერიის მეფეს რომაელებისაგან უნდა მიეღო თავისი მეფობის ნიშნები”. მახლობელ აღმოსავლეთში იმ დროისათვის შექმნილ პოლიტიკურ ვითარებიდან გამომდინარე ქართლისთვის უფრო მისაღები უნდა ყოფილიყო რომის პროტექტორატის ქვეშ ყოფნა, ვიდრე მეზობელი ირანის ბატონობა.

ამავე პერიოდში, ქართლსა და ეგრისში ქრისტიანობა ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ქართველი ხალხის შემდგომი განვითარების საქმეში, (საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი I , 1970, გვ. 8) რასაც ხანგრძლივი პოლიტიკური, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური წინაპირობები ედო საფუძვლად.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მართალია, ქართველური ტომები უძველესი დროიდან აქტიურად მონაწილეობდნენ ხმელთაშუა ზღვის აუზში მიმდინარე პროცესებში, მაგრამ საქართველოს ევროპული ორიენტაციის გენეზისი ანტიკური პერიოდიდან უნდა დაიწყოს, რადგან მეცნიერების მიერ მიჩნეულია, რომ თანამედროვე ევროპული ღირებულებები სწორედ დროის ამ მონაკვეთიდან იღებს სათავეს.

თავი II. საქართველოს ევროპული ორიენტაციის ევოლუცია

ქართველ მეფე-მთავართა დასავლური კოლიტიკა

საქართველოს ევროპულ სამყაროსთან ურთიერთობა გაგრძელდა ქრისტიანობის მიღების შემდგომაც და მეტ-ნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობდა მთელი ისტორიის მანძილზე და აქტიურად და სასიცოცხლო მნიშვნელობით გრძელდება დღესაც.

ამასთანავე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქრისტიანობის მიღებამ საქართველო კიდევ უფრო დაუკავშირა დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებს და ხელი შეუწყო ქართული კულტურის შემდგომ განვითარებასაც.

თავის მხრივ, ქრისტიანული რელიგიის მიღებამ კიდევ უფრო განამტკიცა ქართლისა და ეგრისის სახელმწიფოების კულტურული ურთიერთობებიც.

IV-VI სს აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკაში რომთან ურთიერთობა სასანიდურმა ირანმა შეცვალა, ხოლო დასავლეთ საქართველოში, ეგრისის სამეფომ – აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერიასთან გააგრძელა ურთიერთობები.

შესაბამისად, ევროპულ სამყაროსთან ურთიერთობები კვლავ ეგრისის სამეფომ გააგრძელა.

დღევანდელი გადასახედიდან, საქართველოს ევროპული ორიენტაციის ჭრილში, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია VI საუკუნეში (აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ირანისა და ბიზანტიის დაპირისპირების პერიოდში, რომელიც დასავლეთ საქართველოშიც გადაიკვეთა), ეგრისის ორიენტაციის საკითხი, როდესაც მათ, მიუხედავად ბიზანტიელთა მიერ გუბაზ მეფის მკვლელობისა, დასავლეთს (აღმოსავლეთ რომის იმპერიას, ანუ ბიზანტიას) მიანიჭეს უპირატესობა.

მართალია, VIII ს. ბოლო წლებში დასავლეთ საქართველოში ბიზანტიასთან ურთიერთობები წყდება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართველობას არ შეუწყვეტია სწრაფვა ევროპისაკენ.

საქართველოს ევროპულ სამყაროსთან ურთიერთობის მნიშვნელოვანი მაგალითია ასევე ქართველების ჯვაროსნული ლაშქრობებში მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველები თურქ სელჩუკებთან ბრძოლით იყვნენ დაკავებული, მასში ევროპელებთან ერთად დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) ლაშქარიც იღებდა მონაწილეობას. (მეტრეველი, 1990, გვ. 295).

რაც შეეხება ამ ლაშქრობებს, მასში მუსლიმებისა და ბიზანტიის წინააღმდეგ ჯვაროსნებისა და საქართველოს სამეფო კარის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა.. (პაპაშვილი, საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტში (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები), 2019, გვ. 96-126) სავარაუდოა, ორივე მხარეს შორის ერთგვარ შეთანხმებულ გეგმას ჰქონდა ადგილი; ჯვაროსანთა მეთაურების მიერ კონსტანტინოპოლის პირველმა ალემამ (1203 17 ივლისი) კატალიზატორის როლი შეასრულა თამარ მეფის (1184-1213) კარის მიერ საქართველოს გავლენას დაქვემდებარებული ტრაპიზონის იმპერიის დაარსების გეგმის შემუშავებაში, რაც ბიზანტიის დედაქალაქის საბოლოო დაპყრობის შემდეგ წარმატებით დაგვირგვინდა; საკუთრივ, ლათინთა იმპერიის დაარსება, მეტი ალბათობით, საქართველოსათვის უფრო სასურველი იყო, ვიდრე ბიზანტიის აღდგენა, რადგან იგი შესაძლოა, უფრო რეალური მოკავშირე აღმოჩენილიყო თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამის საფუძველს წმინდა ტახტის ჯვაროსნული იდეა ქმნიდა, რადგან პაპობა ერთნაირად გამოდიოდა აღმოსავლელი ქრისტიანების დასაცავად. ამიტომ სრულიადაც არ იყო შემთხვევითი, რომ პაპი ინოკენტი III ჯვაროსნული მიზნით “დაუკავშირდა საქართველოს, რომელიც წინ მიიწევდა დიდ სომხეთში მუსლიმების დამორჩილების ხარჯზე”. (Richard, Histoire des croisades. Le grand livre du mois., 1996, გვ. 306).

ასევე ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ საქართველოს სამეფო კარი კონსტანტინოპოლის ალემას, რომლის პროვოცირებაც თავად ბიზანტიამ მოახდინა, უპრეცედენტო მოვლენად არ განიხილავდა. უფრო მეტიც, ქართველი პოლიტიკოსები მასში რელიგიურ ასპექტებს ვერ ხედავდნენ და არც იმას, თუ რა იყო მათ შორის ისტორიული წინააღმდეგობის არსი. პირიქით, ლათინურ დასავლეთთან და მის

სულიერ მეთაურთან საქართველოს არანაირი რელიგიური პრობლემა არ ჰქონდა (პაპაშვილი, საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტში (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები), 2019, სტრ. 126). ამის შედეგი უნდა ყოფილიყო ის, რომ ინოკენტი III, რომელიც თავს მთელი ქრისტიანული სამყაროს ხელმძღვანელად მიიჩნევდა, განსაკუთრებით კონსტანტინოპოლის ლათინთა იმპერიის დაარსების შემდეგ, როცა “...ალტერნატიული საეკლესიო იერარქია შეიქმნა.....” (Шафр , 2008, სტრ. 105) და ბერძნული ეკლესია რომის ეკლესიას დაექვემდებარა, (Stinge L. Charles., 1977, p. 203) ქართულ სახელმწიფოს არ მოუწოდებდა მისი ეკლესიის რომის პონტიფიქსისადმი დამორჩილებაზე.

პირველი ოთხი ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში განვითარებულმა ურთიერთობებმა რელიგიურად გამოკვეთა, რომ საქართველოსა და დასავლურ ქრისტიანულ სამყაროს შორის დიდი სულიერი და ბუნებრივი კავშირი არსებობდა. რომაულ კათოლიკურ ეკლესიასთან ექვარისტიული კავშირი შენარჩუნებული იყო. ქართველთა სავანეებს ლათინები პალესტინაში არ შეხებია.

უფრო მეტიც, ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ (1204) ათონის ქართველებმა პაპის იურისდიქცია აღიარეს და ჟამის წირვის უფუარი პურიტ შესრულება დაიწყეს, რისთვისაც ბერძნებმა მათთან კავშირი გაწყვიტეს. (თარხნიშვილი, 1994, p. 38) მართალია, წმინდა მიწაზე არსებული ქართული მონასტრები ლათინთა საპატრიარქოს კანონიკურად დაემორჩილა, მაგრამ ამას გავლენა ვერ მოახდენდა მათ თვითმყოფადობაზე. რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქართულ და ლათინურ ეკლესიებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება ჯერ კიდევ არ იყო ანდა არ ამჩნევდნენ.¹

¹ დამატებით იხ. მეტრეველი ე. იერუსალიმის ერთი ხელნაწერი (მეცნიერული აღწერის ცდა). წიგნში: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ნაკვეთი I, თბილისი, 2007, გვ. 135-136, 138; მეტრეველი ე. ჯვრის მონასტრის კიდევ ერთი მოსახსენებელი ქართული ხელნაწერი ჯვაროსანთა მოსახსენებლით. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი, 1997, გვ. 255-259; მენაბდე ლ. ძველი ქართული მწერლობის კერები II, თბილისი, 1980, გვ. 94; წურწუმია მ. ჯვაროსანთა მოსახსენებლები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხელნაწერებში, ქართველოლოგია 6, თბილისი, 2010, გვ. 69-95;

თუმცა წმინდა ტახტისათვის ცხადი იყო, რომ ქართული ეკლესია ბერძნულ წესებს მიმდევარი იყო. (თვარაძე, 2004, გვ. 139-147) თუ კონსტანტინოპოლისა და რომის ეპისკოპოსებმა ერთმანეთი ამოიღეს დიპტიქიდან XI საუკუნეში, ქართულმა ეკლესიამ მას ხელი არ ახლო XVII საუკუნის დასაწყისამდე. (ჯავახიშვილი მ., 1997, გვ. 46).

მართალია, დიპტიქში პაპის სახელის მოხსენიება სულაც არ ნიშნავდა საქართველოს ეკლესიის რომის ეკლესიასთან ერთიანობას, (თინიკაშვილი, 2015, გვ. 77) მაგრამ იგი ცხადად ავლენდა რომის ეკლესიისადმი პატივისცემასა და კეთილგანწყობას. (თინიკაშვილი, 2015, გვ. 77) “სწორედ ეს მიჯნავდა საქართველოს ბიზანტიური ანტილათინიზმისაგან“ (თინიკაშვილი, 2015, გვ. 77). ამ ფაქტორს, ჯვაროსნული ლაშქრობების დროს, როცა საქართველო ლათინთა ბუნებრივი მოკავშირეა, (ავალიშვილი, 1929, გვ. 32) ხოლო ბიზანტიელები განიხილებიან “მოღალატეებად”, როგორც მიზეზი წარუმატებლობისა (Tyrenan , 2007, გვ. 336), შეუძლებელია პაპობაზე გავლენა არ მოეხდინა და ქართული ეკლესიის მიმართ სქიზმამდელი გრძნობებით არ განწყობილიყო.

საქართველოს მეფემ გიორგი IV ლაშამ (1213-1223) პაპ ჰონორიუს III-ის მოწოდებით გადაწყვიტა, მხარი დაეჭირა მეხუთე ჯვაროსნული (1217-1221) ლაშქრობისთვის. (პაპაშვილი, საქართველო რომის ურთიერთობა VI-XX სს, 1995, გვ. 77-79) პაპის მითითებით კარდინალმა პელაგიოსმა, რომელიც ფაქტობრივად ხელმძღვანელობდა ამ ლაშქრობას, 1218 წლის ბოლოს ან 1219 წლის I ნახევარში ეგვიპტის წინააღმდეგ საქართველოს მეფეს სთხოვა სამხედრო დახმარება. ამ უკანასკნელმა ქვეყნის ინტერესები რელიგიური თვალსაზრისით გაზომა და ჯვაროსნობა იტვირთა. (პაპაშვილი, საქართველო-ვატიკანის ურთიერთობა XVII-XVIII საუკუნეებში, 1998, სტრ. 9) მაგრამ 1219 წელს დამიეტასთან ლათინთა დამარცხების შემდეგ, გიორგი IV ლაშამ გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო ჯვაროსანთა იმ ლაშქრობაში, რომელსაც უნგრეთის მეფე ანდრაშ II უხელმძღვანელებდა. (Tardy, 1968, სტრ. 76).

შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ გიორგი-ლაშას ამ ომში მონაწილეობის მიღების გადაწყვეტილება უმთავრესად ნაკარნახევი

იყო აღმოსავლეთის ქრისტიანული სამყაროსადმი მუსლიმთა მზარდი აგრესიის შედეგების გათვალისწინებით. მაშინ, როცა მუსლიმური საფრთხე “ XIII საუკუნის დასაწყისიდან...ქრისტიანთა კარზე აკაკუნებდა...” (Dan, 2016, p. 15) რაინდი მეფე აღმოსავლეთში წმინდა მიწის დაცვისათვის ბრძოლაში რომის წმინდა ტახტის მესაჭესთან მოკავშირეობას “...წარძღვანებითა პატიოსნისა ჯვარისათა...” (ქართლის ცხოვრება, ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1959, გვ. 152) საქართველოს სამხედრო-რელიგიურ მოვალეობად მიიჩნევდა. მეფეს ეს მიზნები განუხორციელებელი დარჩა, რადგან 1223 წელს მონღოლებთან ბრძოლაში მიღებული ჭრილობის გამო გარდაიცვალა.

მეფე გიორგი IV-ის პოლიტიკა ჯვაროსნებთან მიმართებაში გააგრძელა მისმა დამ, რუსუდან მეფემ (1223–1245). რუსუდანმა 1223 წლის მეორე ნახევარის დასაწყისში (პაპაშვილი, საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტში (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები), 2019, გვ. 140) რომში საგანგებოდ გაგზავნა ანის ეპისკოპოსი დავითი, რომელსაც რომის პაპთან მისი და მხედართმთავარ ივანე მხარგრძელის წერილები გაატანა.² რუსუდან მეფე პაპს აღუთქვამდა ლაშა გიორგის პოლიტიკური კურსის გაგრძელებას და აუწყებდა წმინდა მიწაზე ჯვაროსნულ ლაშქრობაში საქართველოს მონაწილეობას: “...მზად ვართ, მთელი ჩვენი ლაშქრით მოვიდეთ ქრისტიანების დასახმარებლად. პირადად მე ვაპირებ წმ. მიწებისათვის ომში მონაწილეობის მიღებას 40 ათასი მებრძოლით, რადგან, როგორც თქვენთვის ცნობილია, მე და ჩვენი ქვეყნის ბევრმა წარჩინებულმა თავადმა ჯვარი მივიღეთ”. (ტაბაღუა, 1984, გვ. 179).

ვერც რუსუდან მეფემ განახორციელა პაპისადმი მიცემული პირობა. 1225 წელს ჯალალ ედ-დინის შემოსევამ საქართველოს მხედართმთავრობას ჯვაროსნებზე ფიქრი დაავიწყა. მათი მოკავშირე საქართველო თავად განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა.

² დამატებით იხ: თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის; ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში; პაპაშვილი მ. საქართველო-რომის ურთიერთობა;

ხოლო მას შემდეგ, რაც მონღოლები შემოესივნენ საქართველოს რუსუდან დედოფალი პაპს გრიგოლ IX დახმარება სთხოვა, სანაცვლოდ პირობას იძლეოდა, რომ ქართული ეკლესია, რომის ეკლესიას შეუერთდებოდა. რუსუდან დედოფლის ამ განზრახვას პაპმა „ღვთაებრივი შორსმჭვრეტელობის ნიშნად“ უწოდა. მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლაში პაპობის მეთაურობით დასავლეთმა საქართველოს სამხედრო დახმარება ვერ აღმოუჩინა. ამას ხელი არ შეუშლია კათოლიკე მისიონერთა საქმიანობისათვის. პაპი ინოკენტი IV (1243-1254), ალექსანდრე IV (1254-1261), ურბან IV (1261-1264), ნიკოლოზ III (1277-1280), ნიკოლოზ IV (1288-1292), კლიმენტი V (1305-1314), თანმიმდევრულად ნერგავდნენ საქართველოში ეკლესიათა გაერთიანების იდეას, მაგრამ ამაზე ქართველ პოლიტიკოსებს სერიოზულად არ უზრუნიათ. (თამარაშვილი, 2016, გვ. 83-93)³.

თუმცა პაპობის ტრადიციული ზრუნვა ეკლესიათა ერთიანობისათვის საქართველოში დავის საგანი არ ყოფილა. ქართული მხარე უარს ამბობდა უნიაზე. ცხადია, ამას შეეძლო დასავლეთთან კავშირის გაწყვეტა მოჰყოლოდა, რაც ქართველ მესვეურებს არ სურდათ.

ამდენად, საქართველო ვატიკანის ურთიერთობა იყო ქართველ მეფე-მთავართა დასავლური პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულება XIII-XVIII საუკუნეებში, რომელიც დაიწყო რომში სამხედრო პოლიტიკური მოკავშირის ძიების მცდელობით მაჰმადიანი აგრესორების წინააღმდეგ და დამთავრდა საქართველოში კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობის გაშლით. (პაპაშვილი, საქართველო რომის ურთიერთობა VI-XX სს, 1995, გვ. 100).

აქვე მართებულია ისიც ითქვას, რომ თურქ-სელჩუკებთან და მონღოლებთან თავგანწირული ბრძოლებით საქართველომ შეანელა ევროპის ქვეყნებზე ამ დამპყრობლების შეტევითი ტალღები, თუმცა თავად გახდა შემდგომ მსხვერპლი ოსმალთა და სპარსელთა მუდმივი თავდასხმებისა.

XV ს-ის II ნახევრიდან XVII ს-ის I მესამედამდე სამეფო სამთავროებად დაქუცმაცებულ საქართველოს გადარჩენის ურთულესი

³ დამატებით იხ. თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 18-39; პაპაშვილი მ. საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს, გვ. 83-93.

პერიოდი ედგა. მთელი XVI ს-ის განმავლობაში საქართველო გამუდმებულ ბრძოლაში იყო ჯერ სპარსეთთან, შემდეგ კი ოსმალეთთან, რომელიც სპარსეთის ძლიერ და დაუცხრომელ მეტოქედ იქცა. (ჯავახიშვილი ი. , ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, 1967, გვ. 341) ორივე იმპერია ერთმანეთს მეტოქეობდა მედგრად მებრძოლი პატარა ქვეყნის დამორჩილებაში, რომელსაც დამხმარე-მოკავშირე არ ჰყავდა. (მესხია , 1991, გვ. 3).

ყოველივე ამან დიდი ზიანი მიაყენა საქართველოში კათოლიკობას. ძირითადად ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ოსმალეთმა ჩაკეტა ევროპიდან საქართველოში მიმავალი გზა. საქართველოს მოსაზღვრე რაიონებში ოსმალთა ფაშები ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს ჩვენი ქვეყნისაკენ მომავალთ: მათ იმდენად შეუკრეს გზა კათოლიკე მისიონერებს, რომ მთელი XVI საუკუნის განმავლობაში ისინი საქართველოში არ ყოფილან. (თამარაშვილი, 2016)ამავე საუკუნის შუა ხანებისათვის ევროპისათვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენდა ოსმალური საფრთხე. მას შემდეგ რაც ოსმალებმა ხელთ იგდეს კონტინენტური საბერძნეთი, უნგრეთი და ვენეციის სამფლობელოებში შეიჭრნენ, “ჯვაროსნული ლაშქრობების ესქატოლოგიური ფორმულა კვლავ აღსდგა: ქრისტიანობის გამარჯვება მოითხოვდა ქრისტიანთა ერთიანობას”. (Медведев, 1995) საქართველოსათვის “ოსმალეთის რკინის ფარდამ” ყველაზე მეტად გაამძაფრა დასავლეთში მოკავშირის ძიების პრობლემა. აქ ისტორიული ხსოვნა მეტად მტკიცე აღმოჩნდა პაპობასთან კავშირში. ამას ნათლად ადასტურებს ქართლის მეფეების ლუარსაბ I-ისა (1527-1556) და ოსმალების წინააღმდეგ 22 წლის მანძილზე უშიშრად მებრძოლი სიმონ I-ის (1556-1569; 1578-1599) მიერ პაპობასთან დიპლომატიური კავშირის აღდგენა. წმინდა ტახტი (პაპი სიქსტუს V და კლიმენტი VIII) დიპლომატიურ ხერხებს არ იშურებდა, რომ ევროპის ანტი-ოსმალური პოლიტიკური ძალებისათვის საქართველოს ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ საერთაშორისო ევროპული პოლიტიკის კონტექსტში წარმოედგინა. მართალია, პაპობამ მორალური მხარდაჭერის გარდა ვერაფერი იღონა, მაგრამ მუსლიმებთან უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმულ ქართველ პოლიტიკოსებს ასეთი მხარდაჭერაც იმედის ნაპერწკალს უწერგავდა.

ასევე აქტიური ურთიერთობები ჰქონდა ევროპასთან სამეგრელოს სამთავროს. ოდიშის მთავარმა, ლევან მეორე დადიანმა (1611-1657 წწ.) ჩამოიყვანა კათოლიკე მისიონერები სამეგრელოში და დაიწყო სავაჭრო და კულტურული ურთიერთობები ევროპასთან. მოგვიანებით კი დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ქალიშვილმა სალომე დადიანმა საფრანგეთის სამეფო კარზე ჯვარი დაიწერა ფრანგ პრინც აშილ მიურატზე.

1783 წელს კი, ქართლ-კახეთის სამეფომ, მიუხედავად იმისა, რომ ევროპულ სამყაროსთან დაახლოების სურვილი ძალიან დიდი იყო, საჭიროდ ჩათვალა რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატზე მოეწერა ხელი, რომლითაც რუსეთს ირან-ოსმალეთის ექსპანსია უნდა შეეჩერებინა.

მოგვიანებით, რუსეთმა თანდათან ტრაქტატის დარღვევა დაიწყო და საქართველომ დაკარგა სახელმწიფოებრიობა, ქართული ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ავტოკეფალია და თავისუფლება.

ქვეყანა კი, დღემდე რუსული ანექსიისა და ოკუპაციის მსხვერპლია და განიცდის ორსაუკუნოვანი დეფორმირებული ცნობიერების პრობლემას. (ბარამიძე, 2014, სტრ. 48-54) აქედან გამომდინარე, დღესაც, ინტელიგენციისა და მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, მიაჩნია, რომ რუსული სივრციდან გამოსვლა შეუძლებელია, რუსეთი დიდი სახელმწიფოა და მასთან დაპირისპირებით ვერაფერს მივაღწევთ. ასეთი მიდგომა, დაპყრობილი ერის ფსიქოლოგიისა და საბჭოური აზროვნების პროდუქტია. იგი ეწინააღმდეგება ეროვნულ იდეას და თავისუფლებისკენ სწრაფვას.

როგორც ვხედავთ, მრავალი დაბრკოლების მიუხედავად, ქართველ მეფეებსა და მთავრებს დიდი სურვილი ჰქონდათ ევროპასთან კავშირ-ურთიერთობების დამყარებისა და ახერხებდნენ კიდევაც მას. მათ არასდროს შეუწყვეტიათ გზების ძიება ევროპისაკენ.

თავი III. საქართველოს ევროპისგან წყვეტილი პერიოდი

აზიელი დაპყრობლები და რუსული ანექსია

„ევროპისგან წყვეტილი დრო“ წარმოდგენილ კვლევაში ქართველების ევროპულ სამყაროსთან ურთიერთობების წყვეტას გულისხმობს, ჩვენს მიერ შემოტანილმა ამ ტერმინმა დაგვაცენა იმ აუცილებლობის წინაშე, რომ დავადგინოთ, თუ ამან რა შედეგი მოიტანა ყველა მიმართულებით. შესაბამისად გვსურს ქრონოლოგიური პრინციპით ვაჩვენოთ წყვეტილობის ეტაპები და პერიოდები.

როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, სანამ აზიელი დამპყრობლები გამოჩნდებოდნენ პოლიტიკურ არენაზე ქართულ სამეფოებს უკვე დიდი ხნის კულტურული, რელიგიური, სამხედრო, დიპლომატიური, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდათ ევროპული იდენტურობის საფუძვლად მიჩნეულ ბერძნულ, რომაულ და მოგვიანებით ბიზანტიურ სამყაროსთან.

ბრძოლა იბერია-ლაზიკის დაპყრობისთვის ირანსა და რომს შორის I საუკუნეში დაიწყო და VII საუკუნემდე, არაბების შემოსევამდე გაგრძელდა. ორივე დამპყრობელი ცდილობდა პოლიტიკურ-ეკონომიკური უპირატესობის მოპოვებას მცირე აზიის ტერიტორიაზე, მაგრამ ქართული სამეფოებიც აქტიურად იბრძოდნენ სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთს არ ჰქონდა რესურსი დამოუკიდებლად შეწინააღმდეგებოდა ესოდენ დიდ იმპერიებს.

მიუხედავად იმისა, რომ IV-VI საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოში-სასანიდების ირანის, ხოლო დასავლეთ საქართველოში-აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერიის შემოტევები გაძლიერდა, ქართლიც და ეგრისიც ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ დამოუკიდებელი სამეფოების სტატუსს, თან საინტერესოა ისიც, რომ ბიზანტიის პოლიტიკური ბატონობის პერიოდში ეგრისისა და მოგვიანებით ლაზიკის მეფეები თავიანთ სამეფო საქმეებს თავისუფლად განაგებდნენ, მხოლოდ ფორმალურად ხდებოდა მათი დამტკიცება ბიზანტიის კეისრისაგან.

თბილისის აღებისა და იბერია ეგრისიდან ირანელების განდევნის შემდეგ კეისარი ჰერაკლე ცდილობდა საკუთარი გავლენის გაძლიერებას ორივე ქვეყანაში, მაგრამ ამ დროს სამხრეთ კავკასიაში გამოჩნდნენ არაბი დამპყრობლები.

ამასთანავე, ბიზანტია ცდილობდა უზრუნველყო თავისი ბატონობა მთელი შავი ზღვის სანაპიროზე. ბიზანტიის კეისარი არაბების შემოტევის წინააღმდეგ შავ ზღვაზე ერთგვარ ბუფერულ ზონად (შემოტევის წინააღმდეგ) აფხაზეთის და სამხრეთის საზღვარზე ტაო-კლარჯეთის სამთავროს აწინაურებს, რომლის პირველი ერისთავიც ქართლის ერისთავი აშოტ კურაპალატი (786 – 813) გახდა, რომელსაც ბიზანტიის კეისრის მფარველობა ჰქონდა.

ორივე ეს სამთავრო ბიზანტიის მფარველობაში იმყოფებოდა და ყოველნაირად ხელს უწყობდნენ მათ გაძლიერებას, რათა მედგარი წინააღმდეგობა გაეწიათ არაბებისთვის.

იმავდროულად, ეს კუთხეები წარმოადგენდნენ არაბებისგან შევიწროებული და დევნილი ქართველების თავშესაფარს. (ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია ტ. II, 1908, გვ. 89) ისინი იხიზნებოდნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში: ტაო-კლარჯეთში, აფხაზეთსა და ეგრისში, რომლებიც, როგორც უკვე ითქვა ბიზანტიის მფარველობის ქვეშ იყვნენ, სადაც მშვიდობა სუფევდა. აღმოსავლეთ საქართველოდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გაიხიზნას იმ დროს ფართო ხასიათი ჰქონდა. (მაგალითად, ნერსე ქართლის ერისთავი აფხაზეთში გაიხიზნა თავისი ამალით-დიდებულებით, ყმებითა და მოსამსახურეებით. ეგრისში გაიხიზნენ თავიანთი ამალით ქართლის ერისთავები: არჩილი, იოანე, ჯუანშერი და სხვ.

VI საუკუნიდან დაწყებული VIII საუკუნის ჩათვლით ჯერ სპარსელებისგან და შემდეგ არაბებისგან შევიწროებული აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა აღნიშნულ მხარეში იხიზნებოდა და აქ პოულობდა მეტ პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავისუფლებას. ამგვარად, VII- VIII საუკუნეებში ჩნდება ეგრისის გაქართველებული ნაწილები აჭარაში, გურიასა და იმერეთში. (საქართველოს ისტორია ტ III , 2012 , გვ. 210-216).

მთლიანობაში, უნდა ითქვას, IV-X სს. საქართველოში შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ცვლილებები, როგორც სოციალურ-

ეკონომიკური განვითარების, ასევე საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობის თვალსაზრისითაც, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, მეფის ხელისუფლების გაუქმება, ერისმთავრის ხელისუფლების წარმოქმნა, ადრეფეოდალური დაქუცმაცებულობა, ფეოდალური სამეფო-სამთავროების წარმოშობა და ბრძოლა გავლენისთვის. ეს ხანა მნიშვნელოვანია, ასევე ქართველი ხალხის ბრძოლით სასანიდების ირანისა და არაბთა აგრესიის წინააღმდეგ.

მართალია, საქართველოს გაერთიანების პროცესი ფაქტობრივად ბაგრატ III-ის (980 წ) გამეფებიდან იწყება, მაგრამ ის საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა, რადგან აღმოსავლეთი საქართველო კვლავ არაბების ხელში რჩებოდა. მისი შემოერთება მხოლოდ დავით აღმაშენებელმა შეძლო 1122 წელს, როდესაც თბილისი აიღო, არაბები განდევნა საქართველოდან და სატახტო ქალაქი თბილისში გადმოიტანა. აღმაშენებელმა საბოლოოდ შეძლო ქართული ფეოდალური სამთავრო-საერისთავოების გაერთიანება. (მაკალათია, 1992, გვ. 65) სწორედ აქედან იწყება საქართველოს აღმავლობის პერიოდი და დიდ ძლიერებას მიაღწია გიორგი III და თამარ მეფის დროს.

საქართველოს აღმავლობის პერიოდი მონღოლთა გამოჩენამ შეაჩერა და ეს იმ დროს, როდესაც ევროპის ქვეყნები პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლას განიცდიდნენ, მკვიდრდებოდა რენესანსი, განმანათლებლობა, მიმდინარეობდა კულტურის, მეცნიერების არნახული განვითარება, დამპყრობლების რკალში მყოფი საქართველოს მთავარი საზრუნავი მტერთან ბრძოლა და საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნება იყო. (საქართველოს ისტორია ტ III, 2012, გვ. 6) თუმცა, მონღოლთა პერიოდშიც არ შეწყვეტილა საქართველოს დასავლეთთან ურთიერთობა. XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს პორტები ბათუმი და სევასტოპოლი (სოხუმი) ისევ მოქმედებდა და აქ მოდიოდნენ ევროპელი ვაჭრები, საქართველოში გამოჩნდნენ ასევე ფრანცისკელებისა და დომინიკელების ორდენები და დაიწყეს დამკვიდრება საქართველოში.

მიუხედავად ასეთი რთული ვითარებისა, საქართველომ არა თუ შეძლო საკუთარი სახელმწიფოებრიობის გადარჩენა და

გარკვეულწილად სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცენტრის ფუნქციის შენარჩუნებაც, არამედ შეანელა კიდევ ევროპის ქვეყნებზე ამ დამპყრობლების შეტევითი ტალღები.

სამწუხაროდ, მონღოლების ურდოების პარალელურად, XV საუკუნეში არანაკლებ საშიშროებას წარმოადგენდა ოსმალთა იმპერიაც.

ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ (1453 წ.) და ბიზანტიის დიდ ნაწილზე კონტროლის დამყარებამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა საქართველოს მომავალი, რადგან კულტურული, მაღალგანვითარებული ქრისტიანული სახელმწიფოს ნაცვლად მას დაუმეზობლდა განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი, აგრესიული და მეტად ძლიერი მუსლიმური იმპერია, რომელმაც გადაკეტა გზა ევროპისკენ, ვისთანაც საქართველოს საუკუნეების განმავლობაში ჰქონდა პოლიტიკური, ეკონომიკური, და კულტურულ ურთიერთობები და მოწყვიტა ქვეყანა კაცობრიობის სულიერი, პოლიტიკური, მეცნიერების განვითარების კერებს, რითაც შეაფერხა ქვეყნის შემდგომი განვითარება. (საქართველოს ისტორია ტ III , 2012 , გვ. 6).

ამდენად, კონსტანტინოპოლის დაპყრობამ საქართველოს ევროპასთან ურთიერთობა საგრძნობლად შეაფერხა და თუ აქამდე ევროპელები ქართველ მეფეებს თხოვდნენ დახმარებას, ახლა მდგომარეობა შეიცვალა და ქართველი მეფეები თვითონ ითხოვენ ევროპისაგან დახმარებას.

პარალელურად, 1514 წელს დაწყებული ოსმალეთ-ირანის ომი კარგა ხანს გაგრძელდა და უკანასკნელის დამარცხებით დამთავრდა და ამ ომით დაიწყო ახალი ეპოქა სამხრეთ კავკასიის ცხოვრებაში.

ამ დროიდან მოყოლებული კიდევ უფრო გამწვავდა საქართველოს ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ. ამ ბრძოლებს მსხვერპლთან ერთად ერთიანი ქვეყანის ცალკეულ სამთავროებად დაშლა მოჰყვა, გახშირდა ერთმანეთს შორის დაპირისპირებაც, მაგრამ საქართველომ ამჯერადაც შეძლო სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება.

ამდენად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ოსმალეთის იმპერიის ჩამოყალიბებამდე, ბიზანტიის გავლენა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში არაბების ბატონობა ჩამოყალიბდა და პოლიტიკურ ასპარეზზე ოთხი ძლიერი და მსხვილი ფეოდალური ერთეული აფხაზეთის, ტაო-კლარჯეთის, ქართლისა და კახეთის საერისთავო გამოდის. სწორედ ამ ოთხი პოლიტიკური ერთეულის გაერთიანება გახდა მოგვიანებით ერთიანი საქართველოს შექმნის ქვაკუთხედი.

რაც შეეხება კულტურულ-სარწმუნოებრივ ასპექტებს დასავლეთ საქართველოს ჯერ საბერძნეთთან, შემდეგ რომთან და ბიზანტიასთან უფრო მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა, ვიდრე ირანთან. ტერიტორიულადაც ლაზიკა რომის მოსაზღვრე იყო, საიდანაც უფრო ადრე და ადვილად შემოდიოდა განათლება და კულტურა, ვიდრე შორეული ირანიდან. ამიტომაც ქრისტიანობაც ადრე გავრცელდა დასავლეთ საქართველოში, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში.

ამ მხრივ განსხვავებული ვითარება იყო აღმოსავლეთ საქართველოში, რომელსაც უფრო მეტი ურთიერთობა ჰქონდა აზიურ სამყაროსთან, განსაკუთრებით ირანელებთან, რაც ასევე ტერიტორიული სიახლოვით იყო განპირობებული, ირანელებს დიდი წვლილი მიუძღვით ქართლის პოლიტიკური ერთეულის შექმნაში, თუმცა მოგვიანებით ისინი დამპყრობლებად მოველინა ქვეყანას და განვითარებისთვის შემაფერხებელ გარემოებად იქცა, ირანელებს არაბები ენაცვლებიან, რომლებმაც უფრო მეტად დააზიანეს ქართული სახელმწიფო ინსტიტუტი და შემდეგ მონღოლები გვევლინებიან დამპყრობლებად, რომლებმაც დიდი შრომით გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება კიდევ უფრო შეაფერხეს, პოლიტიკურად დააქუცმაცეს და ეკონომიკურად დაასუსტეს.

ამდენად, აზიელმა დამპყრობლებმა ბევრად უფრო მეტი ზიანი მიაყენეს აღმოსავლეთ საქართველოს კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას, ვიდრე ბიზანტიამ დასავლეთ საქართველოს.

XVIII საუკუნის დასასრულს კი, მუსლიმური სახელმწიფოების გარემოცვაში მოქცეული, პოლიტიკურად და ეკონომიკურად დასუსტებული და დაშლილი ქვეყნის წინაშე მწვავედ დადგა ახალი საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი, რათა დასრულებულიყო საქართველოზე მაჰმადიანური სახელმწიფოების გაუთავებელი თარეში და ქართველი ხალხის შევიწროება.

თავის მხრივ, რუსეთის იმპერიაც, რომელიც შავსა და კასპიის ზღვებზე გაბატონებას ცდილობდა, ამ იდეის განსახორციელებლად სწორედ საქართველოს მიიჩნევდა.

ქართლ-კახეთის მეფეებსაც მიაჩნდათ, რომ შესაძლებელი იყო რუსეთის ინტერესების საკუთარი ქვეყნის სასარგებლოდ გამოყენება, რაც საბოლოოდ 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებით დასრულდა. სამწუხაროდ, ამ ქვეშევრდომობას სულ მალე დაქუცმაცებული, მაგრამ დამოუკიდებელი ქართული სამეფო-სამთავროების ანექსია და ავტოკეფალიის გაუქმება მოჰყვა.

საბოლოოდ საქართველო, XIX საუკუნეს დამდეგს დაპყრობილი და რუსეთის გუბერნიად ქცეული შეხვდა, რომელიც ამიერიდან, როგორც ქვეყანა, მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე 1801 წლიდან აღარ არსებობდა.

მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხი სხვადასხვა ფორმით ისევ განაგრძობდა უკომპრომისო ბრძოლას რუსეთის ცარიზმის ძალადობის წინააღმდეგ.

XX საუკუნის დასაწყისში, მსოფლიოში პოლიტიკური ვითარება ძირეულად შეიცვალა, პირველმა მსოფლიო ომმა და რუსეთის ოქტომბრის რევოლუციამ, საქართველოს მცირე ხნით თავისუფლების მოპოვების საშუალება მისცა და 1918 წლის 26 მაისს აღდგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

თუმცა ეს მხოლოდ სამი წელი გაგრძელდა, 1921 წლის 25 თებერვალს, ქართველი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ, ქვეყანა ამჯერად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენელი ნაწილი გახდა. დაიწყო არნახული პოლიტიკური რეპრესიები, კერძო საკუთრების, პიროვნების უფლებებისა და თავისუფლების უარყოფა. სამოცდაათწლიანი მმართველობის შემდეგ საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველო XX საუკუნის დასასრულს

1991 წელს უკვე მეორედ გახდა დამოუკიდებელი ქვეყანა. საქართველოსა და ევროკავშირის დაახლოების პერიოდიც სწორედ აქედან იწყება.

ამდენად, საუკუნეთა განმავლობაში ქართულ სახელმწიფოს მრავალი წინააღმდეგობა ახლდა თან. გარეშე მტერი თუ შინა აშლილობა. ჯერ სპარსელების, შემდეგ არაბების, მონღოლების, თურქ-სელჩუკების, მეფის რუსეთის, საბჭოთა კავშირის და ბოლოს ისევ რუსეთის ფედერაციის დაპყრობითი ომები და ოკუპაცია, რამაც, მართალია, გარკვეულწილად შეაფერხა ქართული სახელმწიფოს ევროპულ სამყაროსთან ურთიერთობები, (ფაჩავა, საქართველო ევროპული ორიენტაციის სათავეებთან, 2019, გვ. 112) მაგრამ მიუხედავად ამისა, საქართველოს მაინც არ შეუწყვეტია გზების ძიება ევროპული იდეალებისაკენ და ახერხებდა ამას სხვადასხვა ფორმით.

ქართველ მეფეებსა და მთავრებს დიდი სურვილი ჰქონდათ ევროპასთან კავშირ-ურთიერთობების დამყარებისა, „საუკუნეების განმავლობაში საქართველოს მეფეები ევროპასთან კავშირისთვის იღწვოდნენ...“. (პაპაშვილი, საქართველო რომის ურთიერთობა VI-XX სს, 1995, გვ. 107) რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი ქართველების ჯვაროსნებთან კავშირის კონტექსტში და ამაზე აქ არ შევჩერდებით.

გავიხსენოთ თუნდაც მონღოლების პერიოდი, როდესაც კათოლიკე მისიონერები ჩამოდიოდნენ და მოღვაწეობდნენ საქართველოში 1233-1507 წლებში.

ამ მხრივ ასევე აღსანიშნავია, საქართველო ვატიკანის ურთიერთობები, რომელიც ქართველ მეფე-მთავართა დასავლური პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულება იყო XIII-XVIII საუკუნეებში, რომელიც დაიწყო რომში სამხედრო პოლიტიკური მოკავშირის ძიების მცდელობით მაჰმადიანი აგრესორების წინააღმდეგ და დამთავრდა საქართველოში კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობის გაშლით. (პაპაშვილი, საქართველო რომის ურთიერთობა VI-XX სს, 1995, გვ. 8).

ოსმალებმა მე-16 საუკუნეში მისიონერებს კი გადაუკეტეს გზა საქართველოსაკენ, მაგრამ ლუარსაბ I და სიმონ მეფე აქტიურად

ცდილობდნენ ჩამოეყალიბებინათ დასავლეთთან ერთად (ტრანსილვანია, ესპანეთი, რომის საღვთო იმპერია) ბრძოლისუნარიანი ანტიოსმალური კოალიცია.

ირანმა მისიონერების შემოსვლა საქართველოში შეაფერხა, მაგრამ კავშირები ვერ შეაჩერა.

გარდა ამისა, მე-17-18 საუკუნეებში საქართველო დიპლომატიურ-რელიგიურ და კულტურულ კავშირებს ამყარებს დასავლეთთან მისიონერების მეშვეობით და ეცნობა მათ მიღწევებს.

არც XIX-XX საუკუნეებში, რუსული ანექსიის პირობებში, შეუწყვეტია საქართველოს ევროპასთან ურთიერთობები. უფრო მეტიც საქართველო რუსეთს იყენებდა როგორც ფანჯარას ევროპასთან ურთიერთობაში, რადგანაც თვით რუსეთსაც ჰქონდა მაშინ სურვილი გამხდარიყო ევროპული ცივილიზაციის ნაწილი, განსხვავებით დღევანდელი რეალობისა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია, XII საუკუნეში საქართველოში პარლამენტის მსგავსი ორგანოს შექმნის იდეა ყუთლუ-არსლანის მეთაურობით, რომელმაც მეფის უფლებების შეზღუდვა მოითხოვა ახალი ორგანოს, „კარავის“ სახით, რომელიც დემოკრატიული მმართველობის გარკვეულ სახეს წარმოადგენდა.

გარდა ამისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, საქართველოში სადაც არათუ სიკვდილით დასჯა, არამედ ადამიანის ღირსების შემლახავი სასჯელებიც აკრძალული იყო. 1662 წელს ერთ-ერთი თეატინელი მისიონერი წერდა, რომ ოდიშის სამთავროში მართლმსაჯულება დამნაშავეს სიკვდილით არასოდეს სჯიდა. „მეგრელები გმობენ ჩვენი ქვეყნების (იგულისხმება დასავლეთ ევროპის ქვეყნების-ე.ფ.) მართლმსაჯულებას დამნაშავეს [სიკვდილით] დასჯის გამო“ -წერდა წმინდა ტახტს თეატინელი მამა.⁴

როგორც ვხედავთ საქართველო აქტიურად მონაწილეობდა ყველა იმ მოვლენებში, რომელიც ევროპასა და აზიაში მომდინარეობდა, მაგრამ არ ისწრაფოდა ისლამური კულტურის ქართულ

⁴ დამატებით იხ.ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი). იტალიური და ლათინური ტექსტები თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა, ელდარ მამისთვალიშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა, თბ, 2018 წ, გვ. 31.

რეალობაში დასამკვიდრებლად და ეს იმიტომ, რომ საქართველოს ევროპული არჩევანი დიდი ხნის წინ ჰქონდა გაკეთებული, ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან და ბოლოს მაშინ, როცა მან ქრისტიანობა მიიღო, რასაც აზიური სამყაროსგან საქართველოს საბოლოო ცივილიზაციური გამიჯვნა მოჰყვა.

ამასთანავე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საბერძნეთთან, რომთან და მოგვიანებით ბიზანტიასთან საქართველოს პოლიტიკურ დაპირისპირებას, განსხვავებით აზიელი და რუსი დამპყრობლებისგან, ქვეყნისთვის საზიანო გავლენა არ ჰქონია, აქედან გამომდინარე დღევანდელი დასავლური კურსი სრულიად ბუნებრივი და პრაგმატულიცაა და მას ქართულ საზოგადოებაში დიდი კონსენსუსი აქვს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ყველა ამ დამპყრობლებს შორის მაინც ყველაზე ორგანიზებული ბრძოლა „რუსეთის იმპერიამ“ გამოუცხადა ევროპული ცივილიზაციის ნაწილს და მის მხარდამჭერ ქართულ სახელმწიფოს, რომელიც დღემდე გრძელდება.

1992 წელს კი, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ევროკავშირმა ოფიციალურად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და დაახლოების პერიოდიც სწორედ აქედან იწყება, რაც წარმატებით გრძელდება დღესაც.

მართალია, 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა მოახდინა ქვეყნის ოკუპაცია, რომლის ერთ-ერთი მიზანიც საქართველოს ევრო-ატლანტიკური მიმართულების ვექტორის შეცვლა იყო, მაგრამ ამანაც არა თუ ვერ შეაჩერა ეს პროცესი, არამედ დააჩქარა კიდევ. რასაც 2016 წელს საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმება მოჰყვა. ხოლო 2017 წელს ძალაში ოფიციალურად შევიდა ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე უვიზოდ მოგზაურობა.

2022 წელს კი ევროპულმა საბჭომ აღიარა საქართველოს ევროპული პერსპექტივა და მზადაა ქვეყანას მიანიჭოს კანდიდატის ქვეყნის სტატუსი მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რეფორმები.

მიუხედავად ამდენი აგრესიისა, საქართველომ ისტორიის თითქმის ყველა მონაკვეთში შეძლო ყოფილიყო მიმღები განსხვავებული კულტურებისა და მულტიკულტურალიზმისა და ტოლერანტობის თვალსაზრისით უნიკალური ქვეყნად ჩამოყალიბდა. (ბარამიძე, 2014, გვ. 48-54).

ამდენად, როგორც ვხედავთ, წყვეტილი დრო კვლევის მიხედვით პირობითი ცნება აღმოჩნდა, რადგან აზიელი და რუსი დამპყრობლების პირობებშიც კი არ შეუწყვეტია საქართველოს ევროპულ სამყაროსთან ურთიერთობები.

IV. ერთიანი ევროპის იდეის პროექტები და საქართველო

ერთიანი ევროპის იდეის პროექტები

ერთიანი ევროპის იდეის შესახებ წარმოდგენები უძველესი დროიდან ყალიბდებოდა, ხოლო მისი კვლევა მსოფლიო ისტორიოგრაფიის ყურადღების ცენტრში იყო მუდამ და არის დღემდე.

ათასწლეულების განმავლობაში "ევროპული იდეა" თუ "კონცეპტი ევროპა" მოიცავდა სხვადასხვა კონცეფციას - გეოგრაფიულს, ეკონომიკურს, პოლიტიკურს, კულტურულს, ისტორიულს და უკავშირდებოდა თავისუფლების იდეას ანტიკურ პერიოდიდან მთელი ისტორიის მანძილზე.

ერთიანი ევროპის იდეა საწყის ეტაპზე განიხილებოდა, როგორც გარეშე მტრების წინააღმდეგ თავდაცვის საშუალება. ისტორიულად ეს იყო აზიის ქვეყნები, მოგვიანებით კი მეორე მსოფლიო ომის დამანგრეველი შედეგები, რუსეთის იმპერია, საბჭოთა კავშირი და დღეს კვლავ რუსეთი გვევლინება აგრესორის როლში.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ერთიანი ევროპის იდეა, ხშირ შემთხვევაში, იწვევდა გარკვეულ შიშებს, რომ შეიქმნებოდა დამოუკიდებელი ევროპული სახელმწიფოების გაერთიანება შეზღუდული უფლებებით. ასეთი შიშები ბუნებრივად არსებობდა ევროპის ქვეყნებისა და ხალხების გაერთიანების იდეების წარმოშობისა და განვითარების ადრეულ ეტაპზეც. მსგავსი შეშფოთება არსებობს ევროპის მრავალ სახელმწიფოში მათი განვითარების მიმდინარე ეტაპზეც.

ერთიანი ევროპის იდეის პროექტის პირველი ნიშნები ჩნდება IX-X საუკუნეებში. ამ დროით თარიღდება საერთო ევროპული პოლიტიკის შექმნა კარლოს დიდისა Charles the Great (768–814) და მისი პირდაპირი მემკვიდრეების იმპერიის სახით, რომელიც მოგვიანებით ისტორიაში შევიდა გერმანელი ერის საღვთო რომის

იმპერიის (962-1806) სახელით და მთელ ევროპას წარმოადგენდა, როგორც ერთიან პოლიტიკურ მთლიანობას.

შუასაუკუნეების ევროპის ერთ-ერთი გამაერთიანებელი მთავარი ძალა ეფუძნებოდა, როგორც სასულიერო, ისე საერო ხელისუფლებას.

ქრისტიანული სარწმუნოება თავის მხრივ შეეცადა დასავლეთ ევროპის საზოგადოების რელიგიურ ჰომოგენურობას და გააძლიერა ქრისტიანული რელიგიის როლი, როგორც საყოველთაო მნიშვნელობის მოვლენა ყველა ევროპელისათვის. აქედან გამომდინარე, რელიგიური კუთვნილება გახდა ევროპული სამყაროსადმი ინდივიდის მიკუთვნების მთავარი ნიშანი. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენდა ჯვაროსნული ლაშქრობები, რომელიც საერთო ევროპულ საქმედ იქცა, რომელთა დროშის ქვეშ ძირითადად გაერთიანებულნი იყვნენ ევროპელი ხალხები.

მუსლიმური სამყაროსაგან დამუქრებულმა საგარეო საფრთხემ მნიშვნელოვნად გაძლიერა რომის პაპის ტახტის გავლენა საერო ძალაუფლებაზე. ამგვარად, რომაულ-კათოლიკური ეკლესია საკუთარ თავს აყენებდა ნებისმიერი საერო ძალაუფლებაზე მაღლა მთელს ფეოდალურ ევროპაში. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ პირველი ევროპული პროექტები გახდა ევროპის გაერთიანების იდეის ამ ვერსიის პროდუქტი და ეფუძნებოდა ევროპას, როგორც ქრისტიანულ სამყაროს.

დაპირისპირება ევროპასა და მუსლიმურ აღმოსავლეთს შორის რეკონკისტათი⁵ დაიწყო მერვე საუკუნეში და გაგრძელდა ჯვაროსნული ლაშქრობებით XI- ის დასასრულსა და XII საუკუნის დასაწყისში, რომლის მიზანი წმიდა მიწის მუსლიმთაგან გათავისუფლება და უფლის საფლავის ქრისტიანთა ხელში გადასვლა იყო.

მართალია, ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა წარუმატებლობა განიცადეს, მაგრამ მას უკვალოდ არ ჩაუვლია. ჯვაროსნულმა მოძრაობებმა სათავე დაუდეს „...დასავლეთ ევროპული ტრანს და

⁵ აქ მხედველობაშია დაკარგული ქრისტიანული მიწების დაბრუნების პროცესი. **რეკონკისტა** (ესპ. Reconquista - დაბრუნება). იხ. <https://www.newworldencyclopedia.org/entry/Reconquista>

ზენაციონალური ინსტიტუტების⁶ შექმნას“ (Медведев С. А. Европейский проект и Европейская политика Папы Римского Иоанна Павла II. Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук, М, 1995, pp. 42-43), რაზეც მსჯელობის გაგრძელებას აუცილებლობას აქ ვერ ვხედავთ.

ისტორიულად პირველი ევროპის გაერთიანების პროექტი ეკუთვნის საფრანგეთის სამეფო კარის სამართალმცოდნესა და პუბლიცისტს პიერ დიუბუას Pierre Dubois (1250-1320). „წმინდა მიწის გათავისუფლების შესახებ“ (Derecuperatione terrae Sanctae) ტრაქტატში მისი მიზანი იყო ომების შეწყვეტა, ევროპის ქვეყნების დიდი ნაწილის, მათ შორის ბიზანტიის ჩათვლით პოლიტიკური გაერთიანება და "ქრისტიანული რესპუბლიკის" შექმნა საფრანგეთის მეფის ხელმძღვანელობით, რომელიც ევროპული მონარქების კონფედერაცია იქნებოდა ევროპული მონარქების ერთგვარ ფედერაციაზე დაყრდნობით. (Heater, 1992) დიუბუას პროექტში ასევე მინიშნებული იყო საარბიტრაჟო სასამართლოზეც, სადაც უმთავრესად გაუგებრობები და კონფლიქტები წყდებოდა. (Dawson, 1947).

მშვიდობის იდეა, როგორც ევროპული საზოგადოების უმაღლესი ღირებულება, ასევე კარგად იქნა გამოხატული დიდი იტალიელი პოეტის, დანტე ალიგიერის (1265 -1321) მიერ. სხვადასხვა წერილებსა და ტრაქტატებში დანტე მხარს უჭერდა ძლიერ იმპერიას, რომელიც ევროპაში მშვიდობის გარანტი იქნებოდა. ამ შემთხვევაში, ავტორი განსაკუთრებით დიდ იმედებს ამყარებდა საფრანგეთის მონარქსა და გერმანელ იმპერატორზე. დანტესთვის, ევროპული სამყარო იყო ქრისტიანული სამყარო და ეს იყო ქრისტიანული სათნოება, რომელიც უნდა გამხდარიყო შიდა-ევროპული შერიგების საფუძველი.

1453 წელს, კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ ევროპელი მონარქები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ გაერთიანებული ძალებით უნდა ებრძოლათ საერთო მტრის წინააღმდეგ.

⁶ აქ მხედველობაშია კათოლიკობის ისეთი საერთოევროპული ინსტიტუტები, როგორცაა: მონასტერი, სამონასტრო ორდენები, ჯვაროსნული ლაშქრობების თავისებური „ევროპული ჯარი“.

კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ, როცა ოსმალები არ სჯერდებოდნენ ბიზანტიის მიწებს და მათი ჯარი თანდათანობით მიიწევდა დასავლეთისაკენ, ევროპელი მონარქები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ გაერთიანებული ძალებით ებრძოლათ საერთო მტრის წინააღმდეგ.

ერთიანი ძალებით საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის იდეაა გადმოცემული ბოჰემიის (თანამედროვე ჩეხეთის) მეფის ირჟი პოდებრადელის პანევროპული პროექტიც Jiri Z Podebrad (1420–1471). სადაც ის საფრანგეთს, ჩეხეთსა და ვენეციას შორის კავშირზე საუბრობდა თურქეთის წინააღმდეგ.

ამ პერიოდისთვის ბიზანტიის იმპერია, რომელიც ევროპის განუყოფელი და სპეციფიკური ნაწილი იყო, ისტორიის არენიდან გაქრა თურქების დაპყრობის შედეგად. ბიზანტიის იმპერიის ადგილზე აღმოცენებული ოსმალეთის იმპერია მრავალი საუკუნის მანძილზე ჩამოყალიბდა ევროპის ცივილიზაციის სასაზღვრო ზონაში და ევროპა მათი ექსპანსიის საფრთხის ქვეშ ცხოვრობდა. ეს იძლეოდა ძლიერ იმპულსს, რათა შემდგარიყო ევროპული გაერთიანება. ეს ერთიანობა იქნებოდა ქრისტიანული, ვინაიდან ოსმალებთან ომი საღვთო ომის ხასიათს იმენდა.

სწორედ ამ საფრთხის წინააღმდეგ გაერთიანებას ითვალისწინებდა ირჟი პოდებრადელის ანტიოსმალური პანევროპული ლიგის შექმნის იდეა, რომელიც ევროპელებს სთავაზობდა საერთო კავშირის შექმნას ფრანგების, გერმანელების, ესპანელებისა და იტალიელების მეთაურობით. რომლის ხელმძღვანელი ორგანო უნდა ყოფილიყო კავშირის საბჭო, რომელიც უნდა შემდგარიყო ქრისტიანული ქვეყნების ხელმძღვანელებისაგან და საბჭოს პრეზიდენტისაგან. ინგლისი, ისევე როგორც კათოლიკური პოლონეთი და ლიტვა, რომ აღარაფერი ვთქვათ მართლმადიდებელ მოსკოვზე, არ შედიოდნენ დაგეგმილ კავშირში.⁷

ამდენად, ირჟი პოდებრადელის "ლიგა" მიზნად ისახავდა ანტიოსმალური კოალიციის შექმნას და გარე საფრთხეების თავიდან

⁷დამატებით იხ. Pánek J, A History of the Czech Lands. Prague. Carolinum, 2009.

აცილებას. დოქტრინაში ნათლად გამოიკვეთა ერთმორწმუნე ქრისტიანული ევროპული სამყაროს სტაბილურობის აღდგენის შესაძლებლობა. ალიანსის მონაწილეებს უნდა დაედოთ ფიცი, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ არ გამოიყენებდნენ იარაღს და კავშირის წევრებსა და სხვა ქრისტიან მონარქებს შორის დავების მოგვარების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, ირუი სთავაზობდა საარბიტრაჟო სასამართლოს შექმნას.

სამწუხაროდ, ჩეხეთის მეფემ თავისი იდეის განხორციელება ვერ შესძლო კათოლიკურ ეკლესიასთან დაპირისპირების გამო. უფრო კონკრეტულად, რამდენადაც ჩეხეთის მეფის გეგმაში წმინდა ტახტისთვის რაიმე სახით წამყვანი როლი არ იყო გათვალისწინებული, პაპობამ ყველაფერი გააკეთა, რომ მისი რეალიზაციისათვის ხელი შეეშალა.

ევროპის ქრისტიან სახელმწიფოებს შორის დაპირისპირების შეწყვეტისა და ევროპულ ალიანსში გაერთიანებისკენ მოუწოდებდა ესპანელი ჰუმანისტი ხუან ლუის ვივესი Juan Luis Vives (1492-1540).

ერთიანი ევროპის იდეის მიზნით პოეტმა და ჰუმანისტმა პაპმა პიუს II 1458 წელს მიმართა ქრისტიან მონარქებს შეკრებილიყვნენ და განეხილათ თურქეთის წინააღმდეგ „ევროპის“ ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის საკითხი. პაპს მიაჩნდა, რომ ერთიან ევროპას შეუძლია მოიგერიოს გარეშე რელიგიური მტრები. სწორედ პიუს II იყო პირველი, რომელმაც თავის მხრივ გააცნო საზოგადოებას ევროპის, როგორც "საერთო სახლის", იდეა. უფრო კონკრეტულად, პაპის პროექტში პირველად მოხდა, რომ ადრე არსებული ტერმინი „ქრისტიანული სამყარო“ - „ევროპული სამყაროთი“ შეიცვალა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ტერმინი „ქრისტიანული ევროპა“ სრულიად აქტუალური კონცეპტია თანამედროვე ევროპისთვისაც.

აღსანიშნავია, რომ ეს ნაბიჯი ასევე შეიძლება ჩაითვალოს პიუს II-ის რელიგიური ტოლერანტობის მტკიცებულებად აღმოსავლეთის განხეთქილებასთან მიმართებაში, და როგორც გაგრძელება წმიდა საყდრის ტრადიციული პოლიტიკისა "დიდი" ევროპის გაერთიანების მისაღწევად, ქრისტიანობის კათოლიკური ვერსიის საფუძველზე, ანუ კავშირის მეშვეობით. ამ ტიპის პირველი მცდელობა ჯერ კიდევ 1274 წელს მოხდა, როდესაც რომის დედა-

ეკლესია მოუწოდებდა წმინდა რომის იმპერიას, პაპსა და ბიზანტიას შერიგებისკენ, ანუ ეკლესიათა უნიისაკენ, ამას მოჰყვა ე.წ. წარუმატებელი ფლორენციის უნია 1439 წელს, რომელიც მიღებულაქნა მაშინ უკვე მომაკვდავი ბიზანტიის მიერ.

პაპ პიუს II -ის ინიციატივა არც თუ ისე წარმატებული აღმოჩნდა. ქრისტიანული ევროპის მონარქების უმრავლესობამ არ უპასუხეს მის მიმართვას. ამ ინიციატივის წარუმატებლობის მიზეზად ასახელებდნენ, როგორც პაპის პროექტის გადაჭარბებულ იდეალიზმს, ასევე რელიგიურ შეხედულებებში ევროპული საზოგადოების სეკულარიზაციას.

მას შემდეგ, რაც ქრისტიანული სამყარო დაიყო კათოლიკურ და პროტესტანტულ რეგიონებად, ახალ ევროპულ რეალობაში, ქრისტიანული ევროპის დოქტრინამ დაკარგა თავის თეოკრატიული კომპონენტი. შესაბამისად დღის წესრიგში დადგა ევროპული ერთიანობის არარელიგიური იდეები.

ამ მხრივ საინტერესოა ფრანგი მწერლის, ემერიკ კრუსეს *Cruce Emeric* (1590–1648) იდეები. მან პირველმა დააყენა საკითხი ევროპული ერთიანობის ეკონომიკური საფუძვლის შესახებ. თავის ტრაქტატში "ახალი კინეა", მას ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარება ევროპაში მშვიდობისათვის აუცილებელ საფუძვლად მიაჩნდა (Mansfield, 2013, სტრ. 2-22)⁸ ამ მიზნით ის ევროპის მონარქებს მოუწოდა შეექმნათ სახელმწიფოთაშორისო ასამბლეა, სადაც არაქრისტიანული სახელმწიფოებსაც მიეცემოდათ მონაწილეობის საშუალება. (German A, Reza De La, 2015, სტრ. 146-160).

XVII საუკუნის ევროპული ერთიანობის ერთ-ერთი ცნობილი პროექტი სალის პირველი ჰერცოგის, მაქსიმილიენ დე ბეტუნის *Maximilien de Béthune, 1st Duke of Sully* (1559-1641 წ.წ.) "დიდი პროექტია". ამ პროექტის (1638) მიხედვით, ევროპა უნდა გამხდარიყო თანაბარი ზომისა და პოტენციალის მონარქიისგან შემდგარი კონფედერაცია, რომელიც შემადგენლობაში შევიდოდა

⁸ Mansfield A, *Émeric Cruce's "Nouveau Cynée" (1623), universal peace and free trade**. *Journal of Interdisciplinary History of Ideas* 2(2013) p. 2-22.

<https://www.ojs.unito.it/index.php/jihi/article/view/170/374> (შემოწმებულია 26.08.2022)

ყველა ქვეყნის 40 წარმომადგენელი, რომელთაგან 20-ს ნიშნავდა რომის პაპი, რომის საღვთო იმპერიის იმპერატორი, საფრანგეთის მეფე, იტალიისა და ესპანეთის სუვერენები, დანარჩენ 20-ს-ნიშნავდა 10 მონაწილე-სახელმწიფო. საბჭო ყოველ სამ წელიწადში შეიცვლიდა წევრებს და დაექვემდებარებოდა ექვს რეგიონალურ საბჭოს. გენერალური საბჭოს ძირითადი ამოცანა და უფლება იქნებოდა საარბიტრაჟო დავების განხილვა ევროპის ქვეყნებსა და მათ სუბიექტებს შორის. საბჭოს გადაწყვეტილებები სავალდებულო და საბოლოო უნდა ყოფილიყო. ძირითადად საბჭოს მიზანს წარმოადგენდა ერთიანი შეიარაღებული ძალების შექმნა. (German A, Reza De La, 2015, სტრ. 146-160).

აღსანიშნავია, რომ ევროპის კონფედერაციის ფარგლებში ბეტუნი არ მოიაზრებდა თურქეთს⁹ და რუსეთს.¹⁰

ამგვარად, ბეტუნის პროექტის მიხედვით ევროპის კონფიგურაცია ამკარად ატარებდა ცივილიზაციურ ხასიათს, რომელიც დღესაც პოპულარულია და მრავალი მიმდევარი ჰყავს ევროპაში.

ამასობაში ევროპულ საზოგადოებაში ძალებს იკრეფდა პაციფისტური ტენდენციები. ევროპელი ჰუმანისტები, რომლებიც ომის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, მოუწოდებდნენ ყველა ევროპელს ძმობისკენ და გაერთიანებისკენ. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა XV საუკუნის დიდი ნიდერლანდელი ჰუმანისტი ერაზმ როტერდამელი Erasmus Roterodamus (1466-1536) იყო.

როტერდამელმა საკუთარ ანტისაომარ განწყობას რელიგიური ასპექტები დაუკავშირა, ეს პერიოდი ევროპაში რეფორმაციული მოძრაობა დასაწყისს დაემთხვა. საღვთო რომის იმპერიის ცენტრალური ევროპის პროვინციებმა უარი თქვეს ვატიკანის ძალაუფლების აღიარებაზე და შექმნეს საეკლესიო ორგანიზაციის ახალი მოდელი. ამგვარად დაიბადა ქრისტიანული დოგმის პროტესტანტული ვერსია. აქედან გამომდინარე, ერაზმი საზოგადოებას რელიგიურ

⁹ აქ კრიტიკრიუმად მიჩნეული იყო რელიგიური განსხვავება.

¹⁰ რუსეთი ამ ფედერაციაში იმიტომ არ შეიყვანა სიულიმ, რომ მისი სამფლობელოების დიდი ნაწილი, ჯერ ერთი, გადაჭიმული იყო აზიაში, მეორე, რუსეთის მაცხოვრებლები ბარბაროსებად მიაჩნდა და მესამე, მათ შორის იყო რელიგიური განსხვავება.

ერთიანობისთან ერთად პაციფიზმსაც ქადაგებდა: ერაზმმა მოუწოდა ევროპელებს უარი ეთქვათ დავების სისხლიანი გზით მოგვარებაზე, რადგან ისინი ყველა ღვთის შვილები იყვნენ.

სამწუხაროდ, რელიგიური დაპირისპირება დიდხანს გაგრძელდა ევროპაში და ოცდაათწლიან რელიგიური ომში გადაიზარდა (1618–1648). ამ საშინელმა ომმა პაციფის ახალი ტალღა გამოიწვია, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ ჩეხეთის მოაზროვნე-თეოლოგი და უნივერსიტეტის პროფესორი იან ამოს კომენსკი და პარიზელი ბერი და მასწავლებელი ემერიკ კრუსე.

იან ამოს კომენსკის Jan Amos Komenský (1592-1670 წ.წ.) მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ასპექტი, სხვა საკითხებთან ერთად, იყო მისი მოსაზრებები ევროპაზე და ევროპული ერთიანობის მიღწევის გზებზე. მისი აზრით, საყოველთაო საერთაშორისო ენის იდეა იყო ის გასაღები, რითაც ევროპელი ხალხები ერთმანეთთან მშვიდობიან თანაცხოვრებას შეძლებდნენ.

ევროპის მომავალი მშვიდობიანი მოწყობის ინიციატივით გამოდიოდა ასევე ინგლისელი მწერალი და რელიგიური მოაზროვნე უილიამ პენი William Penn (1644-1718), პენი ევროპელებს სთავაზობდა ევროპის ლიგისა და კონფედერაციის ჩამოყალიბებას, რომელშიც გაერთიანდებოდა ყველა ევროპული ქვეყანა, მათ შორის "თურქებიც და რუსებიც". ამჯერად ლიგის უმაღლესი ორგანო უნდა ყოფილიყო კონგრესი (პარლამენტი), რომელთა ფუნქცია იქნებოდა არბიტრაჟი და საჭიროების შემთხვევაში, კონფლიქტში მყოფი ქვეყნების მშვიდობისკენ იძულებით შემობრუნება. პენის ეს პროექტი ძალიან ჰგავდა დე ბეტუნის "დიდი პროექტს".

თავის პროექტში, პენი შეეხო ევროპის ლიგაში გადაწყვეტილების მიღების მრავალდონიანი სისტემის შემოღებას. მან გამოყო სამი დონე: ზენაციონალური, სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი. პენის მიერ შემოთავაზებული ეს სტრუქტურა თავის დროზე იყო ნოვატორული. იდეა გადარჩა და დღემდე წარმატებით ხორციელდება ევროკავშირის ინსტიტუციურ სტრუქტურებში.¹¹

¹¹ დამატებით იხ. „An Essay Towards the Present and Future Peace of Europe“ (1693); Archibug D, William Penn, the Englishman who invented the European

ერთ-ერთი ყველაზე სისტემური და კონცეპტუალური ევროპული პროექტი ეკუთვნის ასევე ფრანგ აბატს შარლ დე სენ-პიერს abbé de Saint-Pierre (1658-1743). თავის ტრაქტატში „მარადიული მშვიდობა ევროპაში“ (1712-1729), ის ყურადღებას უთმობს ერთიანი ევროპული გაერთიანების წინაპირობების ჩამოყალიბებასა და მისი მექანიზმების შექმნას, სადაც ის მეზობელ ისლამური სახელმწიფოებსაც მოიაზრებდა.

სენ პიერის აზრით, ევროპული ხალხების დაახლოება ხელს შეუწყობდა ევროპაში "მარადიული მშვიდობის" დამკვიდრებას. მისთვის მარადიული მშვიდობის" საფუძველი იყო სტატუს კვოზე დაფუძნებული "ევროპული ბალანსი". სენ-პიერი ხაზგასმით აღნიშნავდა დიპლომატიური მოლაპარაკებების როლს და მიიჩნევდა, რომ მოლაპარაკებების პროცესი გარანტირებულად ხელსაყრელია ყველა შეთანხმებისთვის. თუმცა, XVIII საუკუნის ევროპული პოლიტიკის რეალობა არ იძლეოდა მშვიდობიანი ევროპის იმედს, სტატუს კვოს საფუძველზე, რასაც სენ-პიერის პროექტის მრავალი კრიტიკოსი აღნიშნავდა. ამავდროულად, ავტორის უდავო დამსახურება იყო ევროპული საზოგადოების ინტეგრაციის გრძელვადიანი სისტემა.

კრიტიკოსებს შორის იყო ჟან-ჟაკ რუსოც Jean-Jacques Rousseau (1712–1778). რომელიც პიერის კონფედერაციას უფრო ფრთხილად უყურებდა და მიაჩნდა, რომ ეს გაერთიანება არ უნდა ყოფილიყო ხელოვნური და ამბივალენტური, რადგან საუკუნეების განმავლობაში არსებული დაპირისპირებების ასე უცებ მოგვარება, როგორც ჩანს რთულად ეჩვენებოდა. მითუმეტეს, სან პიერი ამ გაერთიანებაში ქრისტიანულის გარდა ილამურ სახელმწიფოებსაც მოიაზრებდა.

მარადიულ მშვიდობას მიუძღვნა თავისი ნაშრომი დიდმა გერმანელმა ფილოსოფოსმა იმანუელ კანტმა (1724-1804). კანტიც ევროპული ქვეყნების კონფედერაციის შექმნის იდეით გამოდიოდა.

კანტმა სახელმწიფოს შიდა ორგანიზაციის საფუძვლები დაუკავშირა მის საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობას. ფილოსოფოსის აზ-

რით, რეჟიმი, რომელიც ახდენს საკუთარი მოქალაქეების შევიწროებას, არ შეუძლია გაატაროს მორალური, სამართლიანი საგარეო პოლიტიკა. ამდენად, 18-ე საუკუნის ბოლოსა და 19-ე საუკუნის დასაწყისში, კანტმა კარგად ჩამოაყალიბა საერთაშორისო სამართლის ძირითადი დილემა, რომელიც აწესებს კონკრეტული სახელმწიფოს ლეგიტიმურობისა და ეროვნული სუვერენიტეტის პირდაპირ დამოკიდებულებას ქვეყანაში ადამიანის უფლებების პატივისცემის თვალსაზრისით.

ცალკე აღსანიშნავია ისიც, რომ ერთიანი ევროპული იდეის ჰუმანური ტრადიციების საპირისპიროდ ჩნდება „ერთიანი ევროპის“ ევროცენტრისტული მიმართულება, რომელიც კოლონიზაციის პროცესებმა გამოიწვია და მოგვიანებით რასობრივი თეორიის შექმნის საფუძველი გახდა. მე-20 საუკუნის ნაცისტურ-ევროპული პროექტის „ახალი ევროპა“ განხორციელებაც ევროცენტრიზმის დამსახურება იყო.

მოგვიანებით, ევროპელებსა და სხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის კონტაქტების გააქტიურებამ, რომელიც ეფუძნებოდა ჰუმანურ და საგანმანათლებლო ტრადიციებს, ხელი შეუწყო ევროპული იდეოლოგიური მემკვიდრეობის ლიბერალური კომპონენტის ჩამოყალიბებას.

შესაბამისად, ევროპული კულტურა-მხოლოდ ერთია მრავალ კულტურას შორის, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თავისი ღირებულება და თანაბარი უფლებები სხვებთან მიმართებაში. უნივერსალიზმი, გაგებული, როგორც ტოლერანტობა სხვა საზოგადოებების ნორმებსა და ღირებულებებთან მიმართებაში, დღეს, ევროპის საზოგადოების ეთიკური კოდექსის ერთ-ერთი დომინანტია.

XIX საუკუნის დასაწყისში „ევროპული გაერთიანება“ ნაპოლეონ ბონაპარტის მეთაურობით, საფრანგეთის იმპერიის ეგიდით წარიმართა. ნაპოლეონის პროექტების განხორციელებას მოჰყვა ცენტრალური და დასავლეთ ევროპის პოლიტიკური სივრცის გადამწყვეტი რესტრუქტურირაცია და მოდერნიზაცია. არსებობა შეწყვიტა გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიამ (1806). მოხდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამართლებრივი და პოლიტიკური რეჟიმების გაერთიანება საფრანგეთის მოდელთან. კერძოდ, რიგი

ქვეყნების კანონმდებლობაში ჩართული იყო საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი (ე.წ. ნაპოლეონის კოდექსი).

ევროპაში საფრანგეთის ჰეგემონიის დამყარებას ძლიერი წინააღმდეგობა შეხვდა და 1814 წელს ნაპოლეონის მიერ ევროპის ძალისმიერი მეთოდით გაერთიანების გეგმამ საბოლოო კრაზი განიცადა.

შესაბამისად, აქტუალური გახდა ევროპული პოლიტიკური სივრცის რეორგანიზაციის ახალი პროექტი.

1815 წელს, ვენის კონგრესზე ხელმოწერილი წმიდა ალიანსის აქტით გამოცხადდა ევროპული პოლიტიკის დაბრუნება ქრისტიანულ მორალურ ნორმებზე. გარდა ამისა, ევროპული სისტემის ქვაკუთხედი გახდა ლეგიტიმაციის პრინციპი-ტრადიციული მონარქების უფლებების პატივისცემა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარიდან ერთიანი ევროპული იდეის ახალი აღმავლობა იწყება. ამ იდეის წარმოდგენლები იყვნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ლიბერალები და ნაციონალისტები. მათ შორის - ჯუზეპე მაძინი, მოძრაობა "ახალგაზრდა ევროპის" დამფუძნებელი, ლუი ბლანი, ლაიოშ კოშუტი და სხვები. ადრე განხილული ევროპული პროექტების ავტორებისგან განსხვავებით, "ახალგაზრდა ევროპის" წარმომადგენლები მოითხოვდნენ არა ევროპული ქვეყნების, არამედ ევროპული საზოგადოების კონსოლიდაციას.

1849 წელს პარიზში მსოფლიოს III კონგრესზე ვიქტორ ჰიუგომ ისაუბრა ერთიანი ევროპის მომავალზე და აღნიშნა, რომ „დადგება დღე, როდესაც ამ კონტინენტის ყველა ერი, საკუთარი ინდივიდუალურობის დათმობის გარეშე, მჭიდრო გაერთიანებად შეიკვრება და დიდ ევროპულ ძმობას დაუდებს საფუძველს. დადგება დღე, როდესაც აღარ იარსებებს საბრძოლო ველი...“

მიუხედავად ამ განწყობებისა, XIX საუკუნის მიწურულსთვის, ევროპა დაპირისპირებული ბლოკების არენას წარმოდგენდა: ცენტრალური ევროპული ძალების გაოთხმაგებული კავშირი ჩაება კონტინენტზე ჰეგემონიისთვის ბრძოლაში ძველ კოლონიურ იმპერიებთან და რუსეთთან ერთად. აქედან გამომდინარე, პირველი

მსოფლიო ომის დაწყებამდე, ევროპული იდეა წარმოადგენდა გაურკვევლობას დიდ პოლიტიკაში.

პირველი მსოფლიო ომის შედეგებმა ევროპული იდეის განვითარებისთვის ახალი პირობები შექმნა. პირველ რიგში, სრულიად კომპრომეტირებული იყო ნაციონალიზმი და იმპერიალიზმი.

ომის შედეგად დაიშალა კონტინენტური ევროპის ოთხი ყველაზე დიდი გერმანიის, რუსეთის, ავსტრია-უნგრეთისა და ოსმალეთის იმპერია.

ევროპული პოლიტიკური სივრცე, რომლის ჩამოყალიბებაც ხდებოდა საუკუნეების განმავლობაში, ორად გაიყო. 1917 წელს ბოლშევიკური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ რუსეთი გავიდა ევროპული პოლიტიკური სივრციდან.

1920 წელს, შექმნილი ვითარების ფონზე, პირველი რეაქცია პანევროპული მოძრაობის გაფორმება იყო. 1923 წელს გრაფმა რიჰარდ კუდენჰოვე კალერგიმ Richard Nikolaus Coudenhove-Kalergi (1894-1972) გამოაქვეყნა მანიფესტი „პან-ევროპა“, რომელშიც იგი საუბრობდა ევროპული ეკონომიკის კრახზე, ევროპის სახელმწიფოების კატასტროფულ დასუსტებაზე და სთავაზობდა არსებული კრიზისიდან გამოსავალს. (Daniel C. Villanueva., 2005, სტრ. 67-80).

მისი აზრით, ევროპის სახელმწიფოები უნდა გაერთიანებულიყვნენ, რათა არსებულ მოწინააღმდეგეს ეფექტიანად დაპირისპირებოდნენ.

აღნიშნულ ქვეყნებთან ეფექტიანი კონკურენციისთვის იგი ევროპის ქვეყნებს სთავაზობდა საერთო ბაზრის შექმნას და მის აღჭურვას აუცილებელი ზენაციონალური ინსტიტუტებით. კერძოდ, საუბარი იყო საერთაშორისო არბიტრაჟსა და საბაჟო კავშირზე.

პოლიტიკური კუთხით, კალერგი გამოდიოდა საერთო ევროპული სამხედრო კავშირის შექმნის ინიციატივით, რათა დაეცვათ ევროპის აღმოსავლეთი საზღვრები, რუსეთის მიმართულებით. პან-ევროპის ავტორი არ განიხილავდა თუ რა კავშირი ექნებოდა ზენაციონალურ ინსტიტუტებს პან-ევროპის წევრი, სუვერენული სახელმწიფოების ნაციონალურ ინსტიტუტებთან. ამიტომაც, საბოლოოდ პროექტი უფრო მეტად ლოზუნგი აღმოჩნდა, ვიდრე

რეალური მოქმედებების პროგრამა. ამ პროექტით მან გააღვიძა ახალი, ევროპული იდეის მხარდამჭერი, ომის შემდგომი თაობა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ კალერგის ბევრი წინადადება მოთხოვნადი აღმოჩნდა რეალური ინტეგრაციის მშენებლობის სტადიაზე.

1930 წელს ევროპულმა პროექტებმა პირველად შეიძინა საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსი და ერთა ლიგაში დარეგისტრირდა არისტიდ ბრიანის (წარსულში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის) მემორანდუმი ევროპული ფედერალური კავშირის ორგანიზების შესახებ.

პანევროპეიზმის მხურვალე მომხრე იყო არისტიდ ბრიანი Aristide Briand(1862-1932). მან წამოაყენა გეგმა ევროპის გაერთიანების შესახებ, რომელიც „ფედერალური კავშირისა“ და „საერთო ბაზრის“ ნიადაგზე უნდა მომხდარიყო. ის იყო პირველი, რომელმაც ნათლად ჩამოაყალიბა ევროპის ქვეყნების ინტეგრაციის საფუძველი. მისი ძირითადი მიზანი იყო ეკონომიკის აღმავლობა და ევროპელთა ცხოვრების დონის ამაღლება.

სხვათაშორის, ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, როდესაც საქართველოს მთავრობამ თავშესაფარი საფრანგეთში მიიღო, არისტიდ ბრიანი რჩებოდა საქართველოსა და კავკასიის დამოუკიდებლობის იდეის მხარდამჭერად, ის რამდენიმეჯერ შეხვდა კავკასიის რესპუბლიკათა წარმადგენლებს და ერთიანი მოქმედებებისაკენ მოუწოდა. 1922 წლის იანვარში კანში გამართულ ანტანტის საბჭოს სხდომაზე, რომელსაც ბრიანი ხელმძღვანელობდა, მიიღეს რეზოლუცია, რომელიც რუსეთისაგან ამიერკავკასიიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანას მოითხოვდა. (სარალიძე, 2017, გვ. 352-366).

1933 წელს, როდესაც გერმანიის სათავეში ნაცისტები მოვიდნენ პან-ევროპული კავშირის მოღვაწეობა აკრძალეს, რამაც ერთიანი ევროპის იდეის შესუსტება გამოიწვია. ხოლო კუდენჰოვე-კალერგის ყველა წიგნები დაწვეს, რადგან ნაცისტების აზრით "ევროპის გაერთიანება რასების დაუშვებელ შერევას მოიტანდა". ჰიტლერს მიაჩნდა, რომ პან-ევროპა "რასობრივი გარეწრების იდეალი და ებრაელების მიერ ევროპის დაპყრობის ინსტრუმენტი" იყო. პან-

ევროპეიზმის მთავარ მტრებად გერმანელი ნაციონალ-სოციალისტები იქცნენ.

1935 წელი პან-ევროპული მოძრაობისთვის გარდამტეხ წლად იქცა. მეორე მსოფლიო ომის მოახლოებთან, სულ უფრო ნაკლები ყურადღება ეთმობოდა ევროინტეგრაციის იდეებს. შესუსტდა პანევროპული კავშირის გავლენა რეალურ პოლიტიკაზე. პრობლემები მხოლოდ ერთა ლიგის სხდომებზე განიხილებოდა.

ამასობაში, ევროპაში იმძლავრა სახელმწიფოთა ნაციონალისტურმა განწყობებმა, პანევროპული იდეა კი უძლური აღმოჩნდა მათ წინააღმდეგ ბრძოლაში.

მთელი ეს პერიოდი პანევროპული მოძრაობა ნაციისტების წინააღმდეგ გამოდიოდა და მათ ახალი ომის დაუშვებლობისკენ მოუწოდებდა.

პანევროპული კავშირს მრავალი გამოჩენილი ინტელექტუალი შეუერთდა, მათ შორის იყვნენ: პოლ ვალერი, ჰაინრიხ და თომას მანები, შტეფან ცვაიგი, რაინერ მარია რილკე, მიგელ დე უნამუნო, ზიგმუნდ ფროიდი, ალბერტ აინშტაინი, ბერნარდ შოუ, ხოსე ორტეგა-ი-გასეტი, ფრანც ვერფელი, სალვადორ დე მადარიაგა, ოტო ფონ ჰაბსბურგი, კონრად ადენაუერი, შარლ დე გოლი, ჟორჟ პომპიდუ, ფრანც იოზეფ შტრაუსი, ბრუნო კრასიკი და სხვ. (ჯანდიერი, 2014) მიუხედავად ამისა, ევროპამ მაინც ვერ შეძლო თავიდან აეცილებინა მეორე მსოფლიო ომი, რომელიც ნაპოლეონის შემდეგ მსოფლიოს ძალისმიერი ინტეგრაციის მორიგი¹² მცდელობა იყო. მის იდეურ საფუძველს რასობრივი თეორია წარმოადგენდა,¹³

¹² გერმანიის ნაციონალ-სოციალიზმის მიერ წარმოდგენილი ევროპის გაერთიანების ძალისმიერი ვარიანტი ეყრდნობოდა არა მხოლოდ ნაპოლეონის ომების გამოცდილებას, არამედ ძლიერ ნაციონალისტურ ტენდენციებსაც.

¹³ პირველი ნაციონალისტები, რომლებიც ევროპაში ძალაუფლების სათავეში მოვიდა იტალიური ფაშიზმი იყო. ბენიტო მუსოლონიმ (1883-1945) ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ 1922 წელს გამოაცხადა თავისი მოძრაობა „ევროპის ავანგარდად“. იტალიური ფაშიზმი რამდენადმე უშვებდა ევროპეიზმს. თუმცა ფაშისტური ევროპეიზმი უფრო მახე იყო, ვიდრე პოლიტიკური პრაქტიკა. იტალიელი ფაშისტები არასოდეს მიისწრაფოდნენ, რომ მთელი ევროპა დაეპყროთ (მით უფრო გაეერთიანებინათ). ამისათვის მათ უბრალოდ საკმარისი ძალები არ ჰქონდათ.

რომელიც ევროპის ხალხებს განიხილავდა, როგორც იდეალურ არიულ რასასთან დაახლოებულს.

ევროპული იდეის რასობრივი ვერსია შეიმუშავა გერმანულმა ნაციონალ-სოციალიზმმა¹⁴, რომელმაც 1933 წლიდან დაიწყო გერმანიის ეთნიკური წმენდა „რასობრივად უცხო ელემენტებისგან“, რითაც ცდილობდა გაეერთიანებინა ყველა ძირძველი ევროპული ერი, როგორც „ჭეშმარიტად არიული“ რასა.

ჰიტლერისეული ევროპის პროექტის რეალიზება ვერ მოხერხდა ომში დამარცხების გამო.

მიუხედავად ნაცისტური წნეხისა, ერთიანი ევროპის იდეებს მაინც არ შეუწყვეტია არსებობა. უფრო მეტიც, ნაციზმით გამოწვეული კატასტროფის მასშტაბებმა ბიძგი მისცა ომის შემდგომ პერიოდში ევროპული მოძრაობების ზრდას. რაც გამოიხატებოდა მრავალი ორგანიზაციის შექმნაში, რომლებიც მიზნად ისახავდნენ დასავლეთ ევროპის გაერთიანებასა და ახალი, კონკურენტუნარიანი პროექტების შექმნას, რომლებიც მოსახლეობისა და პოლიტიკოსების მიერ ფართოდ მხარდაჭერილი იქნებოდა. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი ფიგურა გახდა უინსტონ ჩერჩილი. 1946 წელს თავის ცნობილ ციურისის გამოსვლაში, ჩერჩილმა ისაუბრა აშშ-ს მსგავსი ევროპული ფედერაციის შექმნაზე და აღნიშნა, რომ ევროპის გაერთიანებისთვის პირველი ნაბიჯი ფრანგულ-გერმანული შერიგება უნდა გამხდარიყო.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დასავლეთ ევროპას საბჭოთა კავშირის სახით ახალი საფრთხე გამოუჩნდა.

¹⁴ ადოლფ ჰიტლერის პირველმა ტერიტორიულმა „შენაძენმა“ გზა გაუხსნა ახალ „ევროფაშიზმს“. არა მხოლოდ გერმანელები, არამედ იტალიელები, უნგრელები, რუმინელები, ბულგარელები, ხორვატები, სლოვაკები ესალმებოდნენ „ახალი ევროპის“ დაბადებას გერმანიის პროტექტორატის ქვეშ. თავიდან გერმანული ნაციონალ-სოციალიზმი იყო მხოლოდ გერმანიისათვის „შიდა სარგებლობის“ პროგრამა და არა მთელი კონტინენტისათვის. „მესამე რაიხის“ შემადგენლობაში ყველა ევროპული მიწის შეერთება მოგვიანებით დაიწყო.

ომის შემდგომი წლების¹⁵ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ერთიანი ევროპის მხარდამჭერთა ჰააგის კონგრესი (1948 წ), სადაც 700-ზე მეტი დელეგატი 16 ქვეყნიდან შეიკრიბა, რათა განეხილათ ინტეგრაციის პრინციპები და გზები. კონგრესსა და შემდგომ დისკუსიებში ყველა პოზიციაზე შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, თუმცა ყველა მხარე შეთანხმდა მთავარზე: ევროპას უნდა დაეწყო რეალური გაერთიანების პროცესი. ერთი სიტყვით, ჰააგის კონგრესმა განსაზღვრა ევროპის გაერთიანების კონკრეტული პროგრამა.

ევროპის ფედერალურ მოწყობის იდეას მოწინააღმდეგეებთან ერთად, არაერთი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე უჭერდა მხარს, მათ შორის, ჟან მონე Jean Monnet (1888–1979), რობერტ შუმანი Robert Schuman (1886–1963), კონრად ადენაუერი Konrad Adenauer (1876–1967), უინსტონ ჩერჩილი Winston Churchill (1874–1965), ალჩიდე დე გასპერი Alcide de Gasperi (1881–1954), რომლებიც დღეს „ევროკავშირის მამებად“ იწოდებიან.

აღსანიშნავია, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბებული ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის ფონზე ევროპული სახელმწიფოების ეკონომიკის აღდგენით დაინტერესებული იყო ამერიკის შეერთებული შტატებიც (აშშ). შესაბამისად, 1947 წელს, ევროპული სახელმწიფოების ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით, აშშ-მ „მარშალის გეგმის“ (The Marshall Plan) სახელით ცნობილი 4-წლიანი (1947–1951 წწ.) „ევროპის აღდგენის პროგრამის“ (The European Recovery Program, ERP) ფარგლებში 13 მილიარდი დოლარი გამოყო.

¹⁵ ომის შემდგომი წლებში უკვე არსებობდა სხვადასხვა ევროპული მოძრაობები, როგორცაა „პანევროპული კავშირი“, „ევროპის საპარლამენტო კავშირი“, „ევროპის ფედერალისტთა კავშირი“ და სხვ. ისინი ცდილობდნენ ევროპის შეერთებული შტატების შექმნას. ამ პროცესში, ანუ ევროპის გაერთიანების პროცესში, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს უ. ჩერჩილმა და ჟ. მონემ. 1947 წელს (27-31 აგვისტო) ფედერალისტთა ევროპულმა კავშირმა მონტრეში (შვეიცარია) მოიწვია კონგრესი. ამავე წელსვე პოლ ვან ზეელანდის ინიციატივით დაფუძნდა ეკონომიკური თანამშრომლობის ევროპული ლიგა, მისი ხელმძღვანელი ორგანო პრეზიდენტთა საბჭო. მან არანაკლები ზეგავლენა მოახდინა არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ ევროპის სახელმწიფოების კულტურულ დაახლოებაზე. მან რეალური საფუძველი ჩაუყარა თანდათანობით სოციალ-ეკონომიკურ ერთიანობას.

ამრიგად, ევროპის ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესმა დასაბამი მისცა ევროკავშირის სტრუქტურის ჩამოყალიბებას.

1946 წელს ევროპის გაერთიანების იდეა პირველად წამოაყენა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა, რომელმაც ციურიხში გამოსვლისას ისაუბრა ევროპის შეერთებული შტატების შექმნის აუცილებლობაზე. თუმცა, ეს იდეა განუვითარებელი დარჩა.

1950 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერტ შუმანმა წამოაყენა ჟან მონეს ინიციატივა - დასავლეთ ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის საბადოების გაერთიანების შესახებ. (ეს წელი მიჩნეულია ევროინტეგრაციის საწყისად).

წარმოდგენილი ინიციატივა მიზნად ისახავდა ეკონომიკური თანამშრომლობის გზით ევროპაში ომების თავიდან აცილებას, იმავდროულად ეს იდეა შეუწყობდა გერმანიისა და საფრანგეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ დაახლოებას, რაც მათი მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველი გახდებოდა.

ნიშანდობლივია, რომ დიდი ბრიტანეთი თავიდანვე არ იზიარებდა და არ შეერთებია წამოყენებულ ინიციატივას, რამაც გარკვეული უარყოფითი გავლენა იქონია ამ ევროპულ წამოწყებაზე. საბოლოოდ, 1951 წელს ევროპის ექვსი სახელმწიფოს (ბელგია, დასავლეთ გერმანია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, იტალია და ნიდერლანდები) მონაწილეობით შეიქმნა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება. ასევე გადაწყდა, რომ ქვანახშირისა და ფოლადის წარმოებისა და რეალიზაციის მიზნით შექმნილიყო დამოუკიდებელი, ზენაციონალური ორგანო, ე.წ. „უზენაესი ხელისუფლება“, რომლის პირველ პრეზიდენტად დაინიშნა ჟან მონე. (კაპანაძე, ევროკავშირის პოლიტიკა, 2006, გვ. 4).

ზენაციონალური ორგანო იმისთვის იყო შექმნილი, რომ კონფლიქტის შემთხვევაში არ დაზარალებულიყო გაერთიანების წევრი სახელმწიფოების ინტერესები. თავის მხრივ, გაერთიანების წევრი ქვეყნების მთავრობებს უნდა უზრუნველყოთ ამ პროცესების გამართული მიმდინარეობა და შეეცვალათ ეროვნული კანონმდებლობა ისე, რომ დისკრიმინაციულ სავაჭრო ბარიერებს ხელი არ

შეშალათ ინტეგრაციის პროცესებისთვის. საბოლოო ჯამში, ქვანახ- შირის, კოქსისა და ფოლადის წარმოება უნდა ყოფილიყო მინი- მალურ ფასებში, ხოლო მიწოდება ყოველგვარი სავაჭრო ბარიერების გარეშე.

უზენაეს ხელისუფლებას, რომელიც მთავარ მარეგულირებელ და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოდ ითვლებოდა, ასევე უფლება ჰქონდა გამოეკვლია ბაზარზე მოქმედი ინტეგრაციის პროცესის შემაფერხებელი კერძო კომპანიების საქმიანობა და საჭიროების შემთხვევაში მათზე აკრძალვების დაწესება.

მოგვიანებით, 1957 წელს ხელი მოეწერა ევროპის ეკონომი- კური კავშირისა და ევრატიომის ხელშეკრულებას, რომელიც ძალაში შევიდა 1958 წელს. ჟან მონე და მისი მხარდამჭერები თვლიდნენ, რომ ეკონომიკური თანამშრომლობა ხელს შეუწყობდა პოლიტიკურ ინტეგრაციას და თავიდან ააცილებდა ომებს ევროპის კონტინენტს.

1959 წელს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ხელმძღვა- ნელობით შეიქმნა ახალი ეკონომიკური გაერთიანება, რომელშიც ბრიტანეთის გარდა შევიდნენ ავსტრია, შვეიცარია, პორტუგალია, ნორვეგია, შვედეთი და დანია. ამ გაერთიანების მიზანი იყო ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრი ქვეყნების შთანთქმა. რა თქმა უნდა, ბრიტანეთის სიმპათიები ამ შვიდეულის მხარეს იყო, რადგან ახალი ეკონომიკური გაერთიანება სხვა არაფერი იყო თუ არა თავისუფალი ვაჭრობის სფერო, ეკონომიკური კავშირი, რომელიც ბრიტანეთის სუვერენიტეტსა და პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებოდა.

მას შემდეგ, რაც დასავლეთ ევროპაში ეკონომიკური აღმავ- ლობის პერიოდი დაიწყო, დიდმა ბრიტანეთმაც გადაწყვიტა შეერთებოდა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას. 1961 წელს გაერთიანებაში გაწევრიანებაზე პრემიერ მინისტრმა მაკმილანმა პირველი განაცხადი გააკეთა. თუმცა, საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა ვეტო დაადო ბრიტანეთის მიღებას ევროპულ გაერთიანებაში, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის პრემიერ- მინისტრი პომპიდუ მხარს უჭერდა ბრიტანეთის ამ ინიციატივას. დე გოლის ამგვარი ქმედება გამოწვეული იყო 1963 წელს ამერიკის

შეერთებული შტატების მიერ ბრიტანეთისათვის წყვალქვეშა ხომალდის მიყიდვით.

დიდი ბრიტანეთის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა 1969 წელს, მას შემდეგ, რაც საფრანგეთისა და გერმანიის სათავეში მოვიდნენ ჟორჟ პომპიდუ და ვილი ბრანდტი.

პომპიდუსა და ბრანდტის პოზიციებმა დააჩქარა ბრიტანეთის ევროგაერთიანებაში ინტეგრაციის პროცესი. 1972 წლიდან დაიწყო მოლაპარაკება დიდ ბრიტანეთთან, დანიასთან, ირლანდიასა და ნორვეგიასთან ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრობაზე, ხოლო 1973 წლიდან ოფიციალურად გახდნენ ამ გაერთიანების წევრები. ერთადერთი ქვეყანა, რომელის მოსახლეობამაც რეფერენდუმზე მხარი არ დაუჭირა გაერთიანებაში შესვლას იყო ნორვეგია, რომელიც დღემდე არ არის ევროკავშირის წევრი. (კაპანაძე, ევროკავშირის პოლიტიკა, 2006, გვ. 7).

1970-იანი წლები ევროგაერთიანების ისტორიაში შევიდა, როგორც კრიზისების პერიოდი. 1975 წელს ევროპის ეკონომიკური გაერთიანება კრიზისის წინაშე აღმოჩნდა დიდი ბრიტანეთის გამო, რომელმაც გაწევრიანების ხელშეკრულების გადახედვა და მოლაპარაკებების თავიდან დაწყება მოითხოვა. 1975 წელს დიდ ბრიტანეთში ჩატარდა რეფერენდუმი ქვეყნის ევროგაერთიანებაში დარჩენასთან დაკავშირებით. რეფერენდუმში მოსახლეობის 67.2 პროცენტმა მხარი დაუჭირა ბრიტანეთის ევროგაერთიანებაში დარჩენას.

ეკონომიკურმა კრიზისმა ევროპულ საზოგადოებაში წარმოშვა სკეპტიკური და პესიმისტური განწყობა ევროპული იდეის მიმართ, რომ ინტეგრაცია არ აღმოჩნდა ისეთი გარდაუვალი და აყვავებული, როგორც ეს ზოგადად აღიქმებოდა.

სხვათა შორის, დღეისთვის ერთ-ერთ ყველაზე პროევროპულ პოლიტიკოსად ცნობილი ჟაკ შირაკი 1970-იანი წლებში გამოუსწორებელ ევროსკეპტიკოსად ითვლებოდა. შირაკი ევროგაერთიანების წინააღმდეგი იყო და უარს ამბობდა ეკონომიკურ ინტეგრაციაზე, რადგან ის საფრანგეთის საერთაშორისო იმიჯის საზიანოდ მიაჩნდა, მან ჟისკარ დ'ესტენის მთავრობას „უცხოების მთავრობა“ უწოდა. იმ პერიოდში ევროსკეპტიკოსები საკმაოდ

აქტიურობდნენ მთელს ევროპაში და მათ შორის ევროპარლამენტშიც.

მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა ევროპული გაერთიანების ისტორიაში მოხდა 1979 წელს, როდესაც ჩატარდა პირველი ევროპარლამენტის არჩევნები. ამ არჩევნებმა წარმოშვა შესაძლებლობა ევროპული გაერთიანების მომავალი რეფორმირებისათვის.

ევროპარლამენტის რეფორმების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ალტიერო სპინელს, რომელმაც 1980-იანი წლებიდან დაიწყო გაერთიანების გაძლიერება და პარლამენტის როლის გაფართოება. მან შეძლო ევროპარლამენტში შექმნილიყო ინსტიტუციონალური საკითხების კომიტეტი. ამ კომიტეტმა 1983 წელს შეიმუშავა ახალი ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების პროექტი, რომელიც 1984 წლის თებერვალში ევროპარლამენტმა დაამტკიცა ხმების უმრავლესობით.

ევროპის თანამეგობრობისთვის 1980-იანი წლების მეორე ნახევრის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ევროპულ ეკონომიკურ გაერთიანებაში ესპანეთისა და პორტუგალიის შესვლა.

ამავე პერიოდის არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1989 წელი, როდესაც დაიწყო ევროპის წევრი სახელმწიფოების ერთიან სავალუტო კურსზე გადასვლა. მართალია, დიდი ბრიტანეთი თავიდან შეუერთდა ამ სისტემას, მაგრამ ორ წელიწადში კვლავ გამოეყო ევროპულ სავალუტო კავშირს, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია სხვა სახელმწიფოებისათვის მიეღოთ გადაწყვეტილება გადასულიყვნენ ერთიან სავალუტო სისტემაზე. (კაპანაძე, ევროკავშირის პოლიტიკა, 2006, გვ. 8).

ევროკავშირის განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო 1991 წლიდან, როდესაც გაფორმდა მასტრიხტის ხელშეკრულება. ამ დოკუმენტის შედეგად გაიზარდა ევროპარლამენტის უფლებამოსილება, შეიქმნა ევროპის ცენტრალური ბანკი და დაიწყო სერიოზული მზადება ერთიანი ვალუტის შემოსაღებად.

ევროკავშირის გაფართოების ისტორიაში განსაკუთრებით აღსანიშნავია 1995–2004 წლები, როდესაც მას თავიდან შეედეთი, ავსტრია, ფინეთი, ხოლო მოგვიანებით ლიტვა, ლატვია ესტონეთი,

ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, პოლონეთი, მალტა და კვიპროსი შეუერთდა. 2008 წლისთვის გაერთიანებას კიდევ ორი ქვეყანა-რუმინეთი და ბულგარეთი შეემატა. 2013 წელს კი ბოლო გაფართოების შედეგად მისი წევრი ხორვატია გახდა.

2016 წელს პირველად ევროკავშირის ისტორიაში მისმა წევრმა სახელმწიფომ, დიდმა ბრიტანეთმა გამართა რეფერენდუმი ამ გაერთიანების დატოვების შესახებ, რომლის შედეგად ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობამ, 52 პროცენტმა მხარი დაუჭირა ევროკავშირიდან გასვლას 48 პროცენტის საწინააღმდეგოდ.

2016 წელს ბოსნია და ჰერცეგოვინამ წარადგინა განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანებაზე.

2022 წელს უკრაინამ, საქართველომ და მოლდოვამაც, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, წარადგინეს განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანებაზე. უკრაინა და მოლდოვა აღიარებულ იქნა ოფიციალურ კანდიდატებად, ხოლო ბოსნია და ჰერცეგოვინა და საქართველო აღიარებულნი არიან პოტენციურ კანდიდატებად და მათ სთხოვეს დამატებითი რეფორმების დასრულება, სანამ ოფიციალური კანდიდატები გახდებიან.

2022 წლის მონაცემებით, გაწევრიანების მოლაპარაკებები მიმდინარეობს ალბანეთთან (2020 წლიდან), მონტენეგროსთან (2012 წლიდან), ჩრდილოეთ მაკედონიასთან (2020 წლიდან), სერბეთთან (2014 წლიდან) და თურქეთთან (2005 წლიდან). მოლაპარაკებები თურქეთთან ფაქტობრივად შეჩერებულია 2016 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ დემოკრატიული ინსტიტუტების შესუსტების გამო.

ევროკავშირის ისტორიაში ამ უპრეცედენტო ფაქტის მიუხედავად, კავშირის ლიდერები ინარჩუნებენ ოპტიმიზმს და აცხადებენ, რომ 27-წევრიან გაერთიანებას შეუძლია ბრიტანეთის გარეშეც იოლად გაუმკლავდეს მის წინაშე მდგარ გამოწვევებს.

ამდენად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ: ერთიანი ევროპის იდეა, რომლის პირველი ნიშნებიც IX-X საუკუნეებში იღებს სათავეს, ეფუძნებოდა ევროპას, როგორც ქრისტიანულ სამყაროს. ის ევროპასა და გარე მტერებს შორის დაპირისპირებით მიმდინარეობდა.

მოგვიანებით, ევროპამ, როგორც ქრისტიანული სამყაროს იდეამ, თანდათან დაკარგა პოპულარობა, რაც თავიდან განპირობებული იყო დასავლური ქრისტიანული სამყაროს დაყოფით კათოლიკურ და პროტესტანტულ რეგიონებად და პირველი ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბებით. მოგვიანებით კი ოცდაათწლიანი რელიგიური ომებით, რომელიც სისხლიან უბედურებად გადაიქცა (1618–1648) და რამაც პაციფიზმის ახალი ტალღა წარმოშვა. XVII საუკუნის ევროპული პროექტები პოლიტიკური პრაგმატიზმი ეფუძნებოდა და აშკარად ცივილიზაციურ ხასიათს ატარებდა.

რაც შეეხება განმანათლებლობის ფილოსოფიას, რომელიც ევროპაში XVII საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიშვა და XVIII საუკუნეში ევროპული საზოგადოების იდეოლოგიური საფუძველი გახდა, მან ღრმა კვალი დატოვა ევროპული იდეისა და ევროპული პოლიტიკური მოდელის განვითარებაზე.

ევროპული იდეის ჩამოყალიბების პარალელურად ასევე მიმდინარეობდა კოლონიზაციის პროცესები, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო ევროცენტრიზმის გაჩენას, რომელიც ჩამოყალიბდა რასობრივი თეორიის საფუძველზე და მიზნად ისახავდა ნაციტურ-ევროპული პროექტის „ახალი ევროპა“ განხორციელებას.

თავის მხრივ, ევროპელებსა და სხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის აქტიურმა ურთიერთობებმა, რომელიც ეფუძნებოდა ჰუმანურ და საგანმანათლებლო ტრადიციებს, ხელი შეუწყო ევროპული იდეოლოგიური მემკვიდრეობის ლიბერალური კომპონენტის ჩამოყალიბებას.

საბოლოოდ, XIX საუკუნეში მიმდინარე ფართომასშტაბიანი სისხლიანი დაპირისპირებები ევროპის სახელმწიფოებს შორის XX საუკუნეშიც გაგრძელდა და ორი მსოფლიო ომით დასრულდა, რამაც მასობრივი პაციფისტური და ევროპული მოძრაობების შესუსტება და ჩახშობა გამოიწვია. მისი შემდგომი აღდგენა უკვე ომების შემდეგ დაიწყო და დამთავრდა ევროკავშირის შექმნით, რომელიც დღეს 27 წევრი სახელმწიფოსგან შედგება.

ქართველთა მონაწილეობა ერთიანი ევროპის იდეის პროექტებში

რაც შეეხება საქართველოს ერთიან ევროპული იდეის პროექტებში მონაწილეობას, ამ მხრივ წინარე ისტორიული მნიშვნელოვანი მაგალითია ქართველთა მიერ ჯვაროსნული ლაშქრობების მხარდაჭერა და მასში მონაწილეობა.

ჯვაროსანთა მოძრაობამ ევროპის ქვეყნების მსგავსად, შეაღწია საქართველოს რელიგიურ, სამხედრო და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ქართულ მენტალიტეტში იგი ასრულებდა საერთო მტრის წინააღმდეგ მოქმედების საზიარო იდეალს. (პაპაშვილი, საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტში (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები), 2019, გვ. 121). სახელდობრ, მუსლიმური მმართველობისაგან გაეთავისუფლებინათ ქრისტეს საფლავი იერუსალიმში. ამ ბრძოლაში საქართველო ლათინური დასავლეთის ბუნებრივი მოკავშირეა, (ავალიშვილი, 1929, გვ. 32) (ავალიშვილი, 1929, გვ. 32) მაგრამ ქართული სახელმწიფო მოქმედებას იმ საზღვრებში ცდილობდა, სადაც მისი ინტერესების გარანტიების დაცვა იყო შესაძლებელი.

საქართველოს მეფეს დავით IV აღმაშენებელს (1089-1125) ჯვაროსნებთან უშუალო კონტაქტი ჰქონდა. (ავალიშვილი, 1929, გვ. 45) პირდაპირ ბრძოლის ველზე გაეცნო ევროპა და საქართველო დიდგორის ომში. ამ მსოფლიო დონის ბრძოლაში (1121 წ.) 200 ევროპელი რაინდის მონაწილეობა მუსლიმთა ფართო კოალიციის წინააღმდეგ საერთო ქრისტიანულ საქმეს წარმოადგენდა და ამით ამ ომს საერთაშორისო მნიშვნელობა ეძლეოდა. (პაპაშვილი, საქართველო შუა საუკუნეების ევროპულ სამყაროში, 2011, გვ. 127-128) დიდგორმა ფრანგ ჯვაროსნებში აღმოსავლეთში საქართველო მუსლიმთა წინააღმდეგ “...წინა ბურჯად...”, (ავალიშვილი, 1929, გვ. 32)¹⁶ ანუ დასავლური ქრისტიანობის ფორპოსტად აქცია. ამდენად, წმინდა ტახტსა და დასავლელ ჯვაროსან მესვეურებს საქართველოსთან ურთიერთობა აღქმული ჰქონდათ საერთოქრისტიანულ და საერთოევროპულ კონტექსტში.

¹⁶ ავალიშვილი ზ. დასახ. ნაშრ., გვ.18.

დავით აღმაშენებლის შემდეგ თამარ მეფეც მხარს უჭერდა ჯვაროსნულ ლაშქრობას. ლაშა გიორგიც აპირებდა ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებას, მაგრამ მონღოლთა შემოსევისა და თვით მისი გარდაცვალების გამო მას ეს არ დასცალდა. 1225 წელს ჯალალ ედ-დინის შემოსევის გამო ვერც რუსუდან მეფემ განახორციელა პაპისადმი მიცემული პირობა დახმარებოდა ჯვაროსნებს. ამის შემდეგ საბოლოოდ შეწყდა ჯვაროსნებზე ფიქრი, რადგანაც საქართველო თავად აღმოჩნდა განსაცდელის წინაშე და იძულებული გახდა თვითონვე ეძებნა მოკავშირე, რომელიც დახმარებას გაუწევდა ამ მძიმე განსაცდელის ჟამს.

ქართველი განმანათლებლები ევროპული ფასეულობების შესახებ

ევროპული ფასეულობების პოპულარიზაციასა და ქართულ რეალობაში მათი დამკვიდრების საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის XIX-XX საუკუნის ქართველ მოაზროვნეებსა და განმანათლებლებს¹⁷ ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს, ვაჟა-ფშაველას, არჩილ ჯორჯაძეს, ივანე მაჩაბელს და სხვ. ისინი ევროპელობას თავისუფლების, ჰუმანურობის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართველთა ევროპული ხედვა დაეყრდნო სამ ერთმანეთთან დაკავშირებულ იდეას: ევროპას,

¹⁷ ქართველი განმანათლებლების საქმიანობის შესახებ დამატებით იხ. **ადრიან ბრისკუ**, რომელმაც შთამბეჭდავი შედარებითი კვლევა ჩაატარა ქართულ-ალბანურ დისკურსზე ევროპის შესახებ. სადაც განხილულია ამ ორი ქვეყნის ორაზროვანი და ხშირ შემთხვევაში ამბივალენტური მიდგომა ევროპის მიმართ, რომელიც ხან იმედის, ხან კიდეც იმედგაცრუების წყარო იყო მთელი ისტორიის მანძილზე. **ოლივერ რაისნერი**, რომელიც ეხმიანება ბრისკუს ნაშრომს და ეთანხმება ქართველების ამბივალენტურ მიდგომას ევროპული დისკურსის მიმართ.

ასევე აღსანიშნავია **გიორგი ქავთარაძის** სადოქტორო ნაშრომი „დასავლური ღირებულებები ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში“, რა თქმა უნდა, კვლევაში გამოყენებული და დამოწმებული ნაშრომები სია სრულყოფილი არაა და იმედია, სხვა ავტორები არ გაგვიანაწყენდებიან.

როგორც გეოპოლიტიკურ სივრცეს, სოციალურ - ეკონომიკური პროგრესის მოდელს და თანამედროვე ცივილიზაციის სამშობლოს. ამ სამმა იდეამ უდიდესი გავლენა მოახდინა საქართველოს ისტორიაზე ეროვნული მოძრაობის დაწყებიდან პირველი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს შექმნამდე. (Brisku A, 2015, გვ. 515).

„ჩვენ გვსურს დასავლეთ ევროპასთან გავმართოთ საუბარი, – წერდა არ. ჯორჯადე, - ევროპასაც უნდა გავაცნოთ საქართველო, მისი წარსული, აწმყო და მომავლის იმედი. ...ჩვენთვის ევროპის ზნეობრივი თანაგრძნობაც ძვირფასი იქნებოდა, რადგან ამ თანაგრძნობით გავამხნეებდით და წავახალისებდით უსასოო, დაჩაგრულ პატარა ერს“.

მიუხედავად იმისა, რომ ნიკო ნიკოლაძისა და არჩილ ჯორჯაძის მოსაზრებები პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ განსხვავებული იყო (კერძოდ, რუსეთთან მიმართებაში), ზოგადად, ორივე თანხმდებოდა, რომ საქართველოს პოლიტიკური ორიენტირი დასავლეთისაკენ უნდა ყოფილიყო მიმართული, რადგანაც «სინათლე და მოძრაობა» დასავლეთიდან მოდის და, შესაბამისად, ამ ღირებულებების - კანონის უზენაესობის, თავისუფლების, დემოკრატიის, თავისუფალი ბაზრის და სხვათა შესახებ, საქართველოს აღორძინების საფუძველი უნდა გამხდარიყო.

ევროპას მომავლის თვალთ უყურებდნენ ახალგაზრდა ქართველი მწერლებიც, რომლებიც „ცისფერყანწელების“¹⁸ სახელით იყვნენ ცნობილი. ისინი აცხადებდნენ, რომ ქართული კულტურა ყოველთვის იყო ევროპული. ისინი საუბრობდნენ საქართველოს ევროპულ ცივილიზაციაში „დაბრუნებაზე“. (Brisku A, 2015, pp. 515-529) მათი დევიზი იყო „დასავლეთისკენ“.

ცისფერყანწელთა ერთ-ერთი თვალსჩინო წარმომადგენელი ტიციან ტაბიძე (1895-1937) თერგდალეულებს, განსაკუთრებით კი ილია ჭავჭავაძეს საყვედურობდა, რომ მათ ვერ დაინახეს მსგავსება ქართულ და ევროპულ კულტურებს შორის. (ხოფერია, 1997, p. 309)

პაოლო იაშვილიც (1894-1937), რომელიც საკუთარ თავს ცისფერყანწელად თვლიდა, ჩიოდა ევროპული ლიტერატურის

¹⁸ ქართველ პოეტთა და პროზაიკოსთა შემოქმედებითი გაერთიანება 1920-იან წლებში.

ქართული თარგმანების არარსებობაზე. ის სტატიაში, „ჩვენი დროება“, წერდა, რომ ახალგაზრდა პოეტები და მწერლები უნდა გათავისუფლებულიყვნენ აზიური გავლენისგან და წერის ახალი, ევროპული ფორმები აეთვისებინათ.

ევროპული დებატები საქართველოში მთლიანად შეწყდა 1921 წლიდან, რუსეთის მიერ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. ხოლო მრავალი ევროპულად მოაზროვნე პოლიტიკოსი და მწერალი 1937 წელს, სტალინის დიქტატურის დროს დახვრიტეს ან გადაასახლეს.

ევროპაზე დებატები საქართველოში მხოლოდ 1980-იანი წლების ბოლოს ე.წ. პერესტროიკის პერიოდში განახლდა.

ამდენად, ქართველ განმანათლებლებსაც მიაჩნდათ, რომ საქართველოს პოლიტიკური ორიენტირი დასავლეთისაკენ უნდა ყოფილიყო, რაც საქართველოს აღორძინების საფუძველი უნდა გამხდარიყო.

ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი მეცნიერები ევროპული იდეალების შესახებ

ერთიანი ევროპის იდეის მხარდაჭერისა და ჩამოყალიბების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ემიგრაციაში მყოფმა ქართველმა მეცნიერებმა და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა.

1918 წელს რუსეთის რევოლუციით ისარგებლეს იმპერიაში შემავალმა ყოფილმა სახელმწიფოებმა და აღადგინეს დამოუკიდებლობა. მათ შორის საქართველომაც. დამოუკიდებელი ქართული რესპუბლიკა აქტიურად ცდილობდა ევროპულ სივრცესა და ორგანიზაციებში ინტეგრაციას, თუმცა 1921 წელს ესეც ჩაიშალა, ამჯერად ბოლშევიკური რუსეთის ოკუპაციის შედეგად, რომელიც 1991 წლამდე გაგრძელდა.

ოკუპაციის შემდეგ მრავალი ქართველი მეცნიერი, პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა და საზღვარგარეთ გამგზავრებულიყო. ემიგრაციაში ყოფნისას მათ იმედი არ დაუკარგავთ, რომ საქართველო კვლავ მოიპოვებდა დამოუკიდებლობას და გაერთიანებულ ევროპაში ღირსეულ ადგილს დაიკავებდა. მათ მრავალი ნაშრომები შექმნეს

ემიგრაციაში (აღსანიშნავია, რომ ეს ნაშრომები დღემდე ბოლომდე შეუსწავლელია, ამიტომაც კვლავ დიდი შრომაა ჩასატარებელი ემიგრანტული მემკვიდრეობის შესასწავლად), რომელთა ნაწილი გაერთიანებული ევროპის შექმნის იდეებს ეძღვნება.

ემიგრაციაში მყოფ ეროვნული მთავრობის თავმჯდომარეს, ნოე ჟორდანიას (1868-1953) მიაჩნდა, რომ ევროპის გზა საუკეთესოა და ქართველებმა ამ გზას უნდა მისდიონ. მისი აზრით, საქართველო ევროპაში უნდა შევიდეს არა რუსეთთან ერთად, არამედ როგორც დამოუკიდებელი, თავისუფალი ქვეყანა. როგორც ჟორდანიას აღნიშნავდა, საქართველო მუდამ ევროპისკენ ისწრაფოდა... საქართველო თავისი ისტორიით ევროპის ნაწილია, მისთვის არაევროპული ურთიერთობა თავს მოხვეულია და ერის გადაშენებისკენაა მიმართული. რუსეთს არ მოელოს ასეთი გადაშენება, ვინაიდან ის თავის ისტორიულ საფუძველზე დგას. აზიელობა ბოლოს და ბოლოს უნდა გათავდეს ევროპიელობით. ეს ბუნებრივი მსვლელობაა, მაგრამ ევროპული ერის, საქართველოს, გააზიელება ძალმომრეობაა. „ჩვენი მომავლის რუსეთის მომავალთან გადაბმა ნიშნავს ჩვენს სავსებით განადგურებას არა მარტო პოლიტიკურად და ნაციონალურად, არამედ ფიზიკურადაც... ბოლშევიზმის ხიდან დემოკრატიზმი ვერ ჩამოვარდება“. ამიტომაც საქართველო დროულად უნდა ჩამოშორდეს რუსეთს, აღადგინოს თავისი სუვერენობა და იაროს საკუთარი გზით. ქართველი ერი საბოლოოდ ევროპის ოჯახში უნდა გაერთიანდეს“.¹⁹

ერთიანი ევროპის იდეის მხარდაჭერის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს – მიხეილ მუსხელიშვილმა (მიშელ მუსხელი 1903-1964) და ალექსანდრე ნიკურაძემ (1901-1981)²⁰

მიხეილ მუსხელიშვილმა ერთ-ერთმა პირველმა წამოაყენა ევროპის გაერთიანების იდეა, მან განათლება მიიღო გეტინგენის, მიუნხენის, ლიონისა და პარიზის უნივერსიტეტებში. 1931 წელს მუსხელიშვილს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი

¹⁹ დამატებით იხ. ჟორდანიას ნ. ბრძოლის საკითხები, პარიზი, 1923.

²⁰ ემიგრანტ ევროპოლოგებზე - მიხეილ მუსხელიშვილსა და ნიკო ნიკურაძესთან დაკავშირებით დამატებით იხ. შუბითიძე, ვ. (2013). ვროპა და ქართული პოლიტიკური აზროვნება (საქართველოს ევროპული იდენტობა. თბილისი; ჯაფარიძე, ე. (2019). ევროინტეგრაციის სათავეებთან თბილისი.

მიენიჭა და პარიზის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთერთობების კვლევითი ინსტიტუტის პროფესორი გახდა. მოგვიანებით, 1948 წელს, აირჩიეს სტრასბურგის უნივერსიტეტის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის პროფესორად. (მუსხელი, 2019, გვ. 28)

მიხეილ მუსხელიშვილი იმავდროულად „ევროპის ხალხთა კონგრესის“ პირველი ხელმძღვანელი და “ფედერალური ევროპის მოძრაობის” აქტიური მონაწილე იყო.

სტატიაში „საქართველო და ევროპა“ მუსხელიშვილი წერდა, რომ საჭიროა ფიქრი იმაზე თუ რა ადგილს დაიმკვიდრებს თავისუფალი საქართველო ხვალინდელ მსოფლიოში..., როგორ შეუძლია მას თავი დააღწიოს რუსულ აგრესიას. ქვეყანა დგას არჩევანის წინაშე: ან იძულებით დარჩეს რუსეთის შემადგენლობაში ან ახალი მოკავშირე იპოვოს. რეალურად ქვეყანა არჩევანის გარეშეა და არასოდეს შეეგუება რუსეთთან შეერთებას.

1948-1949 წლებში მ. მუსხელის ინიციატივით შეიქმნა საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომელსაც შემდგომ „მუსხელის“ ცენტრი ეწოდა. მუსხელის” ცენტრი წარმოადგენდა პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო სამართლის, სოვეტოლოგიის დარგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს საფრანგეთში, სადაც მუშავდებოდა ევროინტეგრაციის და ევროპული საზღვრების ერთიანობის იდეა. იგი იყო პირველი ქართველი და ერთ-ერთი პოლიტიკური მოღვაწე მსოფლიოში, რომელმაც ევროგაერთიანების და ევროპული საზღვრების მოშლის იდეა წამოაყენა.

1952 წლიდან მიშელ მუსხელი, როგორც „ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ასამბლეის წარმომადგენელი“ აქტიურად თანამშრომლობს ევროპის საბჭოს საქმიანობაში.

1953 წელს მ. მუსხელიშვილის ინიციატივით დაარსდა “ევროპული ქართული მოძრაობა“, რომლის საპატიო თავმჯდომარე მიხეილ წერეთელი იყო. (შუბითიძე, 2013)

1954 წელს მუსხელიშვილმა „ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაცია“ დაარსა და მისი გენერალური მდივანი გახდა. სტრასბურგში მუსხელმა შექმნა „მუსხელის სამეცნიერო ცენტრი“, რომელიც ევროინტეგრაციის საკითხებს იკვლევდა. აღნიშნული ცენტრის საქმიანობაში

ჩართული იყო მრავალი გამოჩენილი მეცნიერი. (შუბითიძე, 2013, გვ. 139).

მიხეილ მუსხელიშვილს ხშირად იწვევდნენ ამერიკის შეერთებულ შერთებულ შტატებშიც ლექციების წასაკითხად, 1954 წელს მან მოხსენებები წაიკითხა ჩრდილოეთ ამერიკის ყველა დიდ ქალაქში, უნივერსიტეტებში, პოლიტიკურ და დიპლომატიურ წრეებში, იქიდან დაბრუნებული გაემგზავრა სკანდინავიაში სადაც წაიკითხა მოხსენება ევროპის ცივილიზაციაზე - წერდა მაშინდელი ჟურნალი „ბედი ქართლისა. (ბედი ქართლისა, 1954, #17).

1955 წელს გამართულ მსოფლიო კონგრესზე მიშელ მუსხელმა თავის მიმართვაში განაცხადა: „ახლა დადგა დრო ევროპელთა ინტელექტუალური და კულტურული ერთობის გაერთიანების შესახებ“, რაც გულისხმობდა ერთიანი ევროპული განათლების სისტემის გარდაქმნასა და სწავლების ერთიანი მეთოდების შემუშავებას. (შუბითიძე, 2013, გვ. 142).

მუსხელი ერთიანი ევროპული ბაზრის შექმნის აუცილებლობასაც მხარს უჭერდა. 1958 წელს ბრიუსელში ევროპელ პროფესორთა ასოციაციის კონგრესზე მ. მუსხელიშვილმა მოხსენება წაიკითხა ევროპის საერთო ბაზრის შექმნის შესახებ და მის სამართლებრივ ასპექტებზე. (ბედი ქართლისა, 1958, #28-29) ის მიიჩნევდა, რომ ევროპის გაერთიანების შემდგომ უნდა მოხდარიყო ევროპის ბაზრის გაერთიანება, რაც გაადვილებდა სავაჭრო კავშირებს ქვეყნებს შორის და შექმნიდა ერთიან საბაზრო სისტემას ევროპის კონტინენტზე. (შუბითიძე, 2013, გვ. 131).

გერმანიაში მოღვაწეობდა, ასევე, ქართველი მეცნიერი ალექსანდრე ნიკურაძე.²¹ ის კონტინენტური ევროპის კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი და დამაარსებელი იყო მიუნჰენში, მასთან

²¹ წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში, რუსთაველის ფონდის მხარდაჭერით, მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის არქივში მივლინებისას, მოძიებულ იქნა ნიკო ნიკურაძის პირადი არქივი, რომელიც ძირითადად ბიოგრაფიული ხასიათის აღმოჩნდა და შესაბამისად ამ ნაშრომში აღნიშნული მასალების განთავსება მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთ, ისინი დამუშავდება და ფონდის ეგიდით ცალკე ნაშრომის სახით გამოქვეყნდება.

ერთად ამ ინსტიტუტში მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ზურაბ ავალიშვილი.

ალექსანდრე ნიკურაძემ გერმანულ ენაზე გამოსცა რამოდენიმე წიგნი, რომელთა შორის მნიშვნელოვანია: „ევროპა-ამერიკა“ (Europa-USA), „ევროპის წარმოშობის შესახებ“ (Um die Gestaltung Europas) „აღმოსავლეთ ევროპა“, (Osteuropa), გადამწყვეტი ბრძოლის საათები ევროპისთვის“ (Die Stunden Der Entscheidung Kampf um Europa), „კავკასია“ (Kaukasus), რომლებშიც განხილულია ევროპული ინტეგრაციის საკითხები. ნიკურაძემ ასევე მრავალი ნაშრომი მიუძღვნა ქართულ - ევროპულ ურთიერთობებს გერმანულ ენაზე, მათ შორის: „კავკასია“, „ქართული არქიტექტურის საკითხისათვის შუა საუკუნეების ევროპულ აღმოსავლეთში“, „სკანდინავიელები და ქართველები პონტო-ბალტიის სანაპიროზე“, „დოქტორი ოტტო გიუნტერ ფონ ვეზენდოკი, როგორც ქართველოლოგი“, „ისტორიოგრაფიული შეხედულებანი ალბანეთის შესახებ“, „დასავლეთ ევროპის რომანული არქიტექტურისა და ქართული არქიტექტურის პარალელების ახსნის ცდა“, „დასავლეთ ევროპა და კავკასია პარალელების სახით“, „სუმერთა პირვანდელი ადგილსამყოფელის საკითხისათვის“ (კავკასია შესაძლოა პირველი სამშობლოა სუმერთა ლითონის) და სხვა. (პროფესორი ალ. ნიკურაძე პარიზში, 1951)²².

1951 წლის სექტემბერში მან პარიზის ქართულ სათვისტომოში წაიკითხა მოხსენება “ზოგადი სურათები ქართულ-ევროპული წარსულიდან”.

1952 წელს საფრანგეთში, ქ. კომპიენტან ალექსანდრე ნიკურაძის ინიციატივით შედგა ევროპულ მეცნიერთა კონგრესი, რომელმაც მიიღო პროფესორ ალექსანდრე ნიკურაძის წინადადება მცნება-ტერმინის “ევროპოლოგიის” „EuropeanStudies“ შემოღების შესახებ, რაც გაზიარებულ იქნა ევროპულ მეცნიერთა მიერ (ჯაფარიძე, 2019, გვ. 142) და გულისხმობდა ევროპული სამეცნიერო დარგების თავმოყრას და ერთ სწავლებად ჩამოყალიბებას.

ამდენად, ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი მეცნიერები მხარს უჭერდნენ ევროპის გაერთიანების იდეას და იმედოვნებდნენ, რომ საქართველო კვლავ მოიპოვებდა დამოუკიდებელობას და გახდებოდა ერთიანი ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი.

²² დამატებით იხ. შარაძე გ. უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი I. თბილისი.

თავი V. საქართველოს ევროპეიზაცია

საქართველოს ევროპეიზაცია რებროსკეფტულ ჭრილში

მიუხედავად იმისა, რომ ევროპეიზაციის შესახებ დისკურსი 1990-იანი წლებიდან დაიწყო, ამ თემაზე, როგორც ზოგად, ისე საქართველოს მაგალითზე ლიტერატურა ქართულ ენაზე საკმაოდ მწირია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ მეცნიერები საქართველოს ევროპეიზაციას განიხილავენ მხოლოდ ევროკავშირთან მიმართებაში. არადა, მნიშვნელოვანია ამ პროცესის შესწავლა რეტროსპექტულ ჭრილშიც, რაც საშუალებას მოგვცემდა დაგვედგინა საქართველოს ევროპეიზაციის მახასიათებლები ისტორიის მთელ მანძილზე, მოყოლებული ანტიკური პერიოდიდან დღემდე.

ამიტომაც, ამ საკითხის გარკვევისთვის გამოვიყენეთ ევროპეიზაციის შესახებ სოციალურ მეცნიერებებში არსებული ის გაგება, რომლის მიხედვით ევროპეიზაცია განხილულია ისტორიულ, კულტურულ, ინსტიტუციურ და პოლიტიკურ კონტექსტში,²³

სადაც, ისტორიული კონტექსტი მოიცავს ისეთ კატეგორიას, როგორცაა “ღირებულებების ექსპორტი”, “ვესტერნიზაცია” და “ევროპულ ოჯახში” დაბრუნება.²⁴

ხოლო კულტურული მიდგომა ევროპეიზაციას განიხილავს, როგორც ნორმების, იდენტობების, იდეებისა და ქცევის წესების დიფუზიის პროცესს, ანუ საუბარია ევროპული კულტურის და ღირებულებების გავრცელების პროცესზე. ეს მიდგომა ეხება,

²³ დამატებით იხ. Featherstone K., and Claudio R., *The Politics of Europeanization*, Oxford University Press, 2003; Kohout, J., —On Patocka’s *Philosophy on History*, *Filosoficky Casopis*, 47 (1), 1999.

²⁴ დამატებით იხ. Lippert B, Gary U, Wolfgang W, — *Europeanization of CEE Executives: EU Membership Negotiations as a Shaping Power*, *Journal of European Public Policy*, 2001.

როგორც პოლიტიკური კულტურის, ისე სხვადასხვა სტრუქტურული რეფორმების პროცესს, მათ შორის, განათლების სისტემაში.²⁵

რაც შეეხება ინსტიტუციურ ადაპტაციას, ის გამოიყენება იმ ცვლილებების აღსაწერად, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში ხდება სხვა ინსტიტუტებიდან გამომდინარე. სწორედ ეს პროცესი ასოცირდება ყველაზე მეტად ევროპეიზაციის პროცესთან და იწვევს სახელმწიფო ინსტიტუტების ტრანსფორმაციას.²⁶

და ბოლოს, პოლიტიკური კონტექსტი გულისხმობს პოლიტიკური პროცესების ადაპტაციას და მიმართულებების ტრანსფორმაციას.

აქვე მინდა ავლნიშნო, რომ მოცემულ საკითხზე მსჯელობა მხოლოდ მისი წინ წამოწვევის მცდელობაა და მას უფრო მეტის პრეტენზია არ გააჩნია, რადგან მხოლოდ თეზისების სახით გვექნება მასზე საუბარი.

მართალია, ჩვენ წინა თავებში საუბარი გვქონდა საქართველოს ევროპულ სამყაროსთან ურთიერთობების ისტორიულ კონტექსტზე, მაგრამ არ გვისაუბრია ამ პროცესის ევროპეიზაციაზე და გვსურს მოკლედ გავამახვილოთ ყურადღება ამ საკითხზე.

ვინაიდან, ქართული პოლიტიკური ერთეულები ისტორიულად დაკავშირებული იყვნენ ბერძნულ, რომაულ, ბიზანტიურ და მოგვიანებით კათოლიკურ სამყაროსთან, ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში აქ „ვესტერნიზაცია“ (ანუ ევროპეიზაცია) და “ღირებულებების ექსპორტი” მიმდინარეობდა იმ დოზით, რა დოზითაც შესაძლებელი იყო ისტორიის იმ მოცემულ ეტაპზე.

შესაბამისად, ეს მოცემულობა საშუალებას გვაძლევს ისტორიულად ქართველები ევროპის ანუ დასავლეთის სივრცეში მოვიაროთ.

²⁵ დამატებით იხ. Seitter, W., —Adult Education between Europeanization and National Traditions, Zeitschrift fu Pädagogik, 39 (3), 1993.

²⁶ დამატებით იხ. Wessels W, Comitology: Fusion in Action – Politico-administrative Trends in the EU System, Journal of European Public Policy, 5 (2), 1998

ვინაიდან, კულტურული კონტექსტი ღირებულებების გავრცელების პროცესზე მიუთითებს, აშკარაა, რომ ქართველთა ურთიერთობები დასავლურ სამყაროსთან, თავისთავად განაპირობებდა ამ სივრცის კულტურული ღირებულების გავრცელებას ჩვენს ქვეყანაში.

რაც შეეხება ინსტიტუციური და პოლიტიკური ადაპტაციის კონტექსტს, მოყოლებული ანტიკური პერიოდიდან აშკარაა რომ ქართული პოლიტიკა გარკვეულწილად განიცდიდა ბერძნულ, რომაულ და ბიზანტიურ გავლენას (რადგანაც აქტიურად იყო ჩართული იქ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში), რასაც თავისთავად ინსტიტუციური და პოლიტიკური ადაპტაცია უნდა მოჰყოლოდა, რაზეც ქართული პოლიტიკური ელიტისთვის რომაულ-ბიზანტიური ტიტულების მინიჭებაც ადასტურებს.

ევროპეიზაცია თანამედროვე ქართულ რეალობაში

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დეფინიციის თანახმად, ევროპეიზაცია ევროკავშირის ფორმალური და არაფორმალური წესების, ნორმების ეროვნულ დონეზე დანერგვას გულისხმობს, რაც არა მხოლოდ საჯარო პოლიტიკის, არამედ შინაური დისკურსისა და იდენტობების სფეროებსაც ეხება. ამდენად, ტერმინი “ევროპეიზაცია“ ქვეყნის ევროპულ მოდელთან ადაპტაციის კონტექსტში განიხილება.

საქართველოს შემთხვევაში ევროპეიზაციის პროცესის გაგებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ადაპტაციის, არამედ ევროინტეგრაციის პროცესების შესწავლაც.

თუმცა ისიც ფაქტია, რომ „ევროპეიზაცია არ არის ევროინტეგრაციის ექვივალენტური კატეგორია. ის მართვის სოციალურ-პოლიტიკური პრინციპებისა და მექანიზმების ევროკავშირის სტანდარტებთან ადაპტაციას გულისხმობს და მოიცავს, როგორც მის წევრ, ასევე არაწევრ ქვეყნებსაც“.

ამ პროცესში ასევე ნიშნულგანია იმის გააზრებაც, რომ ევროპეიზაცია ორ ფაზას მოიცავს: გაწევრიანებამდე და გაწევრიანების შემდეგ. გაწევრიანებამდე ქვეყანა ისე უნდა მოემზადოს, რომ შეძლოს დაკისრებული მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესრულება. გარდა ამისა ქვეყანამ საერთაშორისო თანამეგობრობას უნდა დაუმტკიცოს, რომ ის ღირსეული პოტენციური წევრი-სახელმწიფოა. შესაბამისად, ქვეყანაში უნდა განახორციელოს არა ფასადური, არამედ რეალური ცვლილებები.

ევროპეიზაციის პროცესში ასევე მნიშვნელოვანია პირობითობის მექანიზმები, რაც ჩვეულებრივი პრაქტიკაა ევროკავშირში გაწევრიანების წინ და ხშირად გამოიყენება სხვა, ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოებთან მიმართებაშიც. ბუნებრივია, რომ პირობითობა მხოლოდ მაშინ არის ეფექტური, როდესაც ქვეყანას, რომელსაც პირობები წაეყენება, რეალურად სურს ევროკავშირში გაწევრიანება და იზიარებს დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და უმცირესობების უფლებების დაცვის, ასევე საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტურ პრინციპებს.

პირობითობის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ქვეყნის ევროკავშირში სრული გაწევრიანების პერსპექტივა. სწორედ ამან განაპირობა რეფორმების წარმატებულად და სწრაფად განხორციელება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ისინი მოტივირებულნი იყვნენ გაწევრიანების ნამდვილი პერსპექტივით, რამაც მისცა პოლიტიკოსებს საშუალება სწრაფად გაეტარებინათ რეფორმები ევროკავშირში გაწევრიანების მოტივით.

საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების ხელშეკრულებებშიც მრავლად არის პირობითობის ელემენტები.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველომ, უკრაინამ და მოლდოვამ სერიოზული ნაბიჯები გადადგეს ევროკავშირთან დასახლოებლად. მიუხედავად იმისა, რომ მათი ინტეგრაციის დონე ევროკავშირთან განსხვავებულია. (კაპანაძე, პირობითობისა და

სოციალიზაციის გავლენა ევროპული პოლიტიკის მაკოორდინებელი შიდა ისტიტუტების ტრანსფორმაციაზე აღმოსავლეთ ევროპისა და საქართველოს ევროპეიზაციის პროცესში, 2009)

საქართველოს ევროპეიზაციის განვითარების ამ ეტაპზე ჰქონდა გეგმა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსზე განაცხადი შეეტანა 2024 წლისთვის, მაგრამ რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობის ფონზე მოულოდნელად გაჩნდა შესაძლებლობა საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი და 2022 წლის 23 ივნისს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ლიდერთა გადაწყვეტილებით საქართველოს მიეცა ევროპული პერსპექტივა და შანსი კანდიდატის სტატუსის მისაღებად. ევროპული საბჭო მზადაა კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიანიჭოს საქართველოს მას შემდეგ, რაც გადაიჭრება საქართველოს განაცხადთან დაკავშირებით ევროკომისიის მოსაზრებაში დასახელებული პრიორიტეტული საკითხები.

ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად საქართველოს მიერ შესასრულებელ 12 პირობას შორისაა პოლიტიკური პოლარიზაციის დაძლევა, ინსტიტუტების გამართულად მუშაობა და მათი დამოუკიდებლობა, სასამართლოს რეალური დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, ელიტური კორუფციის შემთხვევების ეფექტიანად გამომიება, დეოლიგარქიზაცია, თავისუფალი მედიაგარემო და ა.შ.

ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ საბუთში ნათქვამი იყო, რომ კომისია შეაფასებს საქართველოს პროგრესს 2022 წლის ბოლოს.

ეს პროცესი, იმავდროულად, ევროპეიზაციის პროცესის დაჩქარებასაც გამოიწვევს. თუმცა, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროკავშირის მოთხოვნების რეალიზება მარტივი პროცესი არ იქნება.

მიუხედავად ამისა, უნდა მოხდეს პოლიტიკური ელიტისა და საზოგადოების კონსოლიდაცია, რათა მოხდეს ამ ისტორიული შესაძლებლობის განხორციელება.

ამდენად, ამ პირობების განხორციელება ახალ რეალობას შექმნის ქართულ სინამდვილეში, რომელიც სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური სივრცის ძირეულ გარდაქმნას შეუწყობს ხელს, რაც, ერთის მხრივ, პოლიტიკური სტაბილურობის გარანტიაა, მეორე მხრივ კი, ქვეყანის საერთაშორისო საფრთხეებთან, განსაკუთრებით კი რუსეთის ექსპანსიასთან გამკლავების შესაძლებლობა.

თავი VI. საქართველოს თანამედროვე ევროპული ინტეგრაცია

საქართველო-ევროკავშირის ერთობლივი პროგრამები

საქართველოსა და ევროკავშირის დაახლოების პერიოდი იწყება 1992 წლიდან, როდესაც ევროგაერთიანებამ ოფიციალურად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა.

ევროკავშირის პირველი პროექტი საქართველოში დაიწყო დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობის ტექნიკური დახმარების პროგრამით (Technical Assistance to the Commonwealth of Independent States. TACIS), რომელიც მიზნად ისახავდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებში მხარდაჭერას.

წლების განმავლობაში TACIS-ის პროგრამამ უდიდესი როლი ითამაშა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებისა და საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების საქმეში. განსაკუთრებით აღსანიშნავია რეფორმები სასამართლო და ენერგეტიკულ, საკანონმდებლო ორგანოს ინსტიტუციური განვითარების, საჯარო და საბაჟო მოხელეთა გადამზადების, ტურიზმის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების, თანამედროვე საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების დამკვიდრების სფეროში.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას ხელი მოეწერა 1996 წელს და ძალაში შევიდა 1999 წელს.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება მოიცავდა ურთიერთ თანამშრომლობის მთელ რიგ საკითხებს და მიზნად ისახავდა პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავებას, დემოკრატიული მმართველობის გაძლიერებას, ეკონომიკური განვითარებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მხარდაჭერას, ვაჭრობის წახალისებას.

შეთანხმება ორიენტირებული იყო საკანონმდებლო, ეკონომიკურ, სოციალურ, ფინანსურ, სამეცნიერ, კულტურულ და ტექნოლოგიურ განვითარებაზე.

შეთანხმება ასევე ითვალისწინებდა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან ეტაპობრივ დაახლოებას მთელ რიგ საკითხებში, მათ შორის: ინვესტიციების, საბაჟო, სამეწარმეო და საბანკო, ინტელექტუალური საკუთრების, დასაქმებულთა, გარემოსა და მომხმარებელთა უფლებების, ადამიანთა, ცხოველთა, მცენარეთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის, ფინანსური მომსახურების, კონკურენციის წესებისა და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში.

შეთანხმებაში დამატებით ხაზგასმულია კონკურენციის სფეროში საკანონმდებლო ჰარმონიზაციის ვალდებულება.

ამ ვალდებულებების საფუძველზე საქართველოს პარლამენტმა 1997 წელს მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად, 1998 წლი 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტის ყველა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტი შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო ევროკავშირის სტანდარტებთან და ნორმებთან.²⁷

საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, 2001 წელს დამტკიცდა „საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სტრატეგია“, ხოლო 2004 წელს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სახელმწიფო პროგრამა და დაახლოების 2004-2006 წლების სამოქმედო გეგმა.²⁸

2006 წელს მიღებულ იქნა შეთანხმება ევროკავშირ-საქართველოს სამოქმედო გეგმის შესახებ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP AP) ფარგლებში, რამაც კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის განხორციელებასა და კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესის გაგრძელებას.

²⁷ დამატებით იხ. შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 22 აპრილი 1996 წ.

²⁸ დამატებით იხ. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება (Partnership and Cooperation Agreement - PCA). <https://old.infocenter.gov.ge/euinfo-georgia-history/> (გადამოწმებულია. 25.10.2022)

შეთანხმების ფარგლებში, მიღებულ იქნა მრავალი სამართ-
ლებრივი აქტები საბაჟო, სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ
ნორმებთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანი რეგულაციები იქნა
მიღებული სურსათის უვნებლობისა და მცენარეთა დაცვის
მიმართულებით. საბოლოოდ ქვეყანა გადავიდა ახალ სტანდარ-
ტებზე და ახალ რეგულაციებზე. საკანონმდებლო დაახლოების
პროცესი გავრცელდა მართლმსაჯულების, უსაფრთხოებისა და
ენერგეტიკის საკითხებზეც.

ამდენად, შეთანხმება მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური და
გეოეკონომიკური მოვლენა იყო, რადგან ის ევროკავშირისგან
აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის
ქვეყნების მიმართ პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციისა
და გამყოფი ხაზების თავიდან აცილებას უწყობდა ხელს. იმავ-
დროულად, შეთანხმება მასში მონაწილე ქვეყნებს შორის საერთო
ისტორიულ კავშირებსა და ღირებულებებზე დაფუძნებული
ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებას ისახავდა მიზნად.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკას საფუძველი ჩაეყარა 2003
წელს და დაიწყო 2004 წელს ევროკავშირის მორიგი გაფართოების
შემდეგ. მასში ჩართული იყო 16 სახელმწიფო (ალჟირი, ეგვიპტე,
ტუნისი, მაროკო, ლიბია, იორდანია, ისრაელი, ლიბანი, სირია,
პალესტინა, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა,
მოლდოვა, ბელარუსი. მათ შორის, 12 სრულად, ხოლო 4 ქვეყნა
(ალჟირი, ბელარუსი, ლიბია, სირია) ნაწილობრივ.²⁹

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის მიზანია ევროკავშირის აღ-
მოსავლეთით მდებარე მეზობელი ქვეყნების პოლიტიკური, ეკონო-
მიკური და კულტურული განვითარების მხარდაჭერა.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ორმხრივი თანამშრომლობის
პრინციპს ემყარებოდა და მასში მონაწილე სუბიექტების მხრიდან
გარკვეული ვალდებულებების შესრულებას ითვალისწინებდა.
სამეზობლო პოლიტიკის განხორციელებას კურირებდა ევრო-
კავშირის საგარეო და უსაფრთხოების უმაღლესი წარმომადგენელი.

²⁹ European Neighbourhood Policy. https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/european-neighbourhood-policy_en

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა რეგიონის მიმართ შემუშავებული სტრატეგიული სამოქმედო გეგმების საფუძველზე განხორციელდა. ხოლო მიღწეული პროგრესის შეფასება ხდებოდა ევროკომისიის მიერ დადგენილი სპეციალური პარამეტრების მიხედვით.

მართალია, სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა ზოგად პრინციპებს ეყრდნობოდა, მაგრამ მისი შინაარსი განსხვავებული იყო თითოეული ქვეყნის დონის, საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისად. სამოქმედო გეგმის მიმდინარეობაზე დაკვირვებას ევროკავშირის სპეციალური კომისია ახორციელებდა და წელიწადში ერთხელ ქვეყნდებოდა შესრულებული სამუშაოს ანგარიში.

თანამშრომლობა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში მრავალ სფეროს მოიცავდა, მათ შორის პოლიტიკურს, ეკონომიკურს, ფინანსურს და ა.შ. სამეზობლო პოლიტიკა ხორციელდებოდა აღმოსავლეთ და ევრო-ხმელთაშუა ზღვის პარტნიორობისა და შავი ზღვის სინერჯის ფორმატში.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებისთვის სამეზობლო პოლიტიკის პროექტი 2004 წლიდან იქნა შეთავაზებული ხოლო 2006 წელს საქართველოსა და ევროკომისიას შორის დასრულდა სამოქმედო გეგმის შეთანხმება და ხელმოწერილ იქნა აღნიშნული დოკუმენტი.

2014 წელს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა ასოცირების შესახებ შეთანხმებამ ჩაანაცვლა.

2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებულმა სამხედრო აგრესიამ დააჩქარა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ახალი პაკეტის მომზადება. 2008 წლის 3 დეკემბერს აღნიშნული პარტნიორობის შესახებ ევროკომისიამ გამოაქვეყნა კომუნიკე და 2009 წლის 19 მარტს ევროპული საბჭოს სხდომაზე დაამტკიცა.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შეთანხმება საქართველოს გარდა გაფორმდა უკრაინასთან, მოლდოვასთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან და ბელარუსთან. თანამშრომლობის ეს ფორმატი, თავდაპირველად შვედეთისა და პოლონეთის მიერ იყო მომზადებული.

პროგრამა მიზანად ისახავდა პარტნიორ ქვეყნებში პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და რეფორმების განხორციელებას.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივა მასში მონაწილე ქვეყნებს ევროკავშირთან დაახლოების უფრო მეტ კონკრეტულ პერსპექტივებს სთავაზობს.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში ურთიერთობები ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატში მიმდინარეობს.

ორმხრივი თანამშრომლობა ევროკავშირისა და პარტნიორ ქვეყნებს შორის პოლიტიკურ და სამართლებრივ სფეროში თანამშრომლობის გაუმჯობესებას გულისხმობს ასოცირების შესახებ შეთანხმებების (Association Agreements) გაფორმების გზით, რაც თითოეული პარტნიორი ქვეყნის ევროკავშირთან შემდგომი დაახლოებისკენ სწრაფვას უწყობს ხელს. ასოცირების შეთანხმების პერსპექტივა აქვთ იმ ქვეყნებს, რომლებიც საკუთარ თავზე აიღებენ ევროკავშირისა და პარტნიორ ქვეყნებს შორის თავისუფალი სავაჭრო ზონების შექმნის ვალდებულებას თითოეულ ქვეყანასთან გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალი სავაჭრო სივრცის (Deep and Comprehensive Free Trade Areas), შეთანხმების საფუძველზე, როგორც ასოცირების შეთანხმების განუყოფელ ნაწილთან.

თავის მხრივ, მოქალაქეთა უსაფრთხო გარემოში მობილობის ხელშეწყობის მიზნით, ევროკავშირი პარტნიორ ქვეყნებს სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ ხელშეკრულებების (Visa Facilitation and Readmission Agreements) გაფორმების შესაძლებლობებს სთავაზობს. რაც ეტაპოვრივად უნდა მოხდეს უვიზო მიმოსვლის რეჟიმის დამყარების დროს;

არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება, ენერგორესურსების მიწოდება, ტრანზიტი, ეფექტიანობის ამაღლება და ენერჯის განახლებადი წყაროების ფართო გამოყენება.

ევროკომისიის მიერ, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ განხორციელების მიზნით 2010-2013 წლებისათვის გამოყოფილი სუბსიდიები ევროკავშირის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტიტუტის (ENPI) ნაწილს წარმოადგენს და გამოიყენება: ყოვლისმომცველი ინსტიტუციური, (Comprehensive Institutional Building) რეგიონული (Regional Development Programmes) და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მრავალმხრივი თანამშრომლობის (EaP Multilateral Dimension) განვითარებისთვის.

რაც შეეხება მრავალმხრივ თანამშრომლობას, ისიც მრავალ ასპექტს მოიცავს, მათ შორის უსაფრთხოების, მიგრაციის, ტრანსპორტის, ენერჯეტიკის, ვაჭრობისა და გარემოს დაცვის სფეროებს. აღნიშნულ საკითხებზე მუშაობა ერთობლივი პროექტების მეშვეობით ხორციელდება.

მრავალმხრივი თანამშრომლობის ინსტიტუციონალური განვითარების მიზნით შეიქმნილია რამოდენიმე პლატფორმა სხვადასხვა სამინისტროებში, მათ შორის დემოკრატიისა და კარგი მმართველობის, ეკონომიკური ინტეგრაციისა და ევროკავშირის პოლიტიკასთან შესაბამისობის, ენერჯოუსაფრთხოება და ა.შ.

აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში ასევე შექმნილია და ფუნქციონირებს საჯარო ადმინისტრირების, სასამართლო სისტემის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების, მიგრაციისა და თავშესაფარის; საზღვრის ინტეგრირებული მართვის, უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის; გარემოსა და კლიმატის ცვლილების; ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული რეგულაციების სფეროებში თანამშრომლობის, ენერჯოეფექტიანობის, კატასტროფათა პრევენციისა და განახლებადი წყაროების გაზრდის მხარდამჭერი სხვადასხვა ინსტიტუტები.

2011 წელს ევროპარლამენტის წევრებისა და პარტნიორი ქვეყნების პარლამენტების თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით შეიქმნა თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეა - „ევრონესტი“ (Euronest).

ასოცირების ხელშეკრულება საქართველოს ინტეგრაციისკენ მიმავალი ყველაზე ეფექტური გზაა, რომელიც საქართველოს მოქალაქეთა კეთილდღეობის ამაღლებას ემსახურება. ასოცირების სამოქმედო გეგმა ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს.

ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებები 2010 წელს დაიწყო და 2014 წელს მოეწერა ხელი. ხოლო 2016 წლის 1 ივლისს საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება სრულად შვიდა ძალაში.

მართალია, ამ ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი ქვეყნის ევროკავშირის წევრობაზე, მაგრამ ეს დამოკიდებულია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებსა და ევროსტანდარტების შესაბამისი რეფორმების გატარებაზე.

ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერიდან რამდენიმე წელი გავიდა და აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ჩატარდა მნიშვნელოვანი რეფორმები, როგორც სასაჯელაღსრულების სისტემაში, ისე ჯანდაცვის, გარემოს დაცვისა და სხვა უამრავ სფეროში. თუმცა, ეს ზღვაში წვეთია იმ უამრავ შესასრულებელ ვალდებულებასთან შედარებით, რომლებიც ქვეყანას აკისრია. უდავოა, რომ სახელმწიფოს მიერ სწორი ნაბიჯების გადადგმა უდიდეს სარგებელს მოუტანს თითოეულ მოქალაქეს, მაგრამ თითოეულ რეფორმას სჭირდება კონტროლი. ამ საკითხში მნიშვნელოვანია სამოქალაქო სექტორისა და მედიის როლი.

ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი არის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება DCFTA (Deep and Comprehensive Free Trade Area).

თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ მოლაპარაკებები 2009 წელს დაიწყო და საბოლოოდ 2014 წელს ოფიციალურად შევიდა ძალაში.

ასოცირების ხელშეკრულების შესავალ ნაწილში ვკითხულობთ, რომ მხარეები ვალდებულებას იღებენ მიაღწიონ ეკონომიკურ ინტეგრაციას წინამდებარე შეთანხმების განუყოფელი ნაწილის საშუალებით, რეგულაციური დაახლოების ჩათვლითა და მხარეთა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრობის

შედეგად წარმოშობილი უფლებებისა და ვალდებულებების შესაბამისად“.

თავიდან, შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმის (GSP) ფარგლებში საქართველოს ევროკავშირში საბაჟო ტარიფის გარეშე 3200 დასახელების პროდუქტის შეტანა შეეძლო. მომდევნო წლებში ამ პროდუქციის ჩამონათვალი 7200-მდე გაიზარდა. დღეს კი ევროკავშირთან საქართველოს უფრო გაუმჯობესებული სავაჭრო რეჟიმი (DCFTA) აქვს, ვიდრე ოდესმე. დღეის მდგომარეობით ნულოვანი საბაჟო ტარიფით 9600 დასახელების პროდუქციის ექსპორტია შესაძლებელი ევროპის ბაზარზე.

მოლაპარაკებების დაწყების წინ ევროკომისიის მიერ პრიორიტეტული იყო ვაჭრობაში არსებული ბარიერების, სურსათის უვნებლობის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და კონკურენციის საკითხების ლიბერალიზაცია და აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოება.

ამ ხელშეკრულების ამოქმედებით, ევროპული სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ქართულ პროდუქციასა და მომსახურებას აქვს შანსი ისარგებლოს ევროკავშირის ქვეყნებთან ვაჭრობის უფლებით, რომელიც 27 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს აერთიანებს.

ეს შეთანხმება ასევე იძლევა შესაძლებლობას, რომ ქვეყანა გახდეს მიმზიდველი ინვესტორებისათვის, რაც ინვესტიციის გაზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის საწინდარი უნდა გახდეს. ხელშეკრულების ამოქმედება იმავდროულად ხელს შეუწყობს ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის შექმნას, მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას.

შეთანხმების მიხედვით, საქართველოს ევროპული საუკეთესო სტანდარტის შესაბამისი ინსტიტუციური განვითარებისა და გაძლიერების შესაძლებლობა ეძლევა. რაც პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

ქართულ კომპანიებს შესაძლებლობა აქვთ ევროკავშირის ქვეყნებში გასწიონ მომსახურება. დააფუძნონ ფილიალები, დაასაქმონ მოქალაქეები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში გაცემული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების (დიპლომები, სერტიფიკატები და ა.შ.) აღიარება ევროკავშირის მიერ, რაც ქართველი სპეციალისტების მიერ ევროკავშირის ქვეყნებში მომსახურების გაწევას მნიშვნელოვნად გაადვილებს.

შესაბამისად, ქართული პროდუქცია და მომსახურება ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფო შესყიდვებში დაშვებას ეტაპობრივად მიიღებს.

მართალია, DCFTA-ს შესაძლებლობების გათვალისწინებით სასურსათო პროდუქციის წარმოების და მიწოდების მიმართულებით საქართველოს საკმაოდ კარგი პოტენციალი აქვს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ შესაძლებლობის მინიმუმიც არ არის გამოყენებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მუშაობა ამ მხრივ აქტიურად უნდა გაგრძელდეს.

ხელშეკრულების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერასაც გულისხმობს, რომელიც ევროკომისიის, ევროპული საინვესტიციო ბანკისა (EIB) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით ხორციელდება.

პროგრამა აღნიშნულ სფეროში მონაწილე ქვეყნებს ინვესტიციების მოძიებასა და DCFTA-ით გათვალისწინებული რეგულაციების შესაბამისად წარმოების აწყობაში ეხმარება. რაც მეწარმეებს საშუალებას აძლევს მაქსიმალურად გამოიყენოს DCFTA-ს ფარგლებში არსებული პრეფერენციები და გადავიდნენ ახალ სტანდარტებზე.

საქართველო-ევროკავშირის დაახლოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ვიზალიბერალიზაცია, რომელიც საქართველოს მოქალაქეებისათვის ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობას გულისხმობს, რომელიც 2017 წლის 2 თებერვალიდან ამოქმედდა, მას შემდეგ, რაც ევროპის პარლამენტმა

საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გაუქმებას დაუჭირა მხარი.

უვიზო რეჟიმის ამოქმედება ნიშნავს თავისუფალ გადაადგილებას შენგენის ზონის ტერიტორიაზე. საქართველოს შემთხვევაში ვიზალიბერალიზაცია 180 დღის განმავლობაში 90 დღით განისაზღვრა ევროკავშირის 22 წევრ, 4 არაწევრ და შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანაში (დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გარდა).

ევროკავშირთან უვიზო რეჟიმი საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირში თავისუფლად გადაადგილების სშუალებას აძლევს და საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციას უწყობს ხელს.

საქართველოს ვიზა ლიბერალიზაციის შედეგად ექნება კონკრეტული ეკონომიკური სარგებელი. ქართველ მეწარმეებს ბიზნეს საქმიანობის საწარმოებლად შეუძლიათ ჩავიდნენ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, შეხვდნენ პოტენციურ ბიზნესპარტნიორებს და ადგილზე შეისწავლონ ბიზნეს გარემო, გაეცნონ ევროკავშირის რეგულაციებსა და საერთო სასოფლო მეურნეობის პოლიტიკის (CAP) სტანდარტებს, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში ქართველ ფერმერებს შესაძლებლობა ექნებათ ევროპის ბაზარზე გაიტანონ ეროვნული პროდუქტები.

ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებში მცხოვრები მოქალაქეებისთვის ქართული პასპორტების შეთავაზება, რითაც ევროკავშირში თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა ეძლევათ.

ანალოგიური შესალებლობა მიეცა დნესტრიპირეთის მოქალაქეებსაც მოლდოვაში, სადაც 2014-2022 წლის განმავლობაში ბიომეტრიული პასპორტი მოსახლეობის მესამედზე მეტმა აიღო.

აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით საქართველოში მთელი რიგი დაბრკოლებებია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეებისთვის, რომლებსაც საბჭოთა პასპორტები და არალეგიტიმური ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტები აქვთ. შესაბამისად, პირს, რომელსაც არა აქვს საქართველოს პასპორტი, მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება რთულია. ამას ემატება ისიც, რომ აფხაზებსა და ოსებზე გაიცემა რუსული პასპორტები, რაც დამატებით პრობლემას უქმნით მათ. ამ მხრივ

საინტერესოა უკრაინის მაგალითი, რომელიც რუსეთის მოქალაქეობას არ განიხილავს უკრაინის მოქალაქეობის დაკარგვის საფუძვლად. თუ უკრაინის პრაქტიკას გამოიყენებს საქართველოც რუსეთის პასპორტების მქონე აფხაზებსა და ოსებზე, მაშინ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება აღარ იქნება მათთვის დაბრკოლება.

საინტერესოა ამ მხრივ ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის მაგალითიც, რომლის მიხედვით, მსგავსად უკრაინისა, ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებზე ადგილობრივი სასამართლოების მიერ გაცემული დოკუმენტები არ განიხილება ლეგიტიმურად. თუ ამ გამოცდილებას გაიზიარებს საქართველო ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეების მიმართ, მაშინ არალეგიტიმური ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტები არ იქნება განხილული, როგორც მათი ლეგიტიმაციის წყარო.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის შემოღება, ერთგვარი პასუხი იყო იმ ევროსკეპტიკოსების მიმართ, რომლებიც უვიზო მიმოსვლის მიმართ კრიტიკულად იყვნენ განწყობილნი, რასაც ევროკავშირში არსებული მიგრაციული კრიზისი და კრიმინალური ვითარებაც ემატებოდა.

მიუხედავად ამისა, დღეის მდგომარეობით, ვიზალიბერალიზაციამ ქვეყანა კიდევ უფრო დაახლოვა ევროპის ერთიან ოჯახს. ჩვენი მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობის გადაწყვეტილებით, ევროკავშირისა და მისი წევრი-ქვეყნების მხრიდან მოხდა საქართველოს, როგორც სანდო და ღირსეული პარტნიორის აღიარება და დადასტურდა ევროკავშირის მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესისადმი.

უკვე 2022 წლისთვის ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლით საქართველოს ნახევარ მილიონზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა და მილიონზე მეტი ვიზიტი განხორციელდა.

მთლიანობაში, ასოცირების შეთანხმება, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ყველა სფეროს ეხება, ხელს უწყოს ადამიანის უფლებების დაცვას, დემოკრატიის განვითარებას, გამჭვირვალობის უზრუნველყოფას, ეფექტიანი მმართველობის გაუმჯობესებას, უსაფრთხოებისა და

რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავებას, კერძო საკუთრების უფლებების დაცვას, სტაბილური ეკონომიკური გარემოს უზრუნველყოფას.

საბოლოოდ, ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით შესრულება შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროინტეგრაციულ მომავალს და ევროპის თანამეგობრობის მხრიდან ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე მხარდაჭერას. ამ მხრივ ასევე მნიშვნელოვანია საგარეო და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული ხელშეკრულების მუხლები, სადაც მხარეები ადასტურებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

თავი VII. „აბრეშუმის გზა“- ხიდი ევროპასა და აზიას შორის

„აბრეშუმის გზის“ ისტორიული ფუნქციის აღდგენა

ისტორიული სავაჭრო-საქარავნო გზა (ანუ როგორც მას უწოდებდნენ „აბრეშუმის გზა“),³⁰ რომელიც აღმოსავლეთს კასპიის, შავ და ხმელთაშუა ზღვებთან აკავშირებდა საფუძველი ჩაეყარა ძვ. წ. II საუკუნეში.

თუმცა, სავაჭრო გზები მანამდეც, ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებიდან არსებობდა საქართველოში, კოლხეთის შავი ზღვის სანაპიროებზე, საიდანაც ბერძნული საქონელი შემოდის სამდინარო გზებით.

საქართველოზე გამავალი საქარავნო გზა საერთაშორისო სავაჭრო ქსელის შემადგენელი ნაწილი იყო, რომელიც ისტორიულად არსებულ სახმელეთო, საზღვაო და სამდინარო გზებს აერთიანებდა. ამ გზით შემოჰქონდათ საქართველოში აბრეშუმი, ხალიჩები, საფეიქრო ნაწარმი და ა.შ.

საუკუნეების განმავლობაში სწორედ აბრეშუმის ამ დიდი გზის ხელში ჩასაგდებად ებრძოდნენ რომისა და ბიზანტიის იმპერიები ჯერ პართიას, შემდეგ სასანიანთა ირანსა და მოგვიანებით არაბთა სახალიფოს.

VII-IX საუკუნეებში არაბთა სახალიფომ დააწესა კონტროლი აბრეშუმის საქარავნო გზაზე.

ხოლო XIII საუკუნიდან მონღოლებმა ხელში ჩაიგდეს და სრულად მოშალეს აღნიშნული სავაჭრო გზა. საქართველომ მთლიანად დაკარგა ის ცენტრალური როლი, რომელსაც ის ასრულებდა საუკუნეების განმავლობაში ამ ორი რეგიონის დაკავშირების საქმეში. (ავდალიანი, 2022, გვ. 11).

³⁰ ტერმინი „აბრეშუმის გზა“ XIX საუკუნის გამოჩენილ გერმანელ მეცნიერს ფერდინანდ ფონ რიხტჰოფენს ეკუთვნის, რომელიც მკვლევარმა პირველად 1877 წელს გამოიყენა.

მოგვიანებით, 1453 წელს კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ ოსმალებმა აბრეშუმის საქარავნო-სავაჭრო გზა მოწყვიტეს დასავლეთის სამყაროს და ამ გზის ფუნქციამაც თავისი მნიშვნელობა თანდათან დაკარგა. XVII საუკუნის მიწურულს კი საოკეანო გზების ათვისების შემდეგ აბრეშუმის გზამ საბოლოოდ არსებობა შეწყვიტა.

მიუხედავად ამისა, აბრეშუმის ისტორიულმა გზამ, თავის დროზე, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარების საქმეში.

ახალი აბრეშუმის გზის ტრანსსახელმწიფოებრივი პროექტები

რაც შეეხება „ახალი აბრეშუმის გზის“ პროექტს, ის იმ უძველესი მარშრუტის აღდგენას ითვალისწინებს, რომლითაც აზია უკავშირდებოდა ევროპას და რომელსაც არსებობა დიდი ხნის შეწყვიტილი ჰქონდა.

„ახალი აბრეშუმის გზა“ ანუ ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი - ტრასეკა (TRACECA) არის სახელმწიფო-თაშორისი პროგრამა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1992 წელს, „დიდი აბრეშუმის გზის“ აღდგენის კონცეფციის ფარგლებში.³¹

1993 წელს ბრიუსელში შედგა შეხვედრა ევროგაერთიანების, სამხრეთ კავკასიის (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) და ცენტრალური აზიის ქვეყნებს (ყაზახეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი) შორის. მოგვიანებით, 1996 წელს მას შეუერთდა მონღოლეთი და უკრაინა, 1998 წელს მოლდოვა, ხოლო 2000 წელს თურქეთი, რუმინეთი და ბულგარეთი.

³¹ დამატებით იხ. (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის პროექტების კოორდინაციისა და მათი განხორციელების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №492, 2002 წლის 7)

პროექტების განხორციელების დაწყებამ ხელი შეუწყო „აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნის“ სრულმასშტაბიანი მშენებლობის პროცესს, რომელმაც ბიძგი მისცა საქართველოს გამხდარიყო რეგიონში, როგორც მძლავრი სატრანზიტო ქვეყნა.

წარმოდგენილი სახელმწიფოთაშორისო პროექტის მიზანი იყო და არის შავი ზღვის რეგიონის, კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა საერთაშორისო ტრანსპორტის, პორტების, რკინიგზისა და ავტომანქანების გაუმჯობესების გზით.

TRACECA-ს პროგრამა ითვალისწინებს ევროპიდან აზიისკენ შავი ზღვის გავლით, ცენტრალური აზიისა და შორეული აღმოსავლეთისაკენ ძლიერი სატრანსპორტო დერეფნის შექმნას. პროექტი ევროკავშირის ფინანსური დახმარებით განხორციელდება.

ეს არის სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც მოიცავს რკინიგზას, სავტომობილო, საჰაერო, საზღვაო, მილსადენ გზებს, საზღვაო ნავსადგურებს, სამგაზავრო და სატვირთო ტერმინალებს.

TRACECA არის ერთიანი ევროპული სისტემის განუყოფელი ნაწილი. ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნები დღეს უკვე მოიცავენ მსოფლიო სივრცის უზარმაზარ ნაწილს ამერიკიდან იაპონიამდე.

2001 წლის 29 სექტემბერს საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს „საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სამხრეთ-კავკასიური მილსადენის სისტემის მეშვეობით საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიებზე და ამ ტერიტორიების ფარგლებს გარეთ ბუნებრივი აირის ტრანზიტის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის შესახებ ხელშეკრულებას“ (შემდგომში – „სამთავრობათაშორისო ხელშეკრულება“), რომელიც 2001 წლის 19 დეკემბერს ერთხმად იქნა რატიფიცირებული საქართველოს პარლამენტის მიერ. ამით დაიწყო „აღმოსავლეთ-დასავლეთის ერთიანი ენერგეტიკული დერეფნის“ სრულმასშტაბიანი რეალიზაციის პროცესი.

2002 წელს კი ოფიციალურად დაიწყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენების მშენებლობა.

მსოფლიოში შექმნილი ახალი რეალიების გათვალისწინებით განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ანტიტერორისტული

ალიანსის ქვეყნების ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებს. შესაბამისად, აშშ-ისა და ევროპის ქვეყნები ცდილობენ დაამკვიდრონ ენერგომატარებლების ტრანსპორტირების ახალი, უსაფრთხო და დამოუკიდებელი მარშრუტები.

აქედან გამომდინარე, ბაქო-თბილისი-ერზერუმის მილსადენის პროექტის მხარდაჭერა და მისი დაჩქარებული განვითარება ამ ქვეყნების წინაშე მდგარი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, ნათქვამია ხელშეკრულებაში.³²

გარდა ამისა, აღნიშნული პროექტები საქართველოსა და მასში მონაწილე ქვეყნებს სატრანზიტო ფუნქციასთან ერთდ ენერგეტიკულ დამოუკიდებლობასაც ანიჭებს.

საქართველოსთვის ასვე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო 2013 წელს ჩინეთის პრეზიდენტის სი ძინპინის ახალი ინიციატივა - „ერთი სარტყელი - ერთი გზა“. აღნიშნული პროექტის რეალიზებით, ქვეყანას კიდევ ერთი უნიკალური შესაძლებლობა ეძლევა გახდეს ჩინეთსა და ევროკავშირს შორის დამაკავშირებელი ჰაბი და ისარგებლოს ამ გზით მიღებული ეკონომიკური სარგებლით. საქართველოს უკვე აქვს გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ჩინეთთან და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის“ მშენებლობაც, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და საერთაშორისო არენაზე სანდოობის თვალსაზრისით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ჩინური პროექტის თანახმად, სწორედ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტს გამოიყენებენ სატრანზიტო გადაზიდვებისთვის.

ჩინეთის მიერ ინიცირებულ „აბრეშუმის გზის“ პროექტს საქართველო 2015 წელს შეუერთდა, როდესაც ხელი მოეწერა ახალი

³² დამატებით იხ. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „სამხრეთ-კავკასიური მილსადენის სისტემის (ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი)“ პროექტის განვითარების შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 25, 14/03/2002.

აბრეშუმის გზის მემორანდუმს. აღნიშნული დოკუმენტით საფუძველი ჩაეყარა ჩინეთსა და საქართველოს შორის ახალი ტიპის თანამშრომლობას ინფრასტრუქტურის, ლოჯისტიკის, ენერჯეტიკის, სოფლის მეურნეობის და სხვა სფეროებში, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ჩინური ინვესტიციები საქართველოში.

ვინაიდან, „ახალი აბრეშუმის გზისა“ და „ერთი გზა - ერთი სარტყელის“ პროექტების წარმატებით განხორციელება ეწინააღმდეგებოდა მოსკოვის ინტერესებს, ამ ინიციატივების საპირწონედ, რუსეთმა, 2016 წელს, ახალი პროექტის — „დიდი ევრაზიული თანამშრომლობის“ ინიციატივა წამოაყენა, რომელიც „ევრაზიული ეკონომიკური კავშირის“ ერთგვარი გაგრძელება იყო.

ამით მოსკოვს სურდა არა მარტო შეენარჩუნებინა, არამედ გაეზარდა კიდევ ზეგავლენა მთლიანად პოსტსაბჭოთა სივრცეზე და უშუალოდ ცენტრალურ აზიასა და ცენტრალურ კავკასიაზე. (Zabakhidze, M., Bakradze G., Kutelia B, 2017, p. 9) სწორედ ამ უკანასკნელიდან გამომდინარე, არც თავის დროზე იყო მოსკოვი დაინტერესებული ცენტრალურ კავკასიაზე გამავალი „აბრეშუმის გზის“ სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციონირებით. რის გამოც „აბრეშუმის გზის“ პროექტების წარმატებით განხორციელებისთვის ერთ-ერთ საფრთხედ მოიაზრებოდა (ლარსენი, 2017., გვ. 23-24).

მთლიანობაში, სამივე პროექტი, არა მარტო გლობალური მნიშვნელობის ეკონომიკური, არამედ ღრმა გეოპოლიტიკურ და იდეოლოგიური დატვირთვის შემცველია, ვინაიდან მასში მონაწილე ევროკავშირი, ჩინეთი და რუსეთი ყოველთვის განსაკუთრებულ როლს ანიჭებდნენ ევრაზიის რეგიონს.

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი

რაც შეეხება, უშუალოდ, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალს, მისი მშენებლობა 2007 წლიდან დაიწყო, როდესაც აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის სახელმწიფოების მეთაურებმა მოაწერეს ხელიხელშეკრულებას.

რკინიგზის სიგრძე 826 კილომეტრია, აქედან საქართველოს ტერიტორიაზე 254 კილომეტრია. რკინიგზის საქართველოს

მონაკვეთზე პირველმა სატესტო მატარებელმა 2015 წლის იანვარში გაიარა, 2017 წლის ივლისში კი პირველი მატარებელი ყარსიდან საქართველოს საზღვრამდე მივიდა. სარკინიგზო მარშრუტზე სატვირთო ტრანზიტი დაიწყო 2018 წლიდან.

ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტი მიზნად ისახავს შორეული აღმოსავლეთიდან, საქართველოსა და აზერბეიჯანის გავლით, ტვირთების გადაზიდვას ევროპის მიმართულებით.

აღნიშნული პროექტი ასევე ითვალისწინებს მგზავრთა გადაყვანას, რაც ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს ტურისტული პოტენციალის გაზრდისთვის.

რაც თავისთავად იმას ნიშნავს, რომ მსგავსი მაშტაბის პროექტის განხორციელება კონკურენციას გაუწევს რუსეთზე გამავალ ტრანსციმბირულ მაგისტრალს.

თავის მხრივ, რუსეთ-უკრაინის ომის, ევროპისა და ჩინეთის მზარდი ეკონომიკური ინტერესების ფონზე, აღნიშნული მაგისტრალის როლი მნიშვნელოვნად გაიზრდება. სწორედ ამიტომ, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტი აზრემუმის გზის პროექტის განვითარებას შეუწყობს ხელს.

გარდა ამისა, ამ რკინიგზით არა მარტო აზერბაიჯანი, საქართველო და თურქეთი დაუკავშირდება ერთმანეთს, არამედ აღმოსავლეთი და დასავლეთი. ეს მაგისტრალი ბევრ ქვეყანას მისცემს შესაძლებლობას დაიკამაყოფილოს საკუთარი ბიზნეს-ინტერესები. პირველ რიგში, ცენტრალური აზიის ქვეყნებს - საკუთარი ენერგორესურსების დასავლეთისკენ ტრანზიტის ალტერნატიული გზის სახით.

ეს რკინიგზა, როგორც მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, „ერთი სარტყელი - ერთი გზის“ ინიციატივის პროექტშიც ლოგიკურად ჯდება. (Öğütçü, 2017.)

გარდა ამისა, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტი სამი ქვეყნის ურთიერთობას ძალიან დინამიურს გახდის და მომავლში ახალი ენერგეტიკული სისტემის უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი გახდება.

იმავდროულად, ეს დერეფანი რუსეთთან დაკავშირებული რისკების თავიდან აცილების ერთ-ერთი მექანიზმი იქნება.

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით, 2020 წლის იანვარ-ოქტომბრის პერიოდში ჩინეთიდან საქართველოს გავლით გადაზიდვების რაოდენობა 2019 წელთან შედარებით 35.1%-ით გაიზარდა.

პირველი სატვირთო მატარებელი სტამბოლიდან 2020 წლის დეკემბერში გამოვიდა და ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზით გავლით ჩინეთში, სიანის პროვინციაში ჩავიდა.

2021 წელს, ბაქო-თბილისი-ყარსის (BTK) სარკინიგზო ხაზით თურქეთის ტვირთების გადაზიდვა 98%-ით, თითქმის 2-ჯერ გაიზარდა, რაც ყველაზე მაღალი ზრდის მაჩვენებელია.³³

ამდენად, ბაქო-თბილისი-ყარსის **სარკინიგზო მაგისტრალი** გაზრდის საქართველოს რკინიგზის, როგორც ევროპასა და აზიას შორის ალტერნატიული სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციას, რასაც სხვა მნიშვნელოვანი რეგიონული პროექტების განხორციელებაც მოჰყვება, რაც იმავდროულად ამ პროექტში მონაწილე ქვეყნებს შორის "ხანგრძლივ და პროგნოზირებად" თანამშრომლობასა და მშვიდობას უზრუნველყოფს.

ინოგეიტის (INOGATE) პროექტები

ინოგეიტს პროექტს 1995 წელს ჩაეყარა საფუძველი, რომლის მიზანიც ბუნებრივი რესურსების ევროპაში ტრანსპორტირების უზრუნველყოფა იყო.

ინოგეიტი (INOGATE) ევროკავშირის, შავი და კასპიის ზღვის ქვეყნების საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშემწყობი ენერგეტიკული პროგრამაა.

საქართველო ინოგეიტის პროგრამას ოფიციალურად 1999 წლის 22 ივლისს შეუერთდა და მის ერთ-ერთ პირველ წევრ სახელმწიფოს წარმოადგენს. ხოლო 2004 წლის 13 ნოემბერს საფუძველი ჩაეყარა ახალ პოლიტიკურ დიალოგს, რომელიც “ბაქოს ინიციატივის” სახელითაა ცნობილი. მის მთავარ მიზანს

³³ დამატებით იხ. Turkey doubled freightage via BTK last year. <https://report.ge/en/economics/turkey-doubled-freightage-via-btk-last-year/>

წარმოადგენდა შავი ზღვისა და კასპიის ზღვის რეგიონების ენერგეტიკული ბაზრების ინტეგრაცია ევროპის ენერგეტიკულ ბაზართან. აღნიშნული ინიციატივის ერთი მხარეა ევროკავშირი, ხოლო მეორე მხრიდან მონაწილეობას იღებენ სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, საქართველო, ირანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდოვა, რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, თურქეთი, თურქმენეთი. საკოორდინაციო ოფისი განთავსებულია ქ. კიევში (უკრაინა).

თავიდან აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებდა მილსადენების მშენებლობას, თუმცა მოგვიანებით, 2006 წლიდან პროგრამას დაემატა ენერგეტიკული უსაფრთხოების, ენერგეტიკული ბაზრების ინტეგრაციისა და მდგრადი ენერგეტიკული განვითარების პროექტები.

ინოვეტის პროგრამა 2007 წლიდან ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის მეშვეობით ფინანსდება.

2009 წლიდან **INOGATE**-ის პროექტებს, პარტნიორ ქვეყნებში ენერგეტიკული ბაზრების განვითარების მიზნით, დაემატა ნავთობისა და გაზის სატრანზიტო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

აღსანიშნავია, რომ INOGATE-ის პროგრამის ფარგლებში მუდმივად ტარდება სამუშაო შეხვედრები სხვადასხვა თემებზე.

2009 წლის 9-13 თებერვალს პროგრამის ფარგლებში ბრიუსელში გაიმართა "ენერგეტიკული უსაფრთხოების სემინარი".

2010 წლის 25-27 აპრილს, უკრაინაში, კიევში, INOGATE-ის პროგრამის ფარგლებში გაიმართა ტექნიკური ჯგუფის პირველი შეხვედრა პროექტზე "ელექტროენერჯის სტანდარტების ჰარმონიზაცია".

2010 წლის 17-22 მაისს ბრიუსელში გაიმართა INOGATE-ის ქვეყნის კოორდინატორებისა და სამუშაო ჯგუფების შეხვედრა.

2010 წლის 8-12 დეკემბერს კიშინიოვში, მოლდოვაში გაიმართა სამუშაო შეხვედრა პროექტზე „ელექტროენერჯის სტანდარტების ჰარმონიზაცია“.

2011 წლის 16-23 იანვარს ბრიუსელში გაიმართა მორიგი სამუშაო შეხვედრა პროექტის „ელექტროენერჯის სტანდარტების ჰარმონიზაციის“ შესახებ.

2011 წლის 7-9 თებერვალს, უკრაინაში, კიევში, INOGATE-ის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტის „ელექტროენერჯის სტანდარტების ჰარმონიზაციის“ დასრულების შესახებ დასკვნითი კონფერენცია გაიმართა.

2011 წლის 17-21 მაისს ბრიუსელში გაიმართა INOGATE-ის ქვეყნის კოორდინატორებისა და სამუშაო ჯგუფის წევრების მომდევნო ნახევარწლიური შეხვედრა.

2011 წლის 13-15 დეკემბერს სამინისტრომ მონაწილეობა მიიღო INOGATE-ის ქვეყნის კოორდინატორებისა და სამუშაო ჯგუფის წევრების შეხვედრასა და SEMISE პროექტის დასკვნით კონფერენციაში ბრიუსელში.

2012 წელს ენერჯეტიკის სამინისტრო კიდევ ერთხელ იყო წარმოდგენილი INOGATE-ის ქვეყნის კოორდინატორებისა და სამუშაო ჯგუფის წევრების შეხვედრაზე და SEMISE პროექტის დასკვნით კონფერენციაზე ბრიუსელში.

2013 წლის 4 აპრილს ენერჯეტიკის სამინისტროსა და INOGATE-ის პროგრამის ტექნიკური სამდივნოს ორგანიზებით მოეწყო სამუშაო შეხვედრა თემაზე „ენერგოეფექტურობა ტრანსპორტის სექტორში“.

2013 წლის 10 მაისს, ენერჯეტიკის სამინისტროში გაიმართა პრეზენტაცია თითოეული წევრი ქვეყნის ენერჯეტიკის სექტორის სტატუსის ანგარიშის მომზადების შესახებ, რომელიც ორგანიზებული იყო INOGATE-ის ტექნიკური სამდივნოსა და ენერჯეტიკის საერთაშორისო სააგენტოს მიერ.

2013 წლის 20 სექტემბერს სამინისტრომ მონაწილეობა მიიღო INOGATE-ის პროგრამის ენერჯეტიკის სტატისტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების სემინარში.

2014 წლის 17 ივლისს ენერჯეტიკის სამინისტროში ევროკავშირის INOGATE ტექნიკური სამდივნოს პროგრამის ორგანიზებასთან ერთად ენერჯეტიკის სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა საინფორმაციო ღონისძიება.

2014 წლის 25-27 ნოემბერს, სამინისტრომ მონაწილეობა მიიღო ზაგრებში, ხორვატიაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში „ენერგეტიკული სტატისტიკის ქსელის“ თემაზე, ენერგეტიკის სტატისტიკის სამოქმედო გეგმების მიღწევებზე (2012-2014) და მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელობაზე. ენერგეტიკის სტატისტიკისთვის, ბალანსისა და დაგეგმვისთვის.

2022 წლის მდგომარეობით ინოვაციის პროექტი კვლავ აქტიურად აგრძელებს საქმიანობას სხვადასხვა პროგრამების მეშვეობით.

ბაქო-სუფსის მილსადენი

ბაქო-სუფსის მილსადენი პირველი ენერგეტიკული პროექტია საქართველოში, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა „აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნის“, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზრუმის პროექტების განხორციელებას საქართველოში.

მილსადენის საშუალებით აზერბაიჯანის საბადოდან მოპოვებული ნავთობი დასავლეთ საქართველოში სუფსის ტერმინალამდე მიდის.

მთლიანად მილსადენის სიგრძე 830 კმ-ია. აქედან, საქართველოს მონაკვეთი 375 კმ-ს შეადგენს და ის საბჭოთა პერიოდში აშენებულ სამგორი-ბათუმის ნავთობსადენის მარშრუტს იმეორებს. ამ მილსადენის რეაბილიტაციის ფარგლებში მოხდა სუფსის ტერმინალისა და ახალი ნაგებობების მშენებლობა, რომელიც საერთაშორისო ნავთობ-კონსორციუმმა მხარდაჭერით განხორციელდა. მილსადენის ტევადობა ერთ მილიონ ბარელზე მეტია. პირველი ნავთობი 1998 წლის დასასრულს შევიდა ექსპლუატაციაში და 1999 წლის დასაწყისში საქართველოში შემოვიდა.

დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენი (WREP) 2022 წლის I კვარტალში 0.9 მლნ ტონა ნავთობი გაატარა.

საქართველოს ტერიტორიაზე პროექტის მენეჯმენტს კომპანია BP ახორციელებს. პროექტის პარტნიორები არიან: BP – 34,1%,

Chevron – 10,3%, SOCAR – 10%, INPEX – 10%, Statoil – 8,6%, ExxonMobil – 8%, TPAO – 6,8%, Itochu – 3,9%, Amerada Hess – 2,7%.³⁴

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენი

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი (BTC) ინოვაციის ფარგლებში განხორციელებული პროექტია, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დიდი საინჟინრო პროექტია მსოფლიოში. მისი სრული სიგრძე 1768 კმ-ია. აქედან, 443 კილომეტრი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, 249 კილომეტრი საქართველოს ტერიტორიაზე და 1076 კილომეტრი თურქეთში გადის. ნავთობსადენის დიამეტრი 42-46 დიუმიანია; აქვს 8 საქაჩი სადგური (2 აზერბაიჯანში, 2 საქართველოში და 4 თურქეთში).³⁵

BTC მილსადენის მშენებლობა საქართველოში 2005 წელს დასრულდა, ხოლო სრული ექსპლუატაცია 2006 წელს დაიწყო.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სიმძლავრე დღითიდღე იზრდება ბოლო მონაცემებით 2021 წელს მილსადენებით საქართველოს გავლით 30.4 მლნ ტონა ნავთობის გადაზიდვა მოხდა და მილსადენში გატარებული ნავთობის მოცულობამ 26 მილიონი ტონა შეადგინა. ხოლო 2022 წლის I კვარტალში 6.7 მლნ ტონა ნავთობის ტრანზიტი განხორციელდა.

აღსანიშნავია, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით საქართველო ეკონომიკური სარგებლის სახით წელიწადში 90-110 მილიონ ლარამდე შემოსავალს იღებს. მილსადენით ხდება, ძირითადად, აზერბაიჯანული და მცირე მოცულობებით თურქმენული და ყაზახური ნავთობის გადატანა.

ჯეიჰანის მილსადენის კომპანია დააფუძნებულა საერთაშორისო ენერჯოკომპანიების კონსორციუმის მიერ, მას უშუალოდ ხელმძღვანელობს მილსადენის ოპერატორი “British Petroleum”-ი, რომელიც ფლობს 30,1%-იან წილს. ამ კონსორციუმში, შემდეგ

³⁴ დამატებით იხ. საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ვებ გვერდი. <https://www.gogc.ge/ka/project/baqo-tbilisi-jeihanis-milsadeni/28>

³⁵ დამატებით იხ. საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ვებ გვერდი. <https://www.gogc.ge/ka/project/baqo-tbilisi-jeihanis-milsadeni/28>

ყველაზე მაღალი წილი - 25% აქვს აზერბაიჯანის ნავთობის კომპანიას AZBTC-ს. დანარჩენი მეწილეები არიან: Chevron (8.90%); Statoil (8.71%); TPAO (6.53%); ENI (5.00%); Total (5.00%), Itochu (3.40%); INPEX (2.50%), ConocoPhillips (2.50%) და Hess (2.36%).³⁶

ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთკავკასიური მილსადენი (SCP)

"ბაქო-თბილისი-ერზრუმის" სამხრეთკავკასიური მილსადენის პროექტი 2006 წელს ამოქმედდა, მისი სიგრძე აზერბაიჯანი-საქართველოს მონაკვეთზე 691 კმ-ია. ხოლო საქართველოში 249 კმ-ია. მილსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პარალელურად არის გაყვანილი. ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთკავკასიური მილსადენის პროექტის ღირებულება 1 მილიარდი აშშ დოლარია. მილსადენით საქართველოს, თურქეთისა და ევროპის ბაზრებზე ტრანსპორტირებული იქნება აზერბაიჯანის კასპიის ზღვის სექტორში მდებარე შაჰ-დენიზისა ბუნებრივი გაზი, რომელიც გაზის უდიდეს საბადოდ ითვლება. ამ პროექტის მიხედვით საქართველო სატრანზიტო და ბუნებრივი გაზის მომხმარებელი ქვეყანაა.

საქართველოს, როგორც ტრანზიტულ სახელმწიფოს, შეუძლია ტრანსპორტირებული გაზის მოცულობის 5% შეიძინოს შეღავათიან ფასად. გარდა ამისა, დამატებით აქვს შესაძლებლობა წელიწადში ნახევარ მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზის შესყიდვა სპეციალურ ფასში.

ბოლო ხანებში დაიწყო სამხრეთკავკასიური მილსადენებიდან ევროპის ქვეყნებისთვის გაზის მიწოდება თურქეთი-საბერძნეთისა და საბერძნეთი-იტალიის მილსადენების შეერთებით.

³⁶ დამატებით იხ. საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ვებ გვერდი. <https://www.gogc.ge/ka/project/baqo-tbilisi-jeihanis-milsadeni/28>

ტრანსანატოლიური მილსადენი (TANAP)

ტრანსანატოლიური გაზსადენი (TANAP) სამხრეთ კავკასიის მილსადენის გაგრძელებას წარმადგენს თურქეთის აღმოსავლეთ საზღვართან, სადაც ტრანსადრიატიკულ გაზსადენს შეუერთდება, გადაკვეთს საბერძნეთს და იტალიის გაზის ტრანსპორტაციის ქსელში ჩაერთვება. ამ მილსადენს შეიძლება ეწოდოს ევროკავშირისთვის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული ენერგეტიკული პროექტი, რადგან მას არა მხოლოდ ენერგომიწოდების წყაროებისა და მარშრუტების დივერსიფიცირება შეუძლია, არამედ რუსეთის ენერგო რესურსების ექსპორტის მონოპოლიის შეწყვეტაც ევროპაში. მისი მნიშვნელობა ორმაგად გაიზარდა რუსეთსა და თურქეთს შორის მომხდარი დაპირისპირების შემდეგ.

ზოგადად, პოექტის მიზანია სამხრეთკავკასიური გაზსადენის (ბაქო - თბილისი - ერზრუმი) გაფართოება, ტრანსანატოლიური გაზსადენის მშენებლობა თურქეთში და მისი გაგრძელება ევროპის ტერიტორიაზე ტრანსადრიატიკული მილსადენის (TAP-ის) მეშვეობით.

TANAP-ი სამხრეთ დერეფნის ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტია, რომლის მეშვეობითაც აზერბაიჯანული საბადოდან ბუნებრივი აირი საქართველოს და თურქეთის გავლით საბერძნეთის საზღვრებამდე მივა. ამ გაზსადენის მეშვეობით ევროპელები 20 მლრდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მიიღებენ თავიანთ ქვეყნებში, თურქეთი მიიღებს 6 მლრდ კუბურ მეტრ „ცისფერ საწვავს“. მომავალში იგეგმება გაზსადენის სიმძლავრის გაზრდა 31 მილიარდ კუბურ მეტრამდე. რაც შეეხება მშენებლობას, ის უკვე მიმდინარეობს, 2015 წლის 17 მარტს კი ქ. ყარსში შედგა თურქული მონაკვეთის მილის ჩადების სიმბოლური ცერემონია.

TANAP-ის მთავარი პრობლემა, არის მილსადენის სრულად დატვირთვა, მისი შევსება სხვა ქვეყნებსაც შეუძლიათ. პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, თურქმენეთს, რომლის გაზის მარაგი 13-დან 21 ტრილიონამდე კუბური მეტრია, რაც მსოფლიოში მეოთხეა სიდიდით. ანკარა და ბაქო უკვე აქტიურად მუშაობენ ამ მიმართულებით. მაგალითად, 2015 წლის თებერვლის დასაწყისში

აშხაბადში შედგა თურქმენეთის, აზერბაიჯანისა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრთა შორის შეხვედრა. ამ მოლაპარაკებების შემდეგ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩავუშოლლუმ განაცხადა, რომ „თურქეთი და აზერბაიჯანი მოუწოდებენ თურქმენეთს შეუერთდეს TANAP-ის პროექტს“.

პროექტში თურქმენეთის ჩართვის მთავარი დაბრკოლება, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ გადაუჭრელი საკითხი - კასპიის ზონაა. საქმე ისაა, რომ თურქმენული გაზის ევროპისთვის მიწოდების ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი, პოტენციურად შესაძლებელი 300 კილომეტრიანი ტრასკასპიური გაზსადენია. თუმცა ამისთვის საჭიროა, რომ ხუთმა კასპიისპირა სახელმწიფომ განსაზღვროს კასპიის ზღვის სტატუსი. მათ შორისაა რუსეთი და ირანი. ასევე ნათელია, რომ ახალი მარშრუტი, რომელიც გვერდს აუვლის ამ ორ ქვეყანას, რაც მათთვის მიუღებელია. ცხადია საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ალტერნატიული მილსადენის მშენებლობაც, მიუხედავად იმისა, რომ ეს უფრო ძვირი სიამოვნება იქნება.

2022 წლის 1 ოქტომბერს სოფიაში გამართულ ცერემონიაზე ოფიციალურად გამოცხადდა ბულგარეთის და საბერძნეთის შემაკავშირებელი გაზსადენის (IGB) ამოქმედების შესახებ.

მასში, ევროკომისიის თავმჯდომარესთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს ბულგარეთის, სერბეთის, ჩრდილოეთ მაკედონიის, აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა, ასევე რუმინეთის და საბერძნეთის სახელმწიფოთა მეთაურებმა.

ახალი, 182 კილომეტრის სიგრძის მილსადენით, ბულგარეთი მიიღებს 3-5 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზს აზერბაიჯანიდან, ასევე თხევად აირს საბერძნეთიდან. პროექტის ერთ-ერთი მიზანია რუსეთის გაზზე დამოკიდებულებისგან გათავისუფლება. და მილსადენის ამოქმედებას ეწოდა „გარდამტეხი მომენტი“ ბულგარეთის ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის, „ახალი ერის დაწყება“ ამ ქვეყნისა და მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპისთვის. რაც ნიშნავს თავისუფლებას რუსეთის გაზზე დამოკიდებულებისაგან“.

ამდენად, კავკასიის რეგიონში არსებული სატრანზიტო პროექტები, რომლებიც აზიასა და ევროპას აკავშირებს, მასში მონაწილე

ქვეყნებს აძლევს შანსს, აქტიურად ჩაერთოს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში და გახდნენ უსაფრთხოების ერთიანი ევროპული სისტემის განუყოფელი ნაწილი.

გარდა ამისა, აღნიშნული პროექტების განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც საქართველოსთვის, ისე ამ პროექტში მონაწილე ქვეყნისთვის, რომლის გეოპოლიტიკური როლი მკვეთრად გაიზრდება, რომ არაფერი ვთქვათ ეკონომიკურ სარგებელზე.

და ბოლოს, ხსენებული სატრანზიტო პროექტების განხორციელება შეამცირებს რუსეთის გავლენას ევროპის ნავთობის პოლიტიკაზე.

აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ინტერკონექტორი

სამხრეთის დერეფნის ფარგლებში გაზის ტრანსპორტირების ახალი მარშრუტის ჩამოყალიბების მიზნით ასევე მნიშვნელოვანია აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ინტერკონექტორის (AGRI-Azerbaijan-Georgia-Romania Interconnector) პროექტი, რომელიც 2009-2010 წლებში გამართული მოლაპარაკებების შედეგად მიღწეულ შეთანხმების საფუძველზე დაიწყო. აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოდან შავი ზღვის გავლით რუმინეთში და შემდეგ ევროპის ბაზარზე გაზის (გათხვეადებული ფორმით) ტრანსპორტირება.

AGRI-ის პროექტის მხარდამჭერ დეკლარაციას ხელი მოეწრა 2011 წელს ბაქოში საქართველოს, აზერბაიჯანისა და რუმინეთის ხელმძღვანელი პირების მიერ, ხოლო ამავე ქვეყნების ნავთობისა და გაზის კომპანიებმა - GOGC (საქართველო) SOCAR (აზერბაიჯანი) და Romgaz (რუმინეთი) - ხელი მოეწერეს აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ინტერკონექტორის პროექტის განმახორციელებელი ერთობლივი კომპანიის - SC AGRI LNG Project Company S.R.L. სადამფუძნებლო ხელშეკრულებას და ურთიერთგაგების მემორანდუმს პროექტის განხორციელების თაობაზე. მოგვიანებით ამ ხელშეკრულებას შეუერთდა უნგრული კომპანია MVM.

2015 წელს პროექტმა მიიღო ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, რომლის მიხედვით AGRI ევროკავშირის ენერგოდივერსიფიკაციის პოლიტიკას პასუხობს და საერთაშორისო მხარდაჭერით სარგებლობს.

2014 წელს ყირიმის ანექსიის შემდეგ პროექტი შეფერხებული იყო. 2022 წელს რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე დაიწყო აქტიური საუბარი აღნიშნული მარშრუტის ამოქმედებაზე.

ევროაზიური ნავთობსატრანსპორტო დერეფნის პროექტი

ევროაზიური ნავთობსატრანსპორტო დერეფნის (EAOTC) პროექტი არის მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს მონაწილე სახელმწიფოებისა და ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებას.

პროექტი გულისხმობს ორგანიზაციული, ტექნიკური, სამართლებრივი და კომერციული ხასიათის აქტივობების პაკეტის განხორციელებას, ახალი მარშრუტის შექმნას კასპიის რეგიონიდან ევროპისკენ ნავთობის ტრანსპორტირებისთვის. მარშრუტი აზერბაიჯანში კასპიის ზღვის სანაპიროდან დაიწყება, შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე, შავი ზღვისა და უკრაინის გავლით გაივლის, სადაც ორ მიმართულებით გაიყოფა. სამხრეთის მიმართულება კასპიის ნავთობს მიაწვდის მომხმარებლებს სლოვაკეთში, ჩეხეთში და შესაძლოა, უნგრეთში. ჩრდილოეთის მიმართულება დააკმაყოფილებს კასპიის ნავთობზე მოთხოვნას პოლონეთში, გერმანიაში და ნაფტოპორტ გდანსკის გავლით - ბალტიის სხვა ქვეყნებში. ზემოაღნიშნული მარშრუტი დაგეგმილია იყოს არა მხოლოდ სანდო, არამედ მომგებიანი და კონკურენტუნარიანი ამ ენერგეტიკული ნედლეულის არსებულ სატრანსპორტო მარშრუტებთან მიმართებაში.

2007 წლის 11 მაისს კრაკოვში და 5 ივნისს გდანსკში მასში მონაწილე ქვეყნების ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს კომუნისკეს, რომლითაც კასპიური ნავთობის ევროპულ და მსოფლიო ბაზრებზე ტრანსპორტირებისთვის დერეფნის შექმნას დაუჭირეს მხარი.

მანამდე, 2003 წელს ხელი მოეწერა დეკლარაციას კასპიური ნავთობის საქართველოს გავლით ოდესის პორტამდე ტანკერებით გადაზიდვას, საიდანაც ნავთობის ტრანზიტი ოდესა-ბროდიდან პლოცკამდე და შემდეგ არსებული ნავთობსადენით განსაკმდე უნდა განხორციელებულიყო.

ამჟამად უკვე არსებობს ინფრასტრუქტურა ოდესიდან ბროდამდე, თუმცა ასაშენებელია ბროდი-ადამოვოს მონაკვეთი.

პროექტი გააუმჯობესებს ნავთობის ტრანსპორტირების პერსპექტივას პოლონეთის ტერიტორიიდან არამხოლოდ უკრაინის, არამედ ბელარუსის მიმართულებითაც. ისევე როგორც მოზირი-ბროდის ნავთობსადენის გამოყენებას, რომლის მოცულობა წელიწადში 34 მილიონ ტონას შეადგენს.

ევროაზიური ნავთობსატრანსპორტო დერეფნის პროექტის (EAOTC) ფარგლებში 2007 წელს პოლონეთის, ლიტვის, უკრაინის, საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობათა მეთაურების მიერ დაფუძნდა მილსადენების საერთაშორისო კომპანია შპს “სარმატია,” რომლის მეწილეები არიან სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ GOGC (კრპორაციის წილი ამ ეტაპზე 16,9%-ს შეადგენს), SOCAR (აზერბაიჯანი), AB “Klaipedos Nafta” (ლიტვა) და PERN “Przyjaźń” S.A. (პოლონეთი), „უკრტრანსნაფტა“ (უკრაინა).

სამწუხაროდ 2008 წელს – პოლონეთში მთავრობის შეცვლის შემდეგ პროექტი გაჩერდა, რადგან მათ მიაჩნდათ, რომ ის არსებულ პირობებში გეოპოლიტიკურ კონფლიქტს იწვევდა და მოსკოვის ინტერესების საწინააღმდეგო იყო, რაც, სავარაუდოდ, რუსეთის ზეწოლით იყო გამოწვეული.

2022 წელს, რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად შექმნილი ახალი გეოეკონომიკური რეალობის გათვალისწინებით, გაჩერებულ ევრო-აზიულ პროექტს ახალი შესაძლებლობები გაუჩნდა.

თავი VIII. ქართულ-ევროპული ღირებულებები

საქართველოს ევროპული იდენტობის მატრიცა

თანამედროვე ქართულ აკადემიურ და პოლიტიკურ დისკურსში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა საქართველოს ევროპული იდენტობის საკითხია, რომლის მეცნიერული კვლევა და სწორი პერცეფცია ძალიან მნიშვნელოვანია ქართული სახელმწიფოს ევროპული მომავლისთვის.

ვინაიდან წარმოდგენილი საკითხი ჩვენი კვლევის მხოლოდ მდგენელია, გაგვიჭირდება მისი ფუნდამენტური ანალიზი (მიგვაჩინია, რომ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, მისი აქტუალობის და მნიშვნელობის გათვალისწინებით, უნდა ჩატარდეს ცალკე ღრმა და საფუძვლიანი კვლევები), ამიტომ დავჯერდებით საკითხის მოკლე მიმოხილვას, სადაც ევროპული იდენტობის მარკერები განხილულ იქნება მხოლოდ ქართულის ევროპულთან მიმართებაში. ასევე, მოკლე შესავალი გაკეთდება ევროპული იდენტობის გენეზისა და მარკერებზე, რათა გაგვიადვილდეს საქართველოს ევროპული იდენტობის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა.

რაც შეეხება, ევროპული იდენტობას, მკვლევართა აზრით, ის ანტიკური პერიოდიდან, ბერძნულ-რომაული სამყაროდან იღებს სათავეს (Meier, 2012.) და ამ სამყაროს სამოქალაქო იდეის, ქრისტიანობის სინთეზად მიიჩნევა³⁷, (მამარდაშვილი, 209) რომელიც რეფლექსირებულია ევროპელთა ცნობიერებაში.³⁷

ევროპული იდენტობის ჩამოყალიბებაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რომაულ კანონმდებლობასა და ქრისტიანულ რწმენასაც.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მეცნიერები ევროპულ იდენტობის ჩამოყალიბებაში ქალაქის ფაქტორს, მეცნიერებასა და განათლებასაც მოიაზრებენ. (Pagden, 2002)

³⁷ დამატებით *ob.* The Idea of Europe in the Work of Denis de Rougemont and the French Non-Confomists, Faustian Europe, A Blog about Contemporary Europe.

რაც შეეხება, უშუალოდ ევროპული იდენტობის გენეზისის თარიღს, მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს იყო ძვ. წ. VII საუკუნის საბერძნეთი. (Patócka , 1998, გვ. 97-109) ნაწილის აზრით, ევროპა როგორც რეალობა XI-XIII საუკუნეებში გაჩნდა, როდესაც ევროპას ქრისტიანობის ფართო ტალღამ გადაუარა. (Le Goff, 2005)

ამდენად, არსებული განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, მეცნიერთა საკმაოდ დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ევროპული იდენტობის საფუძვლები ანტიკური ცივილიზაციის წიაღში წარმოიშვა და იდენტობას ძირითადად კულტურულ კონტექსტში განიხილავს (ნადარეიშვილი ქ. ჭეიშვილი თ, 2014) და აქ, უდავოა, ანტიკური საბერძნეთის უდიდესი როლიც. (Meier, 2012.)

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ანტიკური პერიოდის მკვლევარები ევროპის იდენტობას სხვა ჭრილშიც განიხილავენ.

მაგალითისთვის ჰომეროსთან ბერძნული იდენტობა ეფუძნება წარმოსახვით საერთო წინაპარს - გენეალოგიას. ჰეროდოტესთან კულტურულ იდენტობას უპირატესად პოლიტიკური მოდელი ქმნის, (Thomas)³⁸ ხოლო ისოკრატესთან ბერძენების ბარბაროსებთან დაპირისპირება ევროპის აზიასთან(ბარბაროსებთან) დაპირისპირებით იცვლება და ცივილიზაციის ფაქტორზე გადის. (Romilly, 1992 v. XXXIX, # 1, , გვ. 2-63)

ვინაიდან, ჩვენი მიზანი საქართველოს ევროპული იდენტობის მახასიათებლების გამოვლენა და დადგენაა, ვცდებით ამ მიდგომით გამოვავლინოთ ქართულ-ევროპული იდენტობების მსგავსებები.

მოცემულობას აადვილებს ისიც, რომ ევროპის ქვეყნებს, საერთო ევროპული ცივილიზაციური იდენტობასთან ერთად გააჩნიათ საკუთრივ ნაციონალური იდენტობებიც (მაგალითად: გერმანული, ფრანგული, ესპანური და ა.შ.).

³⁸ დამატებით იხ. Thomas R., Ethnicity, Genealogy and Hellenism in Herodotus, in: Malkin I. (ed.), Ancient Perceptions of Greek Ethnicity, Harvard University Press 2001, 213-234.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სავსებით ლოგიკურია ევროპული ცივილიზაციური იდენტობის ქვეშ მოვიაზროთ ყველა ის ხალხი ვინც აღნიშნულ მახასიათებლებს აკმაყოფილებს.

ვინაიდან, ცივილიზაციურ და ნაციონალურ იდენტობებს აერთიანებს ისეთი მარკერები, როგორცაა საერთო წარმომავლობა, გარკვეული ჯგუფისადმი კუთვნილება, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ა.შ. ეს მოცემულობა იძლევა საშუალებას ჯერ დადგინდეს ამ ორი იდენტობის მატრიცა, ხოლო შემდეგ მოხდეს მათი ერთმანეთთან შედარება და ბოლოს მათი მსგავსებისა თუ განსხვავების დადგენა.

ქართველთა წარმომავლობა - ეთნიკური მარკერი

რაც შეეხება ქართველთა წარმომავლობას, ამ მხრივ საინტერესოა, როგორც მეცნიერული, ისე მითეოლოგიური და რელიგიური ვერსიები.

მეცხრამეტე საუკუნის ევროპელი (ჰუმბოლდტი, კრეჩმერი, ბლუმენბახი (Humboldt, Krettschmer, Blumenbach), და ქართველი მეცნიერები (ნიკო მარი, აკაკი ურუშაძე, რისმაგ გორდეზიანი, ზვიად გამსახურდია და სხვები) თვლიდნენ, რომ პროტოქართველები ეთნიკურად, ლინგვისტურად და კულტურულად დაკავშირებული იყვნენ ევროპელ აბორიგენებთან – პრე-ინდოევროპელებთან, პრე-არიელებთან, პრე-კელტებთან (pre-Indo-European, pre-Aryan, pre-Celtic), მათ შორის, ეტრუსკებთან, პელასგებთან და პროტობასკებთან (Etruscans, Pelasgians and Proto-Basques). ძველი ბერძნები და რომაელები ამ უპირველეს ევროპის მცხოვრებლებს ეძახდნენ იბერიელებს (Iberians). პირენეის ნახევარკუნძული არის გავრცელების არეალი იმ პროტოიბერიული მოდემისა, რომელსაც ჰქონდა მრავალი განშტოება. (ანჩაბაძე, 2015, გვ. 9).

საინტერესოა ამ მხრივ ცნობილი ქართველი მეცნიერის რისმაგ გორდეზიანის კვლევები. სადაც ის უთითებს, რომ „ჩვენს ქვეყანაში საერთო ევროპული მემკვიდრეობისაკენ ლტოლვას, ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ასაზრდოებს. ჩვენი ქვეყანა უხსოვარი

დროიდან მონაწილეობდა ხმელთაშუა ზღვის აუზში მიმდინარე პროცესებში. როგორც ირკვევა, ქართველურ ტომებს, შესაძლოა, გენეტიკური ურთიერთობები ჰქონდათ წინაბერძნული ცივილიზაციის მატარებელ ხალხებთან (პელასგებთან, ლელეგებთან, მინოსელებთან და ა.შ.), ასევე იტალიის უძველეს მოსახლეობასთან, ეტრუსკებთან“. (გორდეზიანი რ, ტონია ნ., 2007).

რაც შეეხება ქართველთა წარმომავლობის მითოლოგიურ ვერსიას, „როგორც ჩანს, მიკენური ეპოქიდან მოყოლებული, სათავეს იღებს ბერძნულ-ქართული ურთიერთობების მრავალსაუკუნოვანი ისტორია, რამაც თავისი არეკვლა ჰპოვა ელინთა მითებში პრომეთესა და არგონავტთა ლაშქრობაზე. ძველი კოლხიდა იქცა საბერძნეთის გარეთ მდებარე ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ქვეყნად, სადაც არგონავტიკის მითთა სიუჟეტი ვითარდებოდა. ხოლო მედეამ, აიეტმა, კირკემ, აფსირტოსმა და სხვა კოლხმა მითოლოგიურმა პერსონაჟებმა მყარად დაიკავეს ადგილი ბერძნულ მწერლობაში“. (გორდეზიანი რ, ტონია ნ., 2007).

ნიკო მარის აზრით, ქართული ტომი იყო ნოეს ვაჟის, იაფეტის შთამომავალი და წარმოადგენდა ევროპაში იბერიის ინდიგენურ მოსახლეობას, რომელიც მოგვიანებით შეუერთდა კელტებს. ამის შედეგად კელტ-იბერიელები გახდნენ და მოგვიანებით გაერთიანდნენ გოთებთან, გერმანულ ტომებთან, (Marr, 1923) რაც თავისთავად საქართველოს მიაკუთვნებს ევროპას. (ჯავახია, 2010, გვ. 103)

ქართველთა მითოლოგიური წარმომავლობის შესახებ უთითებს ზვიად გამსახურდიაც, მას მიაჩნდა, რომ ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია პრომეთეს მითი, როგორც კაცობრიობის ევოლუციის, ისე ქართველთა ეთნოგენეზისის თვალსაზრისითაც, რომელმაც უნდა განავითაროს წინასწარმეტყველური აზროვნება, ხოლო ეპიმეთემ უნდა განავითაროს განსჯითი, ანუ ინტელექტუალური აზროვნება. ვისი ძეა პრომეთე? იგი არის ძე იაპეტოსისა. (გამსახურდია, წერილები ესსეები საქართველოს სულიერი მისია, 1991, გვ. 197).

გეოგრაფიული მარკერი

რაც შეეხება ქართველური ტომების გეოგრაფიული განსახლების არეალს, მიჩნეულია, რომ უძველესი დროიდან მცირე აზია, კუნძული კრეტა და ხმელთაშუა ზღვის მრავალი პუნქტი წინაელნიური-პელასგური (პროტოქართული) მოსახლეობის სამკვიდრებელი იყო. კრეტის უძველეს ე.წ. „მინოსურ მოსახლეობაში“ კოლხურ (ქართველურ) ტომებს დიდი ადგილი უნდა სჭეროდათ. (ჯანაშია, ხეთების ისტორიისა და ენის საკითხისთვის შრომები. ტ. III. , 1959)³⁹ ძველ ბერძენ და რომაელ ავტორებთან, პალასგი თესალიელები, მცირეაზიელი ტროელები, კუნძულ ლემნოსის მკვიდრი და კოლხთა მონათესავე ტომებადაა მიჩნეული. (ურუშაძე, 1964, სტრ. 121) სწორედ ამ მოდემის ხალხმა წინა აზიის ვრცელ ტერიტორიაზე და სამხრეთ ევროპაში დიდი კულტურული ცენტრები შექმნეს. (ურუშაძე, 1964, სტრ. 121).

ამავე აზრს ავითარებს ზვიად გამსახურდიაც და ასკვნის, რომ ტროა იგივე კოლხეთია, რადგან ტროელებისა და აქაელების დავა ტროელების მიერ ელენეს მოტაცებას უკავშირდება, რამაც ერთგვარი შურისძიება წარმოშვა მანამდე მათ მიერ მედეას მოტაცების გამო. (გამსახურდია, წერილები ესეები საქართველოს სულიერი მისია, 1991, სტრ. 195)

ამდენად, ზვიად გამსახურდიას მიხედვითაც, კოლხური, პელაზგური, ტროული, მინოსური სამყაროები მონათესავე სამყაროებია, უფრო სწორად, ერთი სამყაროა.

ქართველთა განსახლებასთან დაკავშირებით, ზვიად გამსახურდია ასევე იმოწმებს ვილჰელმ ჰუმბოლდტის აზრს, რომელსაც მიაჩნდა, რომ პროტოიბერებისგან წარმოიშვა ევროპის მოსახლეობა, რომლებიც სამხრეთ ევროპის, პირენეის, იტალიის, ხმელთაშუა ზღვის კუნძულების ავტოქტონური მოსახლეობა იყო.

თავად ძველი ბერძნები და რომაელებიც ამ უპირველეს ევროპის მცხოვრებლებს ეძახდნენ იბერიელებს (Iberians).

³⁹ ჯანაშია ს. ხეთების ისტორიისა და ენის საკითხისთვის,“ შრომები. ტ. III. თბ, 1959 წ.

პროკოპი კესარიელის აზრით, მდინარე „ფასისი (დღევანდელი რიონი) ორად ჰყოფს ხმელეთს, ჩამომდინარე წყლის მარცხნივ არის აზია, ხოლო მარჯვნივ ევროპად იწოდება. ევროპის ნაწილშია ლაზთა (ქართული ტომი) ყველა საბინადრო ადგილები. (ყაუხჩი-შვილი, 1934, გვ. 24).

ამდენად, ქართული ტომების გეოგრაფიული განსახლების არეალი უძველესი დროიდან არის მცირე აზია, კუნძული კრეტა და ხმელთაშუა და შავი ზღვის ტერიტორია. ხოლო დასავლეთ საქართველო უფრო სწორად კოლხეთი ისტრულად საბერძნეთსა და ბიზანტიას ემეზობლებოდა და საუკუნეების განმავლობაში ერთგვარი ხიდიც და შემაკავებელი ფაქტორიც იყო ევროპასა და აზიას შორის.

კულტურული მარკერი

კულტურული მარკერი საკმაოდ ფართე სპექტრისგან შედგება, მათ შორისაა რალიგია, ენა, დამწერლობა, ტრადიციები და ასე შემდეგ.

რადგანც რელიგია ცივილიზაციის ყველაზე არსებითი ნიშანია (ტოინზი, 2002, გვ. 86-88) და მისი განვითარების რეალური საფუძველი და მამომრავებელი ძალაა, (ჰანგთინგტონი)ქართველთა მიერ ქრისტიანობის მიღებაც ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის, რასაც აზიური სამყაროსგან საქართველოს საბოლოო ცივილიზაციური გამიჯვნა მოჰყვა. ეს იყო გადაწყვეტი ეტაპი ქართული სახელმწიფოს ისტორიაში და მან საბოლოოდ განსაზღვრა ქვეყნის ევროპული იდენტურობა. ეს გადაწყვეტილება იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მიუხედავად გარეშე მტრების მიერ საქართველოს მრავალგზის დაპყრობისა, ევროპასთან ურთიერთობების ხანდახან წყვეტილობისა, ქვეყანამ საკუთარი თვითმყოფადობა და სახელმწიფოებრიობა დღემდე შეინარჩუნა. (ფაჟავა, საქართველო ევროპული ორიენტაციის სათავეებთან, 2019)

დღესაც, ქართველები თავიანთ თავს ერთიან ქრისტიანულ სამყაროში აღიქვამენ. რომელიც საერთო ევროპულ ანუ

ქრისტიანული შუა საუკუნეების ცივილიზაციას ეფუძნებოდა. (ჯავახია, 2010, გვ. 113).

ქართული ენის ევროპულ ენებთან მსგავსება

რაც შეეხება ქართული ენის ევროპულ ენებთან მსგავსების საკითხს, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებები არსებობს.

პირველი მეცნიერები, რომლებმაც ქართული ენა ინდოევროპულ ენებს დაუკავშირეს იყვნენ ესპანელი ფილოლოგი ლორენცო ჰერვასი (Lorenzo Hervás 1735–1809) და ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსე (1802-1880), რომლებიც ქართველურ ენებს იაფეტურ ენათა ჯგუფს მიაკუთვნებდნენ და ამით ქართულს ინდოევროპულ ენათა ოჯახში მოიაზრებდნენ.

ბროსე ქართული ენის გრამატიკის (1834) დასკვნაში აღნიშნავდა ქართული ენის ფონეტიკურ და ლექსიკურ მსგავსებას ინდოევროპულ ენებთან. (Brosse, 1834.).

ინდოევროპულ ენათა ოჯახს მიაკუთვნებდა ქართველურ ენებს გერმანელი ფილოსოფოსი გოთფრიდ ლაიბნიციც Gottfried Wilhelm Leibniz (1646–1716).

ლაიბნიცის შეხედულებებს ქართული ენის შესახებ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სამეცნიერო წრეებში.

ქართველური ენების ინდო-გერმანულთან მსგავსებაზე მიუთითებდა გერმანელი ლინგვისტი იულიუს ფონ კლაპროთი Heinrich Julius Klaproth (1783 – 1835). (Klaproth, 1814)

ქართული ენის ინდოევროპულ ენებთან (სანკრიტთან) ნათესაობას ამტკიცებდა ლინგვისტური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი, გერმანელი მეცნიერ ფრანც ბოპი. Franz Bopp (1791 - 1867).

იაფეტურ ენათა ჯახს მიკუთვნებდა ქართველურ ენებს ნიკო მარიც (Niko Marr 1865-1934), რომელიც ამავე ენების ოჯახს მიაკუთვნებდა სამხრეთ ევროპის უძველეს და თანამედროვე ენებს, მათ შორის ეტრუსკულს, პელაზგურს, ბერძნულს და ბასკურს.

ქართული დამწერლობის ბერძნულისგან წარმოშობის თეორია

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული ანბანის წარმოშობის ერთ-ერთ ძირითად თეორიად ევროპული განიხილება, რომლის მიხედვით ქართული ანბანი წარმოშობილია ბერძნულისგან. ეს ჰიპოთეზა გერმანელ პალეოგრაფს ვიქტორ გარდტ-ჰაუზენს Victor Emil Gardthausen (1843 – 1925) ეკუთვნის. ამ თეორიას იზიარებენ აკაკი შანიძე, თამაზ გამყრელიძე, დიმიტრი ბაქრაძე, კორნელი კეკელიძე და სხვები.

ამ თეორიის მიხედვით, ქართული ასო-ნიშნების თანამიმდევრობა ბერძნულის მსგავსია.

კორნელი კეკელიძის აზრით, არსებულ მოსაზრებებს შორის ყველაზე მეტად მისაღებია ქართული ანბანის ბერძნულისაგან წარმოშობის ვერსია.

პავლე ინგოროყვასაც ქართული დამწერლობა არქაული ბერძნული ანბანის საფუძველზე შექმნილად მიაჩნდა.

თამაზ გამყრელიძე ამტკიცებდა, რომ ქართული ასომთავრული ანბანი ბერძნულიდანაა წარმოშობილი და შექმნილია ქრისტიანობის შემოდების შემდეგ. (გამყრელიძე თ., 2011)

ამდენად, ქართული დამწერლობაც მსგავსად ბერძნულისა და ლათინურისა ევროპული ცივილიზაციის ჩარჩოში შეგვიძლია განვიხილოთ.

ქალაქის ფაქტორი

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ყველა მეცნიერი, დასავლური (ევროპული) ცივილიზაციისა და არა მხოლოდ დასავლურის ერთ-ერთ უპირველეს ნიშნად ქალაქების არსებობას აღიარებს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქალაქები წარმოიქმნა ისტორიული განვითარების იმ საფეხურზე, როცა საზოგადოებაში მოხდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და სოციალური დიფერენციაცია. ამის გამო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებული მოსახლეობის ძირითად ნაწილს გამოეყო სხვა სოციალური

ჯგუფები (ხელოსნები, ვაჭრები), რომელთა კონცენტრაციამ გარკვეულ დასახლებულ პუნქტებში გამოიწვია ქალაქური ტიპის დასახლებების შექმნა. ქალაქების შექმნამ დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოების განვითარებაზე. ისინი იქცნენ სახელმწიფო ხელისუფლების და კულტურის განვითარების ორგანიზაციულ, კერძოდ, სამშენებლო საქმისა და არქიტექტურის განვითარების ცენტრებად, ხელი შეუწყვეს ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას. ქალაქებში ჩაისახა სავაჭრო და სავანშო კაპიტალი. ქალაქის ხელოსნობასთან იყო დაკავშირებული ტექნიკის პროგრესი.

საქართველოში ქალაქები ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში არსებობდა. ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში წარმოიქმნილი ქართული ქალაქები იყო: სარკინე, უფლისციხე, ურბნისი, მცხეთა, ვანი, წუნდა, ფასისი, დიოსკურია, ბიჭვინთა, გიენოსი, სამშვილდე, ხუნანი, შორაპანი, დიმნა, თუხარისი და სხვა.

ანტიკური ხანის მიწურულს უკვე ახალი ქალაქები დაწინაურდა: უჯარმა, ჟალეთი, თბილისი, რუსთავი, ხორნაბუჯი. ამ ქალაქებზე გადიოდა საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზები. ადრე შუა საუკუნეებიდან დაწინაურდა თბილისი, უჯარმა, ჭერემი, მართალია, გვიან შუა საუკუნეებში, საგარეო ფაქტორთა გამო, საქართველოში ბევრი ნაქალაქარი გაჩნდა, მაგრამ საქალაქო ცხოვრება საქართველოში არასდროს არ ჩამკვდარა. (თოფჩიშვილი, 2012).

განათლება, მეცნიერება

რაც შეეხება განათლებას, მეცნიერებას, ხელოვნებასა და მწერლობას ცივილიზაციის ეს ნიშანები საქართველოში ადრე შუა საუკუნეებიდანვე შეიმჩნევა.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული საგანმანათლებლო კერები, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს ქართული კულტურის განვითარებაში.

საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო კერებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია კოლხეთის ფილოსოფიურ სკოლა, სადაც სწავლობდნენ IV საუკუნის ბერძენი რიტორი და

ფილოსოფოსი თემისტიოსი (317-388) და მისი მამა ევგენიოსი. აღნიშნულ სკოლაში ბერძნებთან ერთად ადგილობრივებიც სწავლობდნენ, რაც ქართული ფილოსოფიური ცენტრის არსებობაზე მიუთითებს. თემისტიოსისა და ევგენიოსის ფილოსოფიური ნააზრევებიდან მტკიცდება, რომ კოლხეთის სკოლაში გაბატონებული იყო პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიური შეხედულებანი.

ქრონოლოგიურად და მსოფლმხედველობრივად კოლხეთის სკოლასთან მჭიდროდაა დაკავშირებული IV საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი მოღვაწე ბაკურ იბერიელიც.

ქართული და ევროპული ფილოსოფიური აზროვნების ურთიერთკავშირის თვალსაზრისით, ყველაზე საინტერესო ფიგურაა V საუკუნის მოღვაწე პეტრე იბერი (411-491). რომელსაც ეკუთვნის **“არეოპაგიტული წიგნები”**, (ეს ნაშრომი შეცდომით მიეწერებოდა პავლე მოციქულის მოწაფეს დიონისე არეოპაგელს (ე.პონიგმანი, შ.ნუცუბიძე). პეტრე იბერიელის წიგნებმა შუა საუკუნეების აზროვნებასა და კულტურაზე დიდი გავლენა მოახდინა და რენესანსის ფილოსოფიურ საფუძვლადაც კი იქცა.

ნიშანდობლივია, რომ ქართველი ახალგაზრდები განათლებას ბერძნულ ენაზე იღებდნენ და ამით უკავშირდებოდნენ შუა საუკუნეების ბიზანტიურ მწერლობასა და ძველ ანტიკურ იდეებს. ამის თვალსაჩინო მაგალითს იძლევა იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის მიერ განათლების მიღება მანგანის აკადემიაში.

საქართველოს ბიზანტიასთან (ევროპასთან) კულტურული და პოლიტიკური ერთობის გაცნობიერების ფაქტად უნდა მივიჩნიოთ VI საუკუნის შუა ხანებში აგათია სქოლასტიკოსის ნაწარმოებში გადმოცემული ქართველი წარჩინებულის ფარტაზის აზრიც, სადაც ის ამბობს: ქართველებს საერთო აქვთ ბიზანტიელებთან **“საზოგადოებრივი კანონები, სახელმწიფო წყობა და ცხოვრება”**, **“აზრთა ერთიანობა”**, **სარწმუნოება**, **“წმინდა საიდუმლოთა უმწიკველოება”** და, საერთოდ, **“მშობლიური წესები”**.

საქართველოს პარალელურად საგანმანათლებლო კერები ყალიბდებოდა საზღვარგარეთ, კერძოდ, ათონის ივერთა მონასტერში, შავ მთაზე ანტიოქიაში, ბულგარეთში პეტრიწონის მონასტერში, პალესტინაში ჯვრის მონასტერში.

ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე დაარსებული ქართული მონასტრები განსაკუთრებით ხელს უწყობდნენ მთარგმნელობით საქმიანობას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც საერთოდ კულტურული განვითარების, ისე ახალი იდეების შემოტანისა და ადგილობრივი ეროვნული იდეების გამდიდრება - გაღრმავების თვალსაზრისითაც. (დიდებაშვილი, 2010)

ამის დასტურია „სიბრძნე ბალაჰვარისის“ თარგმნა ქართულიდან ბერძნულად, რომელიც დასავლეთ ევროპაში XI საუკუნიდან გახდა ცნობილი და რომელიც საფუძვლად დაედო შემდგომ თარგმანებს ევროპულ ენებზე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია საქართველოში XI-XII საუკუნეებში არსებული მეცნიერებისა და განათლების ისეთი კერების არსებობა, როგორცაა გელათისა და იყალთოს აკადემიები.

სწორედ ასეთი კერების დამსახურებაა ის, რომ მთელი ისტორიის მანძილზე საქართველოში არ შეწყვეტილა მხატვრული ლიტერატურის შექმნა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, ამიტომაც გამოვყოფთ მხოლოდ რამოდენიმეს, მათ შორის: V საუკუნით დათარიღებული უძველესი ქართული მხატვრული ნაწარმოები - „შუმანიკის წამება.“ X საუკუნის მხატვრულ - საისტორიო თხზულება - “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება,” XII საუკუნის ქართული ლიტერატურის შედეგრი - შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსანი”.

ქართველთა განათლების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1629 წელს რომში ნიკიფორე ირბახის (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი) დახმარებით შედგენილი ქართულ-იტალიური ლექსიკონის გამოცემას.

ქართული ანბანი ლოცვებითურთ იმავე წელს დაიბეჭდა იგივე სტამბაში. (კარიჭაშვილი, 1929, გვ. 31-34) 1643 და 1670 წლებში მისიონერმა მარიო მაჯიომ ორჯერ გამოსცა „ქართული ენის გრამატიკა.“ მომდევნო წლებშიც არაერთი წიგნი დაიბეჭდა რომში.

დიდი იყო ევროპელი მისიონერების როლი ქართული კულტურის განვითარების საქმეში. მათ XVII ს-ის ევროპული სამყაროსათვის საქართველოს გაცნობის საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს. თეატინელმა მამებმა (დონ პიეტრო ავიტაბილე,

დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, დონ კლემენტე გალანო, დონ კრისტოფორო კასტელი, დონ არქანჯელო ლამბერტი) თავიანთ ნაშრომებში (რელაციონები, ნახატები, წიგნები) ევროპელ მკითხველებს აჩვენეს, რომ ქართველთა მენტალობა, ნიჭიერება, ზნე-ჩვეულებები (მიუხედავად განსხვავებებისა), პაპობასთან სარწმუნოებრივი კავშირისადმი ლტოლვა დიდად არ განასხვავებდა ამ ხალხს ევროპელებისაგან. უფრო სწორად, ისინი მოფიქრებულად, ღრმა მინიშნებებით წარმოსახავდნენ ქართველთა სიახლოვეს დასავლეთ ევროპელებთან, რაც მათი თანამედროვეებისათვის დაწვრილებით ახსნას არ საჭიროებდა. უფრო მეტიც, კათოლიკე მისიონერები ქართულ სამყაროში ახალ რეალობას ქმნიდნენ. დასავლურ სამყაროს მოწყვეტილ საქართველოში მათი საქმიანობით ქვეყანა ევროპის სინამდვილის შესახებ თავის წარმოდგენებს აფართოებდა და მათი მიღება, როგორც „თავისიანის“, მართლმადიდებელი რწმენის დათმობის გარეშე მიმდინარეობდა. ეს იმაზე მიუთითებდა, რომ „კულტურული ადაპტაცია“ და „ევროპეიზაცია“ ქართული სინამდვილისათვის მისაღები იყო რელიგიური კომპრომისების გარეშე. ეს ორმხრივი ურთიერთობა არ ეფუძნებოდა „უცხოს“ შეცნობის პრინციპებს. ასეთ შემთხვევაში საქმე არ გვექნებოდა რელიგიური დიალოგის გამართვასთან. ბერძნული სქიზმის მიმდევარ ქართველებთან კომუნიკაცია კათოლიკური დოქტრინების „ჭეშმარიტების“ გაგებას და „თავისიანის“ მიერ მის მიღებას ისახავდა მიზნად.

მოწინავე ქართველი არქიელები მისიონერთა თეოლოგიურ განათლებასა და მათ მორალურ სრულყოფილებას დიდად აფასებდნენ. იმდროინდელ ქართველ სასულიერო მესვეურებს სურდათ, რომ ეს ღვთისმოსავი და განათლებული ადამიანები თავისი ხალხისათვის ზნეობის მაგალითად დაესახათ. ასევე მათი საშუალებით აემადლებინათ ქართველი სამღვდელოების განათლებისა და კულტურის დონე. განუზომლად დიდი იყო თეატინელი მამების როლი კულტურულ-საგანმანათლებლო სარბიელზე. მათ მიერ დაარსებულ სკოლებში (გორი, ოზურგეთი, ზუგდიდი) სწავლა-განათლებას იღებდნენ ქართველი ახალგაზრდები. ალბათ, თეატინელთა წიფურისა (ზუგდიდი) სკოლაში მიიღო განათლება ანტონ (ანტონიო) ჯერემიამ, რომელიც 1644 წლის 8 დეკემბერს

მიიღეს რომში კონგრეგაციის კოლეჯში. აქ 7 წლის სწავლით მან 22 წლის ასაკში დაიცვა დისერტაცია თეოლოგიურ მორალში. ეს ფაქტი ნათლად ასახავს იმ ვითარებას, რომ ქართულ ნიჭსა და გენს თანაბარ პირობებში, ცივილიზებულ გარემოში, შეეძლო სწავლა-განათლების საქმეში ევროპელისათვის დამახასიათებელი თვისებები გამოეფლინა: დაუღალავი შრომისმოყვარეობა, საზრიანობა, მიზანდასახულობა, სწავლისადმი სიყვარული, სახელის მოხვეჭის ნიჭი და უნარი. (პაპაშვილი, საქართველოში კრისტოფორო კასტელის ყოველდღიურობის ერთი ეპიზოდის ანალიზი. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი. #20, 2021)

გარდა ამისა, საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა ქართული საისტორიო მწერლობა, ფილოსოფიური მეცნიერება, სახვითი ხელოვნებაც. მაღალი დონის იყო ჭედური ხელოვნება. ქართველები შესანიშნავ მინიატურებსაც და რელიეფურ სკულპტურებსაც ქმნიდნენ. საყოფელთაოდ ცნობილია ქართული მოზაიკა და ფრესკული ხელოვნება. მაღალი დონის ფრესკებითა მოხატული საქართველოს მთაში (სვანეთი) ორიგინალური და მრავალრიცხოვანი ბაზილიკები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული მუსიკალური კულტურა. ბევრი შედეგრი აქვს ქართველ ხალხს შექმნილი სიმღერების სფეროში (ორი, სამი და ოთხხმიანი გუნდური სიმღერები). მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს ქართულ ხალხურ მრავალფეროვან ქორეოგრაფიას. მისი განვითარების პროცესში შეიქმნა თეატრალიზებული ქართული ცეკვებიც. (ჩიქოვანი, 2014, გვ. 33)

საინტერესო ვითარება იყო სამართლის სფეროშიც. ქართველებს დაწერილი სახელმწიფო სამართალი გააჩნდათ. მაგალითად ბაგრატ კურაპალატის, ბექა-აღბუღასა და ვახტანგ VI-ის სამართლის ძეგლები შეიძლება დავასახელოთ.

როგორც ვხედავთ ქართული კულტურა დასავლურთან თანაარსებობით იქმნებოდა და ვითარდებოდა, რაც საფუძველს გვაძლევს ვიმსჯელოთ ამ ორი კულტურული მახასიათებლების მსგავსებასა და ერთიანობაზე.

ქართული პოლიტიკის ევროპული იდენტობის მარკირები

თანამედროვე რეალობაში პოლიტიკური იდენტობის თემა ერთ–ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. (Hekman, 2004, გვ. 33).

ქართული პოლიტიკის ევროპული იდენტობის მარკირებიც, მსგავსად სხვა მახასიათებლებისა, ანტიკური პერიოდიდან იღებს სათავეს, რამდენადაც ქართული პოლიტიკური ინსტიტუტებიც ამ დროიდან აქტიურად იყო ჩართული ყველა იმ პოლიტიკურ პროცესებში, რომელშიც თავდაპირველად საბერძნეთი, მოგვიანებით რომი და ბიზანტია მონაწილეობდა.

ამ მხრივ აღსანიშნავია ძვ. წ. VI საუკუნიდან კოლხეთის პოლიტიკური ურთიერთობები ბერძნულ სამყაროსთან. ძვ.წ I საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართლის სამეფოს ”მეგობრობა და მოკავშირეობა” რომის იმპერიასთან და კოლხეთის სამეფოს რომის პოლიტიკურ სისტემაში ჩართვაც. (ფიფია, 2012, გვ. 3) მოგვიანებით, V საუკუნიდან, რომის იმპერიის დაცემის შემდეგ (476 წ), ეს ურთიერთობები ბიზანტიის იმპერიასთანაც გაგრძელდა.

ამ ურთიერთობების დასტურია ასევე ქართული პოლიტიკური ელიტისთვის რომაულ–ბიზანტიური ტიტულების მინიჭება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ქართული პოლიტიკა გარკვეულწილად ეფუძნება ბერძნულ, რომაულ და ბიზანტიურ წანამძღვრებს და ის ერთგვარ ლეგიტიმაციის წყაროს წარმოდგენდა მოცემულ ვითარებაში, შესაბამისად იმ პერიოდში ქართველები საკუთარ პოლიტიკურ იდენტობას სწორედ ამ სამყაროს უკავშირებდებოდნენ, რომელიც მეტ–ნაკლები ინტენსივობით გაგრძელდა მთელი ისტორიის მანძილზე და გრძელდება დღესაც.

ამასვე ამტკიცებს ეგრისის სამეფოს სახალხო კრებაზე ეგრისის დიდებულის ფარტაზისა და მისი მომხრეების აზრი, სადაც წყდებოდა სამეფოს მომავალი პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი, რომლის მიხედვით ქართველებს უფრო მეტი აქვთ საერთო ბიზანტიელებთან, ვიდრე აღმოსავლეთის ქვეყნებთან.

რაც შეეხება, ქართული პოლიტიკის თანამედროვე ევროპულ განზომილებას, მასაც ძირითადად ლეგიტიმაციის ფუნქცია აკისრია საზგადოებრივ - პოლიტიკურ სპექტრში და მნიშვნელოვან როლს ასრულებს, როგორც ნაციონალური, ისე ევროპაზე ორიენტირებული ელიტების პოლიტიკური აზროვნების მიმართულების განსაზღვრაში.

დღევანდელი ქართული სახელმწიფოს პოლიტიკა, ცდილობს ჩამოაყალიბოს ისეთი იდენტობა, რომელიც კარგად ერგება ევროპულ პოლიტიკურ დღის წესრიგს, რაც გულისხმობს სამოქალაქო პასუხისმგებლობის, ქვეყნის პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ნდობის ამაღლებას. (Tarkhan-Mouravi, 2009., გვ. 9-33) თუმცა ხშირ შემთხვევაში სახეზეა პოპულისტური რიტორიკაც.

ამდენად, საქართველოს პოლიტიკური იდენტობის მატრიცა ეყრდნობა ევროპულს, ხოლო მისი თანამედროვე მარკერებიც ევროპულია, სხვა საკითხია, რამდენად გამართულად მუშაობს ეს ინსტიტუტები.

ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერი „საქართველოს ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში ქვეყნის სრული ინტეგრაციის უზრუნველყოფის შესახებ“. (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 78. 24/08/, 1995).

გარდა ამისა, ქვეყანაში უკვე ხორციელდება ასოცირების ხელშეკრულებისა (2016 წლიდან) და ვიზალიბერაციის (2017 წლიდან) პროგრამები. რომელსაც უზარმაზარი სარგებელი მოაქვს ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის.

ხოლო 2022 წლის 23 ივნისს ბრიუსელში გამართულ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ლიდერთა სამიტზე საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის სტატუსთან დაკავშირებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით საქართველოს ეძლევა ევროპული პერსპექტივა და პირობები კანდიდატის სტატუსის მისაღებად.

ევროპული საბჭო მზადაა კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიანიჭოს საქართველოს მას შემდეგ, რაც გადაიჭრება საქართველოს

განაცხადთან დაკავშირებით ევროკომისიის მოსაზრებაში დასახელებული პრიორიტეტული საკითხები.

ამდენად, როგორც ვხედავთ, საქართველო აქტიურად მონაწილეობდა ევროპაში მიმდინარე პროცესებში და საერთო ღირებულებებს ქმნიდა მოცემულ გეოგრაფიულ, პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეში.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ეგზისტენცია დაკავშირებული იყო ცივილიზაციათაშორისი და კულტურათაშორისი დაპირისპირების არეალთან, მან შეძლო საკუთარი იდენტობის შენარჩუნება.

ნიშანდობლივია ისიც, რომ პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო (მეფე ფარნაოზის დროს) შეიქმნა (ჩამოყალიბდა), როგორც ჰეტეროგენული - დასავლურ-აღმოსავლური წარმონაქმნი, რომელმაც გონივრულად გადაწყვიტა სხვადასხვა ცივილიზაციური პრინციპების სინთეზის პრობლემები, მოგვიანებით გარდაიქმნა როგორც დასავლურ-ბერძნული, რომაული და შემდეგ ბიზანტიური ცივილიზაციის ნაწილად. (ჩხარტიშვილი, 2020, გვ. 8).

საბოლოოდ კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოს ევროპული იდენტობის მატრიცა ძირითადად დაეფუძნა ყველა იმ მარკერებს, რომელსაც ეყრდნობა ევროპული და ქართული იდენტობის მახასიათებლები, კერძოდ საერთო წინაპარი, მითები, გეოგრაფიული და კულტურული ფაქტორი თავისი ფართო სპექტრით.

ქართულ-ევროპული იდენტობის ინდივიდუალური მახასიათებლები (მარკერები)

რაც შეეხება, ქართულ იდენტობას ინდივიდუალურ მარკერებს, ისიც მსგავსად კოლექტიურისა, საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდა და მრავალი წინააღმდეგობა ახლდა თან: გარეშე მტერი თუ შინა აშლილობა. ჯერ სპარსელების, შემდეგ არაბების, მონღოლების, თურქ-სელჩუკების, მეფის რუსეთის, საბჭოთა კავშირისა და ბოლოს ისევ რუსეთის ფედერაციის დაპყრობითი ომები თუ ბოლოს ოკუპაცია.

რასაკვირველია, ასეთმა რთულმა ისტორიულმა მემკვიდრეობამ მოსახლეობის უმეტეს ნაწილში, მთლიანად ერის წარსულის, აწმყოსა თუ მომავლის ხედვაში დიდი გავლენა იქონია და თავისი წვლილი შეიტანა ქართული იდენტობის ჩამოყალიბებაში, მეტიც, მან გაამძვრა „ქართველობის“ განცდა, რაც თავის მხრივ ერის თვითმყოფადობის გადარჩენის უმთავრესი იარაღი იყო საუკუნეების განმავლობაში გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, განსაკუთრებით, „რუსიფიკაციისა და კომუნისტური ფსევდოინტერნაციონალიზმის წნეხისგან“.

აქედან გამომდინარე, ქართული იდენტობის ინდივიდუალური მატრიცა უმეტესწილად ისეთ პრიმორდიალურ ‘მოცემულობებს’ (‘givens’) დაეყრდნო, (Smith, 1994., გვ. 375-399) როგორცაა: ენა, ტერიტორია, აღმსარებლობა, ტრადიციები, ნათესაური კავშირები, კულტურა და სხვა.

ქართულ-ევროპული იდენტობები

ქართულ-ევროპული ღირებულებების გააზრებისთვის, (Francisco, 1999.) მნიშვნელოვანია მათი თავსებადობის შესახებ არსებული რამოდენიმე განსხვავებული დისკურსის განხილვა ქართული მენტალობის საფუძველზე, რომლის მიხედვით ქართველებსა და ევროპელებს მსგავსი ან განსხვავებული ღირებულებები აქვთ. (წულაძე ლ, ესებუა ფ, კახიძე ი, კვინტრაძე ა, ოსეფაშვილი ი, ამაშუკელი მ, 2016, გვ. 240).

ამ დისკურსის მიხედვით, ქართულ-ევროპული ღირებულებების მსგავსების მაგალითია ტოლერანტობა, ეთნიკური, რელიგიური უმცირესობების მიმდებლობა, ქალის პატივისცემა (რაც მიჩნეულია გენდერული თანასწორობის გამოხატულებად) და ამ თვალსაზრისით საქართველო უნიკალური ქვეყანაა, ამიტომაც შეძლო საქართველომ ისტორიის თითქმის ყველა მონაკვეთში, ყოფილიყო მიმღები განსხვავებული კულტურებისა და სწორედ ამან შეუწყო ხელი ქართული იდენტობის შენარჩუნებას. (ბარამიძე, 2014, გვ. 52).

ამავე კონტექსტში შეიძლება განხილულ იქნას თანამედროვე ქართველების მისწრაფება დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებისა და სამოქალაქო ჩართულობისკენ, რაც იმავდროულად დემოკრატიული და ევროპული პრინციპებია. ამდენად, დემოკრატიული ქვეყნის შენების მცდელობა ქართველების ევროპელობის გამოხატულებაა (წულაძე ლ, ესებუა ფ, კახიძე ი, კვინტრაძე ა, ოსეფაშვილი ი, ამაშუკელი მ, 2016, გვ. 139) რაც ქართველებისთვის დამახასიათებელი ისტორიული თვისებად მიიჩნევა, რომ გამოკითხოს ის ქართველები, რომლებიც ევროპაში ცხოვრობენ ან უცხოვრიან, მათი უმეტესობა იტყვის, რომ მათ ევროპაში ცხოვრება არ უჭირდა, ანუ მათ არ უჭირდათ ადამიანებთან ურთიერთობა, მათთან დამეგობრება, ისეთ ქვეყნებშიც კი, რომლებიც ძალიან ჩაკეტილად ითვლება საზოგადოებრივი ურთიერთობის თვალსაზრისით. ქართველები იქაც კი ახერხებენ კარგ კომუნიკაციას და დამეგობრებას ადგილობრივებთან, რაც ხაზს უსვამს იმას, რომ ქართველებისთვის ევროპული კულტურა მათ შორის ყოფითი კულტურაც კი, სრულიად მისაღებია.

მოსახლეობის ნაწილი დემოკრატიულ ღირებულებებს არა სპეციფიკურ-ევროპულად, არამედ უნივერსალურად მიიჩნევს და სწორედ ამ უნივერსალურობის გამო ქართველებიც იმავე ღირებულებების მატარებლად შეიძლება ჩაითვალოს.

კანონის უზენაესობა, სიტყვის თავისუფლება, ადამიანის უფლებების დაცვა, არც ერთ ქართულ ღირებულებას არ ეწინააღმდეგება. ხოლო ოჯახის ან მშობლების პატივისცემა ევროპული ღირებულებაც არის.

რაც შეეხება ქართულ-ევროპული ღირებულებების განსხვავებას, აქ აშკარაა, რომ ქართულ და ევროპულ ღირებულებებს შორის განსხვავება არ არის ფუნდამენტური. მათ შორის თანხვედრა მეტია, ვიდრე განსხვავება. ნიშანდობლივია, რომ მსგავსი განსხვავებები ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორისაც შეინიშნება, თუმცა ევროკავშირის დევიზი – „ერთობა მრავალფეროვნებაშია“ განსხვავებული კულტურული თავისებურებების მქონე ერებს აერთიანებს და ამ სხვაობებს მათთვის დაბრკოლება არ შეუქმნია ევროინტეგრაციის გზაზე.

არ არსებობს ფუნდამენტური განსხვავებები ქართულ-ევროპულ ღირებულებებში, პირიქით, თანხვედრაა ისტორიულადაც და კულტურიდან გამომდინარეც. რა თქმა უნდა, ევროკავშირის ქვეყნებს შიგნითაც არის განსხვავებები და თუ განვაზოგადებთ, მაშინ საერთო უფრო მეტია, ვიდრე განსხვავება.

ხოლო, თითქოს, ქართველები ნაკლებ ტოლერანტულები არიან, თუნდაც რელიგიურ უმცირესობათა მიმართ სიცრუეა, რადგან შემორჩენილი ტოლერანტობის მაგალითად გვერდიგვერდ აშენებული სხვადასხვა სარწმუნოების სალოცავები შეიძლება დავასახელოთ.

საინტერესოა, რომ ტოლერანტობა, რომელიც ევროპულ ღირებულებად მიიჩნევა, ქართული რეალობისთვის უცხო არ არის, უფრო მეტიც, საქართველო ისტორიულად ყოველთვის ტოლერანტული იყო, სადაც ტრადიციულად პატივს სცემდნენ სხვის უფლებებს. ეროვნული უმცირესობებისა და იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც არ იყვნენ აქაური კულტურის წევრები, მათ მიმართ მტრული დამოკიდებულება არასდროს ყოფილა. ეს მიდგომა უფრო საბჭოური მოვლენაა.

ხოლო არსებითი განსხვავება საბჭოურ და ევროპულ ღირებულებებს შორის სწორედ უმცირესობათა მიმართ დამოკიდებულებაა. ევროპული ინდივიდუალიზმი თითოეულ ადამიანს ითვალისწინებს მაშინ, როცა საბჭოური კოლექტივიზმი ინდივიდის იგნორირებას ახდენს. სწორედ ეს უკანასკნელი განიხილება ქართველებისთვის თავსმოხვეულად საბჭოური რეჟიმის მიერ.

და ბოლოს, ქართული და ევროპული ფასეულობები განსხვავდება და ევროპა უპირატესი ღირებულებების მქონეა. აქ ავტორები მართებულად მიიჩნევენ, რომ ევროპული ფასეულობების მაგალითია: შრომისმოყვარეობა, განსხვავებულის მიმართ მიმდებლობა, დროის დაფასება, პლურალიზმი და ა. შ.. მიჩნეულია, რომ ქართველები ამ ყველაფრის ნაკლებობას განიცდიან, თუმცა ამ მხრივ თავისუფლად შეიძლება ევროპის ამ ფასეულობებთან დაახლოება ქვეყნისა და საზოგადოების სათანადოდ განვითარების შემთხვევაში.

არც ადამიანის უფლებებია ქართული საზოგადოებისთვის უცხო, რომელიც ერთის მხრივ, დგას ინდივიდზე, რომელიც უნდა დაიცვას და რომელზეც უნდა იზრუნოს სახელმწიფომ, რაც დემოკრატიული მმართველობის საფუძველია. ხოლო მეორე მხრივ, არის საბჭოური მენტალიტეტი, რომელიც ინდივიდის სრულ იგნორირებას ახდენს და აბსოლუტურად უარყოფს მის ფუნდამენტურ უფლებებს.

ამდენად, ქართული და ევროპული ღირებულებების განსხვავებულად წარმოჩენა ანტიდასავლური პროპაგანდაა, რადგანაც ევროპული ღირებულებები იმავდროულად ქართულიცაა.

თავი IX. ქართველთა სავანე სტამბულში - ხილი ევროპისკენ

ქართველთა სავანე სტამბულში

საზღვარგარეთ არსებული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა ფასდაუდებელია ქართული სახელმწიფოსთვის, რომელიც საუკუნეების განმავლობაში უცხოეთში არსებული ქართული კულტურის კერების უდიდესი დამსახურება იყო, რომელთა საშუალებით საქართველოს შეეძლო მაშინდელი განათლებული ქვეყნების კულტურული განვითარებისთვის თვალ-ყური ედევნებინა.

ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს სტამბოლის ქართულ სავანეს, საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურისა და განათლების უმნიშვნელოვანეს კერას. ეს სავანე ერთგვარი ხიდი იყო ქართულ-ევროპული ურთიერთობებისთვის. ამას განაპირობებდა ისიც, რომ თვითონ სტამბულიც (კონსტანტინოპოლი) კაცობრიობის კულტურისა და განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა იყო და უძველესი დროიდანვე იზიდავდა ქართველებს. საუკუნეთა განმავლობაში საქართველოში სწორედ ამ გზით შემოდიოდა ევროპული ცივილიზაცია, სადაც მოღვაწეობდნენ ქართველი ფილოსოფოსები, მთარგმნელები, გამოჩენილი სასულიერო პირები. (ფუტკარაძე, 2012, გვ. 8).

წლების მანძილზე სტამბოლის ქართული სავანე საქართველოდან და საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის კულტურული ცენტრიდან მარაგდებოდა სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურით. მის არქივში თავი მოიყარა ძალიან დიდმა ეპისტოლარულმა მემკვიდრეობამ, ისტორიულმა წყაროებმა, რომლებიც წარმოაჩენენ ჩვენი სახელოვანი წინაპრების ცხოვრებისა და შემოქმედების დღემდე უცნობ მონაკვეთებს, ეს მასალები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ წარსულისა და დღევანდულობისთვის, არამედ მომავალი თაობებისთვის.

ქართველ კათოლიკეთა სავანე, მასთან არსებული ბიბლიოთეკა და არქივი 1861 წელს დააფუძნა ახალციხელმა მღვდელმა

პეტრე ხარისჭირაშვილმა სტამბოლის ერთ-ერთ უბანში – ფერიქოში (ანგელოზთა უბანში), სადაც მე-18 საუკუნეში ჩასახლება დაიწყო ქართველმა კათოლიკეებმა. აქედან მოყოლებული სავანე ხანგრძლივი დროის განმავლობაში წარმოადგენდა საზღვარგარეთ არსებული ეროვნული ძალების შემაკავშირებელ ცენტრს. ტაძრი იმავდროულად, სტამბოლში სამუშაოდ ჩასული ქართველი ემიგრანტების შეკრების ადგილიც იყო. იქვე, ტაძრის გვერდით მდებარე თანამედროვე შენობაში განთავსებული იყო ქართული კათოლიკური ეკლესიის ბიბლიოთეკის არქივი.

